


ლიტერატურული გაზეთი

№2 (354) 2 - 15 თებერვალი 2024

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ზაალ ებანოიძე

დავცქერი ფურცელს — არ ვიცი, რა ვთქვა,
არ მინდა, ის ვთქვა, რაც დღემდე მითქვამს,
ვაჯამებ გულში მტყუნანს და მართალს,
ბგერასთან — ბგერას, სიტყვასთან — სიტყვას.

სარკეში ცალი ძალადობს სხივი
და მითამაშებს და მიღლის მზერას;

კურცხალი კერავს შინაგან ტკივილს,
გარეგან ტკივილს კურცხალი კერავს.

IV

დრამა

მამბლა: აბა, რა ქენი, ნიკო, ნაიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“?

ნიკომ: არა, მას, არ წამიკითხავს.

მამბლა: მერე რატომ, ნიკო? იცი, ასეთი ტემპით ჩვენ ვერ დავძლევეთ არსებულ პროგრამას.

ნიკომ: ვიცი, მას.

მამბლა: მერე, ეგ თუ იცი, რატომ არ წამიკითხე?

ნიკომ: არ მეცალა, მას.

მამბლა: და რა საქმე გქონდა ახლა ისეთი, თან იმდენად მნიშვნელოვანი, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ წაკითხვას ამჯობინებ?

ნიკომ: მოგიყვებ, მას?

მამბლა: ნიკო, ასე არ გამოვა, ძვირფასო. მე შენ მშობლებთან ვალდებულება ავიღე, რომ ქართულში მისაღები გამოცდისთვის მოვამზადებდი და შენი რეპეტიტორი ვიქნებოდი. შენ კი თუ არ ისწავლი, დიდ უხერხულობაში ჩამაგდებ, გესმის? გამოვა, რომ ტყუილად ვახდევინებ ფულს და, შესაბამისად, ვარ მატყუარა. და მე არ ვარ მატყუარა. ასე რომ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თუ არ ისწავლი, იძულებული ვიქნები, დაგემშვიდობო, რადგან ტყუილად შენი მშობლებისგან მე ფულს ვერ ავიღებ.

ნიკომ: მას ერთი მანანალა მეგობარი მყავს, ნაღდი „ბესპრეზორნიკი“. ერთი თვე რომ სახლში არ მივიდეს, არავინ მოიკითხავს. დედა სულ სადღაც ჰყავს გამქრალი და რაღაც თაღლითურ საქმეებში ფულს მოულობს, მამა კი მთელი დღე გონების დაკარგვამდე სვამს და მერე საკუთარ მამასავე, ანუ ჩემი მეგობრის ბაბუას, დიდი ენთუზიაზმით სცემს. ბაბუა კიდეც თამბაქოს ქარხანაში დარაჯად მუშაობს, იქიდან ჩუმად გამოაქვს დაუჭრელი სიგარეტი „ასტრა“, მალულად ჰყიდის, შემდეგ ამ ფულით მიდის ბაზარში, ყიდულობს სარჩო-სანოვაგას, მიაქვს ბებოსთან სახლში და მერე იმასაც უმონყალოდ ურტყამს. მგონი, გამომჩრა, რომ ბაბუაც სვამს, თან ბაზარში, თან გაურკვეველი წარმოშობის არაყს და შემდეგ ისიც მაგრად აფრენს. სანყალი ბებო კი ათუხთუხებს ქვაბებს, რეცხავს საცვლებს, ალაგებს დალენილ ავეჯს და თავის გაჩენის დღესაც მალმიმალ წყევლის, რადგან ამ საგაფრთხი უწევს ყოფა-ცხოვრება.

მამბლა: რას მიყვები ახლა შენ, ვერ მივხვდები...

ნიკომ: რატომ არ წამიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“.

მამბლა: ბატონო?

ნიკომ: მას, იმ ამბავს გიყვებით, რატომ არ წამიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“-მეთქი.

მამბლა: ააა...

ნიკომ: ჰოდა, მეძახის ეს ჩემი მეგობარი, დროზე ჩამო, მაგარ ადგილზე უნდა წავიყვანო. მეც მეტი რა მინდა, ოღონდ კი ვინმემ სადმე წამიყვანოს და რამე თავმსაქცევს მანქანაში, უკან არაფერზე დავიხევე. გავიხურე კარი და ისეთი ხმაურით ჩავიბინე ჩვენი ნიკოლოზისდროინდელი სადარბაზოს ხის კიბე, რომ თავზარდაცემული მეზობლების წყევლა-გინება გარეთ გასულსაც კარგა ხანს მესმოდა. აბა, რა ხდება, რა ამბავია-მეთქი და იმანაც ეგრევე მახარა, მეგლო რომ არის, მაგის ერთმა ძმაკაცმა მილიციელს იარაღი მოჰპარა და წამო, დავადგეთ, იქნებ კიდეც გვასროლინოსო. ეს მეგლო მაგარი გამოსირებული ტიპია, მაგრამ რატომღაც მასთან მაინც ვმეგობრობთ. მაგის ძმაკაცი კიდეც მაგაზე ორჯერ უფრო გამოსირებული ტიპი გახლავთ, თუმცა მაგასთანაც ვმეგობრობთ. მოკლედ, ცოტა უცნაური კია, მაგრამ თითქმის ყველა გამოსირებულთან ვმეგობრობთ და ამით კიდეც დიდად ვამაყობთ. ჰოდა, დავადექით სადღაც ზემო კუკიაზე მეგლოს მეგობარს და მოვთხოვეთ, ეჩვენებინა მილიციელისთვის მოპარული „მაკაროვი“. იმანაც დაუყვედრებლად აიწია მაისური და დაგვანახა ქამარში გარჭობილი ფიშტო. ვაააო, თითქმის ერთდროულად აღმოგვხდა ორივეს და ასევე თითქმის ერთდროულად შევეყვედრეთ, გეხვენები, დამაჭერიწე, რაო. იმანაც, აქ ვერა და წამო, „ჰადვალში“ ჩავიდეთ. ჩვენც ჩავედით რაღაც შარდის სუნით აყროლებულ ბნელ სარდაფში და კარგა ხანს ვატრიალეთ ხელში საკმაოდ გაცვეთილი „მაკაროვი“.

მამბლა: ნიკო, რას მეუბნები, რომ იარაღით თამაშობდი?

ნიკომ: კი, მას ეგრე იყო. აღმოჩნდა, რომ



გამოსირებულ მეგლოს მასზე უფრო გამოსირებული ძმაკაცი აბანოში ყოფილა დასაბანად და იქ თვალი თავისი მეზობელი მილიციელისთვის მოუკრავს, რომელიც საერთო ნომერში გახეული მთვრალი ტიტველი დარბოდა და ერთობ ასაკოვან მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსნებს დაჭერობანას ეთამაშებოდა, მისი ფორმა და ტაბელური იარაღი კი იქვე კუთხეში სრულიად უმეთვალყურედ ეყარა და მომავალ პატრონს ელოდა. ეს ჯიჯარაც მისულა და, მართალია, მილიციის ფორმა არ ჩაუცვამს, თუმცა „მაკაროვი“ დაუღლიავებია და გასაპნული გამოქცეულა იქიდან. მერე სახლში მისულა, ცივი წყლით უბანავია და მთელი უბნისთვის მოუდია თავისი საგმირო საქმე. ოღონდ ყველასთვის უთხოვია, ეს ამბავი სხვასთან არავისთან მოჰყვებო, თორემ უეჭველი დამიჭერენო. ასე მოაღწია ზემო კუკიიდან ქვემო პლენანოვამდე ამ უჩვეულო ამბავმა სულ რამდენიმე საათში. იმ მილიციელამდე კი, რომელიც მეგლოზე და მის მეგობარზე კიდევ უფრო გამოსირებული გამოდგა, ამ სიახლემ რატომღაც სამ დღეში მიატანა. არადა, გამომძიებელია და წესით მაგას სულ პირველს უნდა სცოდნოდა ყველაფერი, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ზეგამოსირებული გახლავთ და ამიტომაც სამი დღე სად აღარ ეძება ეს თავისი ფიშტო და აზრადაც არ მოსვლია, საკუთარი მეზობელი დაეკითხა, რომელთან ერთადაც საერთო აბანოში იმყოფებოდა.

მამბლა: ნიკო, ეს ხომ კრიმინალია?

ნიკომ: მგონი, კი, მას. ჰოდა, ამ მილიციელს უბნის მალაზიაში მოუსწენია ამბავი, ერთმა ყმანვილმა, თავის მეზობელ ოპერმუშაკს როგორ მოჰპარა აბანოში „მაკაროვი“ და... და, აი, მაშინ კი წაიშინა თავში ხელები ამ მილიციელმა, აუ, ასე ძაან მართლა რამ გამომასირო და უმალ სტუმრად ეახლა თავის მეზობელს. ის, რა თქმა უნდა, უარზე დადგა, წარმოდგენა არა მქვას, რაზე მესაუბრებო. ესეც ჯერ დაემუქრა, დაგიჭერ და ციხეში დაგალობო, მერე დაუყვავა, მაგარს გაქეივებ და ბოზებშიც წა-

გიყვანო. სულ ბოლოს, როცა მიხვდა, არაფრის დამბრუნებელი ის არ იყო და მისი კარიერაც ამ „მაკაროვის“ ამბავს ნამდვილად გადაწყვეტოდა, მუხლებში ჩაუვარდა და ფეხები დაუკოცნა, გვედრები, არ გამწირო და უმუშევარს ნუ დამტოვებო. ეს საქმე რომ გასკდეს და გამიბაზრდეს, იარაღი დაკარგაო, ეგრევე მომხსნიან და შეიძლება, პასუხისგებამაც კი მიმცენო. საბოლოოდ, ორას დოლარზე გაიგდენ და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

მამბლა: მერე?

ნიკომ: მერე არაფერი. ყველა ისევე ისეთივე გამოსირებული დარჩა, როგორ მანამდე იყო და ცხოვრებაც ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. შესაბამისად, ვერ მოვასწარი „დიდოსტატის მარჯვენის“ წაკითხვა, რადგან ძალზედ გამიტაცა ამ ამბავმა და თითქმის მთელი კვირა ვცდილობდი, გამოემერკვია, რით დასრულდებოდა ეს დრამა.

სახიფათო ნირჰანა

მამბლა: ნიკო, პოეზია?

ნიკომ: რა პოეზია?

მამბლა: ჩვენი პოეზია, რომანტიზმი.

ნიკომ: არაა, არ არის, მას, ეგ ჩემი.

მამბლა: მერე რატომ, ნიკო?

ნიკომ: რავი, ძალიან ბევრი სიკვდილია პოეზიაში.

მამბლა: სიკვდილი?

ნიკომ: დიახ, მას. სწორედ სიკვდილი მოუწონავს ყველა ხვრელიდან, ყველა სტროფიდან, ყველა ამოსუნთქვიდან...

მამბლა: არადა, არ არის ასე. მამ რომანტიზმზე რას იტყვი? განა ეგაც სიკვდილია? ანდა ჩვენი უახლესი პოეზია და მისი შედეგები?

ნიკომ: მანდაც სულ სიკვდილია... სწორედ მაგ პოეტურმა სულისკვეთებამ მოკლა ბარათაშვილი, პაოლო, გალა და, რავი, კიდევ რომელი ერთი...

მამბლა: მგონი, გეშლება, ნიკო რაღაც, ჩემო ბიჭო, რადგან ბევრი რამ არც პოეზიისა და არც სიკვდილისა გაგეგება.



ნიკომ: ეჰ, სამწუხაროდ ერთისაც გამეგება, მას, და მეორისაც... ამას წინათ მე და ჩემი მანანალა მეგობარი ერთ კლასელს შევხვდით სპორტის სასახლესთან და მერე იმან თავის უბანში დაგვპატიჟა სამოგზაუროდ. რა თქმა უნდა, სულ ბნელი და საამაყო ადგილები მოგვატარა. იქაური კოლორიტიცა და გიჟებიც თანაბრად გავაცნო. მოკლედ, სტუმარ-მასპინძლობაში თავი არ დაზოგა და რადგან ცაში ვერ აგვავრინა, სულ მთლად ფსკერი დაგვათვალიერებინა. არადა, ის თავს იწონებდა და ჩემთვის კი მისი მეგობრის სახლი, სადაც ცოტა დავლიეთ და მერე გავაბოლეთ კიდევ, მართლაც სრული ფსკერი აღმოჩნდა. მგონი, იმ ბინაში ორი ძმა ცხოვრობდა. ისეთი ანეწილი სახლი ჰქონდათ, აშკარად მეტი წილი მართო და უმეთვალყურედ უნდა ყოფილიყვნენ. მერე, როცა მათი დალილი-დაქანცული დედაც გავიცანი, რომელიც სახლში მოვარდა, ერთი ტაფა კარტოფილი შეწვა და ეგრევე მეორე სამსახურში, სადღაც სადღეღამისო მაღაზიაში, გაიქცა, აი, მანდ დავრწმუნდი, რომ ამათ პატრონი ნაღდად არავინ ჰყავდათ.

მამბლა: აჰა, როგორც მიხვდით, ახლა მორიგი ამბის თხრობა დაიწყე და ეს გაცვეთილიც უნდა ჩამიშალო, ხომ?

ნიკომ: ეგრე გამოდის, მას. ჰოდა, ერთი ძმა, თუ სწორედ მახსოვს, უფრო ჩვეულებრივი ბიჭი უნდა ყოფილიყო, რადგან დიდად არც დამამახსოვრდა, აი, მეორე კი მაგრად ურიკინებდა. „ნიკონანა“ ჰქონდა ბოლო ხმაზე ჩართული, თავზე ბუნებულა ნაეკრა და ხელში გარდაცვლილი მამის დანატოვარ „ნაგანს“ ათამაშებდა. რაღაც როკერისა და ქუჩის ბიჭის უჩვეულო ჰიბრიდს წარმოადგენდა და უცებ ვერც მიხვდებოდი, სად გადიოდა ზღვარი მის უწყინარ იერსა და ძალზედ „მანყინარ“ ხასიათს შორის. განსაკუთრებით კი ის დამამახსოვრდა, ეს ყმანვილი საწოლზე ფეხსაცმლის გაუხდელად რომ აძვრა, მუსიკას აყოლილი გიჟივით დახტოდა და სრულ ექსტაზში მყოფმა კედელს ტყვიები დაახალა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ჩვენ კი არა, მგონი, კურტ კობეინიც დადუმდა. ან კი კასეტა დამთავრდა და სიჩუმეც უბრალოდ ამ მომენტს დაემთხვა... დაცხრილული კედლის ქვეშ კი გაჯისა და შპალერის ნაფლეთებში იჯდა ერთი მალალი, შავგვრემანი და თმახუჭუჭა ბიჭი, რომელიც საც ფერი სულ დაჰკარგოდა. რას სწვები, შე სირო, მკლავო, აკანკალეულმა შეჰყვირა და ფიშტოიან მეგობარს ბალიში ესროლა. აშკარად ბუნებურად დარჩენილიყო, რადგან კარგად რომ დავაკვირდით, ტყვიებმა მართლაც, ყურის ძირში გაუარეს. იმ გადარეულმა მსროლელმა კი ხმამაღლა გადაიხარხარა, ნირვანაში ვარ გასული, ჩემი დედა ვატირეო, ბალიში ჰაერში აავდო და ახლა მას დაუშინა ტყვიები. მთელი ოთახი თეთრი ბუმბულით გაივსო. მანანალამ, ნავედი აქედან, ერთი ამითი სულელი დედაცო და ჩვენც წამოვვდით. უკვე ძალიან არასაინტერესო იყო მაგათი შიდა ძმაკაცური გარჩევები და გაფრენები.

მამბლა: ნიკო, იცოდე, პოეზიის გარეშე მართლა არაფერი გამოვივა და მიუხედავად იმისა, გადასარევი მთხრობელი ხარ და ამბებიც ერთობ საინტერესო გაქვს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ან რომანტიზმისა და ან კი სიკვდილისა რამე გაგეგება.

ნიკომ: მერე გავიგეთ, რომ იმ ბუნდენიანმა გადარეულმა ერთ-ერთ მორიგ ნირვანაში გასვლისას მაინც მოკლა ის თმახუჭუჭა ბიჭი და მიუხედავად იმისა, ვილაცები იხანდენ, გაუვარდა და განზრახ არ მოუკლავსო. ჩვენ ეგ ამბავი საერთოდ არ დავიჯერეთ.

მამბლა: მართლა მოკლა, ნიკო?

ნიკომ: დიახ, მას, მართლა, მართლა...

სტადიონზე ოთხმოცდაათიანაში

მამბლა: მოდი, ნიკო დღეს შენ ცოტა მოშორებით დაჯექი. რაღაც ვერ ვარ კარგად, მგონი, ვცივდები და რამე არ გადაგდო, მეშინია. არადა, მეგონა, უკეთ გავხდებოდი, დილიდან მივაყარე წამლები, თუმცა შევცდი. აშკარად სიცხეს მაძლევს, ისე მამცივებს.

ნიკომ: მე არ მეშინია, მას, გაცივების. არ ინერვიულოთ, არაფერი გადამედება.

მამბლა: რომ მცოდნოდა, ასე ცუდად ვიქნებოდი, გადავდებდი გაცვეთილს და აღარ მოგიყვანდი. მაპატიე, ნიკო, ასეთ

დღეში რომ დაგხვდით. მივწვები მე აქვე ტახტზე და შენ კიდევ წამიკითხე, რაც დანერე.

ნიკო: კარგი, მას.
მამა: აბა, რა უნდა დაგენერა, ერთი შემახსენე?

ნიკო: თავისუფალი თემა, მას.
მამა: აბა, გასაგებია. და რაზე უნდა დაგენერა? სათაური რა იყო?

ნიკო: რაზეც მინდოდა, იმაზე, მას.
მამა: მერე შენც რაზე დანერე? რა თემა აირჩიე? რა სათაურით?

ნიკო: ომზე, მას.
მამა: ვაჰ, მე მოგეცა ასეთი თემა? დავიჯერო, მე გირჩიე, ომზე დაგენერა?

ნიკო: არა, მას, წინაზე ადრე დავამთავრეთ გაკვეთილი, სადაც გეჩქარებოდათ, მგონი, გასვენებაში და ასე მითხარით, რაზეც გინდა, იმაზე დანერე თავისუფალი თემაო.

მამა: აბ, ახლა გამახსენდა. ჩვენი სკოლის დირექტორს დედამთილი გარდაეცვალა და იქ გასვენებაში ვიყავი მისასვლელი. მიდი, აბა, დაიწყე და წამიკითხე, რა დანერე.

ნიკო: ერთ დღესაც ისევ ის მგელო მოვიდა და ამბავი მოიტანა, ხვალ სტადიონზე დიდი გარჩევა იქნებაო. ისე ამ მგელოს, მგონი, მხოლოდ ჩვენ ვთვლიდით მაგარ სირად და ისე კი დიდი ავანტიურისტი ვინმე გახლდათ. რამდენიმე დღის წინ თავის უბანში ჩხუბი მოსვლია იქაურ ყოჩებთან და ახლა ხალხს რაზმავდა, საკადრისი პასუხის გასაცემად. დადიოდა ასე კარდაკარ და ვისთვისაც ოდესმე გამარჯობა უთქვამს, ყველას ამ საზეიმო ღონისძიებაზე ეპატივებოდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩვენს გარეშე ვერ ჩავივლიდა და მე და მანანალაც მიგვიწვიეს. პირადად გვეახლა და მოსანვევიც გადმოგვცა. არც დეტალებზე საუბარი დაზარებდა და ისე მაგრადაც დაგვამუშავა, ეცითო, ვინმეზე რომ ეთქვა, ძვილიანად შევჭამდით. ახლა ვხვდები, რომ, მგონი, გამოსირებული ის კი არა, ჩვენ ვიყავით. დიახ, მე, მანანალა და კიდევ მთელი ის არმია, რომელიც მის დაძახებულზე ბრძოლის ველზე გამოცხადდა. ისე, ერთი ეგეთი მონადინებული კაცი კრწანისშიც რომ გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, ეგრე მარტივადაც ვერ დაგვჩაგრავდნენ.

მამა: ნიკო, არ მძინავს, უბრალოდ თვალს ვასვენებ.

ნიკო: მოკლედ, მთელი სტადიონი ხალხი შეკრიბა და თბილისის რომელი უბნის წარმომადგენელს აღარ ნახავდი იქ და რა იარაღი აღარ შეგხვდებოდათ მათ არსენალში?! ქვითა და კეტით შეიარაღებული მებრძოლის მხარდამხარ ავტომატიანი კაციც კი იბრძოდა. ერთი პირობა იმის საფრთხეც შეიქმნა, ეს ამდენი უცხო ადამიანი ერთმანეთს არ დავრეოდით, თუმცა მგელომ, ჩვენ სტადიონის ერთ მხარეს დავდგეთ და ისინი მეორეზე დაეყენებოდნენ. მგონი, სხვადასხვა ფერის მაისურების ჩაცმა უფრო კარგი იდგა იყო, თუმცა მის ავტორს ყური არავინ ათხოვდა.

მამა: მოკლედ, არ ეშვები, ნიკო, შენ ამ ფანტასმაგორიულ ამბებს, რა. სულ ჩემს გაცურებაზე ხარ. ან ეს როგორი თავისუფალი თემაა? ან ეს როგორი სათაურია და საერთოდაც, სადაა აქ ან თემა და ან ომი? აი, უკვე სიცხემაც კი ამინა და ასე თუ გააგრძელებ, იცოდე, შენ მომიღებ მე ბოლოს.

ნიკო: ჩემ ომზე დანერე, მას. მე რომელ ომშიც ვიყავი, მე რომელი ომიც ვნახე და გამოვიარე. ნამდვილი ამბავია. გაავარძელო? კარგი. სად დაგენერე? ჰო, აგერ... ესე იგი, ბრძოლის დღეს ისე მოხდა, რომ როდესაც ჩვენ ყველანი სტადიონზე შევიკრიბეთ და ერთმანეთს გულდასმით დავუთვალეთ კუნთები, მონინალმდევე არ გამოცხადდა. თურმე, როგორც მერე გაირკვა, მან არც არაფერი უნყოდა ამ შეხვედრის შესახებ და მგელოს ჩანაფიქრის მიხედვით, ჩვენი თავყრილობაც მოულოდნელ თავდასხმაში უნდა გადაზრდილიყო და არა, როგორც გვეგონა, მტერთან პირისპირ შეკრებაში. ამ ამბავმა ცოტა დაგვაზანია, რადგან ამდენი ხალხის ასე ჯოგად ქუჩაში სიარული და მონინალმდევის ძებნა, მთლად კარგი აზრი ნამდვილად არ გახლდათ. გამოსირებული ეძახე და მგელო ამ ამბისთვისაც მზად აღმოჩნდა. პატარა ჯგუფი შეკრა და მტრის საძებნელად მათთან ერთად გასწავლა. ჩვენ კი ასე დავგვიბარა, ფეხი არ მოიცვალოთ, მონინალმდევე შეიძლება, ამ სტადიონზე თავად გამოცხად-

დეს, რადგან ფეხბურთის თამაში ძალიან უყვარს და აქაურობასაც ხშირად სტუმრობსო. მგელო და მისი რაზმი ჩქარი ნაბიჯით გაგვმორდა. ჩვენ კი დავრჩით და მტანჯველ მოლოდინში ჩავიძირეთ. საათი საათს მიჰყვება და საშინელმა მონყენილობამაც დაისადგურა. საბრძოლო ჟინი სრულიად გაქრა და მანანალამაც, წამო, ჩვენ უბანში გადავიდეთ, დაგვხვდით იქაურობას, ჩვენი ბიჭებიც ვნახეთ, ამბავიც მოვუყვით, ცოტა ნავიხემსოთ და, მოკლედ, ოღონდ ამ მონყენილობას ცოტა ხნით თავი დავაღწიეთ და რაც გინდა, ის ვქნათო. ჩვენც ნამოვლდით და, მგონი, ასე არც არასდროს გაგვემართლებია, რადგან იქ ისეთი დაუნდობელი ამბები მოხდა, იქნებ, სალ-სალამათებს ვერც გამოგვესწრო.

მამა: სალ-სალამათი ერთად გინერია თუ დეფისით?

ნიკო: დეფისით, მას.
მამა: სწორია. გაავარძელო.

ნიკო: მართალია, ჩვენ უბანში საინტერესო ბევრი არც არაფერი ხდებოდა, თუმცა დრო ისე გაიპარა, მთავარ ღონისძიებაზე მაინც დაგვაგვიანდა. ნუ, ძალიანაც არა, თუმცა დანიშნულების ადგილზე რომ გამოვცხადდით, იქ უკვე ტყვიების წვიმა მოდიოდა. სწორედ შეაღებულ ადგილზე მდგომი სტადიონის კედელზე აძრომი-სას გაეარდა პირველი ტყვია. ვილაცამ ავტომატი დააკაკანა და მერე მიჰყვა სხვა დანარჩენი არსენალიც. იბუთქა და იქუხა იქაურობაში. ცა ჩამოივლიდა ფეხად. ჩვენც იქვე, კედლის ძირში, ჩავხვედით და ინსტინქტურად ხელები სახეზე ავიფარეთ. კარგა ხანს ისროდნენ და ასხლეტილი ტყვიების წუილიც მთლად ყურთან ჩავგვესმოდა. მერე, როგორც კინოფილმებშია ხოლმე, საიდანაც გაისმა მილიციის მანქანის სირენის ხმა და სტადიონზე აძრომამაც აზრი დაეკარგა. მანანალამ ერთი კი გაიბრძოლა, უცებ ავძვრები და დავხვდავ იქაურობასო, მაგრამ ვილაცის მძლავრმა ხელმა ადგილზე გააქვავა, აბა, ახლა დროზე მოხიეთ აქედანო. თურმე მარტონი არ ვყოფილვარო იქ ჩამოვლილი და გვერდს ვილაც სხვა მებრძოლებიც გვიმძვინებდნენ, ოღონდ ერთმანეთს ისე დავმორდით, ისინი ვის მხარეს იყვნენ, ეგ უკვე აღარ გავვირკვევია. ისე მოვეკურცხლეთ იქიდან, ქუსლებს სულ კეფაში ვირტყამდით და მომდევნო რამდენიმე კვირა უბნის გარეთ ცხვირი არ გავიყვია. ან კი სად დაგიდოდით, როდესაც ტელევიზორში იმავე საღამოს გამოაცხადეს, ქალაქის ამა და ამ უბანში სროლა იყო, სამი კაცი დაიღუპა და ხუთი კი მძიმედ დაიჭრაო. რა თქმა უნდა, მგელო გადარჩა და დაიღუპნენ ვილაც სხვები. მაგისიანებიც და სხვისიანებიც, მათ შორის ერთი გამგელოცო. თუმცა დაიჭრა და მერე ძალიან დიდხანს ინონებდა თავს, როგორც მომხდარი თავგადასავლით, ასევე უშველებელი ნაიარევით ფეხზე. რა თქმა უნდა, ამ გარჩევის ძალიან ბევრი მონაწილე დაიჭირეს და ციხეშიც გაუშვეს. აი, მგელო კი ისევე სასწაულებრივად გადარჩა. როგორც მერე გაირკვა, დედამისს უფა-უქაცია და გაავებული მილიციელებისთვის არ დაუნებებია მისი თავი...

მამა: დიდი ფანტაზიური ვილაც ხარ შენ, ნიკო, და რომ გისმენ, თავი სულ კინოში მგონია. და რაც არ უნდა საშინელ თუ სასწაულ ამბავს ყვებოდე, მაინც სულ კარგ ხასიათზე ვდგები და სულელივით ვიციანი.

ნიკო: მართლა ეგრე იყო, მას, ეგ ამბავი და ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, ეგ ქალი ძალღებთან იყო შეკრული და თან მათი საყვარელიც გახლდათო. რა თქმა უნდა, ჩვენ არც ეს ამბავი დავიჯერეთ, თუმცა, აბა, ვინ იცის, სად მარხია ძალის თავი?! ოთხმოცდაათიანები კიდევ ხომ სწორედ ის დროა, როცა ძალები და ბოზები, და არა მარტო ეგენი, ერთმანეთში მშვენივრად ლაგდებიან, თანაცხოვრებენ და ჩვეულებრივი ხალხი კი პანტაჟუნტით იხსცება?!

მამა: და პანტაჟუნტით ერთად თუ დეფისით?

ნიკო: ერთად, მას.
მამა: სწორია. ძალიან კარგი ბიჭი ხარ შენ, ნიკო. გაავარძელო.

ნიკო: მოვრიჩი, მას. სულ ჩემი ომის ამბავი.

მამა: დედას გაფიცებ, ეს ყველაფერი გამოიგონე, ხომ?

ნიკო: არა, მას, დედას გეფიცები, ჩემი თვალთ ვნახე და პირადად შევესწარი ამ ყველაფერს.



ანდრო ლაშქარაშვილი:
მე რატომ არ მკითხეთ არაფერი? როდისმე ჩემთვის რო გეკითხათ და დაგეგვრებინათ, არც თქვენს ამოხოცვას დაგეგმავდი და არც ცოდვილები ვიქნებოდით. არც მე და არც — თქვენ. მე რომ დავიბადე, ისიც ბავშვი იყო. ძალიან, ძალიან, ძალიან ცოტათი უფრო დიდი ბავშვი და ამიტომ ხართ შეუგნებელი ბრძები და ყრუები. თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ზუსტად იმხელა ტვინი მქონდა, რამხელაც ახლა მაქვს. ნვერიც ზუსტად იმხელა მქონდა, რამხელაც ახლა... ანდაც საერთოდ რას გიხსნი, თითქოს ახლა მეკითხებოდეთ რამეს... თითქოს საერთოდ რამე გაინტერესებდეთ თქვენი სუნიანი ფანტაზიების გარდა. ბებურო დედაკაცებო, თქვენ ყველაზე მეტად მეზიზღებით, ის რომ ასეთი ლამაზი იყო, თქვენ კი ასეთი ზედმეტი რომ ხართ ამ დედაფეთქებულ პლანეტაზე, იმიტომ. მორალის ამორალური დარაჯებო. გასარეცხი ნიფხვებით რომ ინონებთ თავს თქვენს აყროლებულ საკნებში. რომელ მორალს იცავდით? თქვენ ხომ ნამდვილი დამნაშავეები ხართ... ზოგს ფულის მოტეხვა დაგიმტკიცეს, ზოგს მარტოხელა ბებური რუსის მონაბეღა, ზოგს კი რეიტინგში ორი კილო გერკა გიპოვეს. ნეტა თქვენი კაიფარკი შვილებისთვის მიგეხედათ და სხვების ცხოვრება არ გენგრიათ მობლაგვებული აგურებით. მაგრამ შურიანები ხართ. ყველაზე მთავარი გმურად. ის, რასაც ჩემ ფეხებზე დაიბრუნებთ. ახალგაზრდობა გმურად, კლიმაქსიანი კრიმინალეზო. ცალ-ცალკე დაგივლით ყველას. არ იცით, ვინ გადაიკიდეთ...

მაკა არონია:
სული მეხუთება. ბავშვობაში მსოფლიოს მოვლა მინდოდა. ნეტავ მაინც თუ მოველი როდისმე? იმედს თუ დავკარგავ, ჩემი სიკვდილიც მაშინ დაინყება. ძალიან ნელა მოვკვდები და ესენი სიცილს ატყევენ. რა კარგი იყო, მსოფლიო ატლასში ვათვალ-იერებდით უამრავ ლამაზ ადგილს. ნერვები მემღებოდა, რომ ყველაფერი შორს იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ დიდი გავიზრდებოდი, ჩემი ფეხებიც გაიზრდებოდა და ალარაფერი იქნებოდა შორს. მგონია, რომ ახლა გაზრდილი ვარ, მაგრამ ასე შორს არასდროს ვყოფილვარ ჩემი ოცნებებისკენ. მემინია. აფთრებივით მიყურებენ და ყველა სქელი, ძლიერი მკლავები აქვს. ნეტავ მეც ასე გამისქელდება მკლავები? იქნებ წლების შემდეგ მეც მოკლე თმა ვატარო და ასეთი საშინო თვალებით ვუყურო დაბნეულ ახალგაზრდებს. ტატუს გავიკეთებ. მხარზე დავიწერ რაიმე ისეთს, რაც ძალიან მიყვარს. „ჩემი სკოლა“. არა, ეს საერთოდ არ ჯდება ჟანრის წესებში. რაიმე უფრო ბანალური და ნაკლებად აკადემიური მჭირდება. კაცებს „დედა“ აწერიან ხოლმე, მე „მამას“ დავინერ. გუშინ მაგული გამეცნო. ორმოცდაათი წლის იქნება. ძალიან გრძელი ნარბები აქვს. სადაც ბუნებ უმთავრდება, იქიდან შავი ფანქარი აქვს დამატებული. მითხრა, ქურდი ვარო. მე მეგონა, რომ მხოლოდ კაცები არიან ქურდები. თურმე მაგულიც ქურდი ყოფილა. მითხრა, რომ ვერავინ შემეხება, რადგან მას არ უნდა, რომ ვინმე შემეხოს და ბოლოდღე დამიცავს. აქ ყველას ეშინია ჩემი, იციან, რომ ვინმე თუ არასწორს იზამს, ყელს გამოვჭრიო. გამიხარდა, ვიფიქრე რომ უხეშია, მაგრამ კეთილი. აქ მეგობრების გარეშის ილუზია არ მაქვს. ვიცი, რომ აქაურებიდან არავინ გამყვება ცხოვრების ბოლომდე, მაგრამ ვინმე მჭირდება. ვინმეს უნდა დაეუახლოვებ, რადგან ვხვდავ, რომ ყველას

ჩემი შეჭმა უნდა. ამიტომ გამიხარდა მაგულის გამოჩენა. მერე ფეხზე შემეხე. მე შევხე. გაიღმა და თმაში ხელი შემეცურა. ვკანკალებდი, ის კი მკოცნიდა და საჯდომს მისრესდა. უფრო შემეშინდა. თავი გავითავისუფლე და გავიქეცი. მომადახა, ან ჩემი პასტიანკა იქნები ან აქ ყველა შენს დედის ტყვენაში დაილტვებაო.

ანდრო ლაშქარაშვილი:
ცხრა წელია, აქ დავდივარ და გაკვეთილი არ ყოფილა, მე რო ძილი არ მომრეოდა. რაც ეს გამოჩნდა, გავცოცხლდი. რუსულის მასწავლა ვალა ჩერნეცკომ მითხრა, ლაშქარაშვილი, ია დუმაიუ, ტი ლუბოვ რალაცაო... მგონი, სიყვარული იზოვეო თუ რავი... მოკლედ, ვალა ცხოვრების აზრზეა, მგონი. რალაც მოარტყა. ამ ბოლო დროს სულ სხვა ანდრეა ვარ. ცოტა მიტყდება კიდევ. სკოლაში სიარული მიხარია და ლოხი ხო არ ვარ, ეგ რო მიხაროდეს? არა, ის არ იფიქროთ, დებილიაო, ან ოროსანიო. მაგარი იდეინი ბიჭი ვარ. პროსტა, ეს ნესები არ მიყვარს. ცხრაზე შედი, იმას დაუჯერე, ამას გაუცინე... სწავლა ჩემ პონტში მომწონს. ვიკიპედიაში ვკითხულობ ხოლმე რალაცებს. შეიძლება, უზრდელოც ვარ, არ ვიცი. მგონი, ჩემ ჩვევებს უზრდელობა ჰქვია. მოკლედ, ახლა გაიჩითება. ვაბე არაა ეგ ზმანი გოიბური. ატრაკებენ ჩემი კლასელი გოგოები. თვითონ რო ვერ ხოდავენ სტილს და ვიდს, იმიტომ. აჰა, ხო ვამბობდი, ნაცრისფერი კაბა აცვია, თეთრი, მაღალყელიანი ნასკები და სხვა ბასანოშკი. მამენტ, მე რო სხვა ამბავში არ დავსდევდე ამას, გოიმობაა მა რა ჩემი ფეხებია, მარა ეგრე არ უნდა იფიქრო ადამიანზე შორიდან. ადრე ვფიქრობდი ხოლმე და მაგრასაც მიეკარავდი, იმიტომ, რომ არხე ვერ მოხვალ, ვინ როგორ დაგვაზრება მერე და შეიძლება, მაგარი სოფელი ჩანდეს შორიდან მასტი, მარა სინამდვილეში ვაბე არ ჰქონდეს იუმორინა ნანახი. მე მაგას ამან მიმახვედრა. ხო გითხარით, რაც აცვია, მაგრამ პირს რო გაალებს, ეგრევე სიძერსკეს ღვრის და, ვაბეცა, ვისაც ცოტა დიეინი თავები გიხურთ, თქვენხელა გოგოები დაიკიდეთ და ცოტა ვზროსლებს ეწალიჩეთ. ვაბე სხვა ცხოვრებაა ვზროსლი. გზრდის და რამე. არა, ბიჭო, რა დამა ქალები მევასება. დამა ქალები ბაბუაშენს ევასება და ბაბუაშენისთვის კიდევ დამა ქალი ვინაა, იცი? ვინაა და, ჯინჯერ როჯერსი. სამასი წლის ქალი. მე ცოტა დიდებზე გელაპარაკები. თან რო დიდა და თან შენხელაა.

ლამარა ზადრიძე:
სულ დაკარგეს ამათ ჩვენი პატივისცემა. არადა, ვიფიქრე, ნავალ იმ საფრანგეთში, გამოცდილებასაც მივიღებ, ეიფელთანაც ვიპოზიორებ და ვიმკურნალებ კიდევ მეთქი. დროზე თუ არ ვიმკურნალე, აქ რას დამმართებენ, კაცმა არ იცის. საფრანგეთში კი კარგი ექიმები ჰყავთ და, მგონი, ონკოლოგიურ პაციენტებს ფულსაც არ ახდევენებენ. ყველა ოცნება გამინადგურეს ამ ახლადმოთრეული ლანირაკი გოგოს გამო. ცრემლები ძლივს შევიკავე, როცა გამოაცხადეს, რომ ფრანგულ მივლინებაში ჩვენი სკოლა ჩემს ნაცვლად იმ გველის წინილს უშვებდა. ის ხომ ახალგაზრდაა? კიდევ მილონჯერ ნავიდოდა, მაგრამ ყველამ და ყველაფერმა ჩემი ოცნება უნდა გაანადგუროს. სულ ასე გადიოდა ჩემი ცხოვრება. ესენი, იცი, როგორ გვიყურებენ? როგორც კომუნისტური სიბნელიდან გამოყოფილ ნაგავს. რა შუაშია საბჭოეთი?

დასასრული მე-6 გვერდზე



სარკიდან სახის გამოკრთომება,
სხვა გარჯილობა, სხვა მონდომება...

შენც რო გერევა, მეც რო მერევა —
უმი ღიმილი, რამე უმი ბედნიერება.

ყველას მაგიერ, ყველას მაგიერ ვებდავ:
ადამიანთა პირველი სახლი — დედა
და პოეზია! — თვალში ჩამდგარი სევდა!

ყურმახვილია თუ ყრუა ქარი,
შემენანა და გაუღლე კარი.
დავუნთე ცეცხლი, ბუხართან დავსვი
და მთელი ღამე არაყი ვასვი.

აბასთუმანი. XXს. 60-იანი წლები
რა ბიჭები დამიკარგავს, რა ტკივილი დამიტოვეს,
ყველა ერთად მეტირება, — ველარ გამოვათითოვე.

ყველაფერს ეძებ და ვერაფერს პოულობ,
შე მართლა ბებერო და მართლა დროულო.

მოვა, მოვა, მოვა და, მოვა თავის მიზნებით,
აწრდილების გროვა და მოჩვენება სიზმრების.

ფიქრები შემოვასიე და ქარიც მალე შეუსტვენს,
და ღამეს — ბნელის ნაშიერს, თმა ებურძღვება სხეულს.
ჭორხაბარობას ვერ ვიტან — ხელის აქნევით ვიშორებ;
ტექსტში ცვლილებებს შევიტან და ვიახლოვებ სიშორეს.

ყურს უგდებ ყაყანს, ყაყანში —
სიტყვების გამოქროლებას.
გგონია, მართლა გადარჩი?
გონებას მოუფიქრებია
და ხელს შესრულება შეუბედავს,
თუ მართლა გაზაფხულის სიზმრებია.

„სვეტიტა ღრუბლისაიათა“,
„სვეტიტა ცეცხლისაიათა“,
მოდინარ ანდა საიდან,
მიდინარ ანდა საითა.

ცხადში კი არა — სიზმარ-სიზმარ ლასლასიც დამღლის
და ბებერ მუხლებს მიზეზ-მიზეზ ერთმევა ძალა;
ცუდი ამბავის ნიშანია ყმუილი ძაღლის —
ჩავლილს ვინ ჩივის — ხვალინდელი ხიფათიც მზარავს.

ეჭვის ახალი აფეთქება ადრინდელს არ ჰგავს,
სიტყვის სიტყვასთან მიდევნებით დაეძებ იმედს,
მარილიან ცრემლს
კურცხალ-კურცხალ ასხურებ ქალაღდს
და გინდა, ასე აიშრატო ამინდი მძიმე.

ცხოვრება ცრემლია და სიცილია, —
ტკბილ-მწარე დაებედა ბარეორს;
როცა ქარს ფრთამწატე ნისლი მიაქვს —
სხვა თვალთ იყურება გარემო.

სიმდაბლით სინანული შეიმშვენე
და ყოფნა შეიმშვენე შენი;
ლოცვისას ხელებს რო შეიშვერენ,
შელმა რო შეიშვერენ — შევნი!

იყო სილამაზესთან ახლო,
ნიშნავს — სიკვილთან ახლო იყო.
უმზირე, ხელი არ ახლო!

ნაჩალარები უსტვენენ, ყინვას მოუჩანს კბილი,
ფერდობებიდან უსმენენ ჩირგვები ქარის ტირილს.

სიზმარი ნავიმეგზურე, ვთვლემ.
ბუხრის ახლოს ვზივარ,
ზღაპრის გუდაში ხელს ვურევ,
ტანში მამტვრევს და მცია:

ბებრების დასულელება და დაბრძენება ყრმათა,
მუხლში რო ძალა გელევა,
თვალს რო კურცხალი გათქვამს,

გამბედავობის ჯავშანით შეჭურვილობა გვმართებს,
მომდგარა კარზე ზამთარი —
თოვლი შეფერის ამ მთებს.

ნაჩალარები უსტვენენ, ყინვას მოუჩანს კბილი,
ფერდობებიდან უსმენენ ჩირგვები ქარის ტირილს.

საკუთარ თავთან ახლოს ხარ —
ცრემლებით ამკობ აქ მოსვლას.
არსებობ? — ეს ნიშნავს სხეული გასხია.
სიცოცხლეს აზრი აქვს, სიკვდილსაც აზრი აქვს.
ლანდური ჩურჩული სხვა სიტბოს მოიტანს,
ახლოდან კი არა — შორიდან, შორიდან!..

სარკეს რო დააკვირდები და
ტბორს რო დააკვირდები,
შიშველ აწრდილთან მიგიყვანს და
ნონადობას გართმევს,
თანდათან დაიხვენება, დაუხვენავი რითმები
და თავმოყრილი გახდება თავმოყრული საქმე.

თვალში კურცხალი ციმციმებს,
გული, გული მაქვს ჩვილი;
მეტირება და ვიცინი,
მეცილება და ვტირი.

კულტი ნუთიერების, სარკე მარადისობის,
როცა შენ თავს ერევი, მხოლოდ მაშინ იცნობი.

რა წლები გადაიარე —
თვალთ გაზომვა გიჭირს;
ებრძვი ბავშვობის იარებს
დაბერებული ბიჭი.

როცა ხმაურით გული მეცვება,
დუმილით მინდა, ვწერო ლექსები.

განიძარცვე სამოსიდან, გამობრწყინდი ეთერიდან:
ღანვს კურცხალი ჩამოსცილდა —
გამო, გამო ეთერი და...

ბნელ ღამეში თუ გელიან, გულზე სევდა მონოლილს?..
სიყვარული? — დუელი! სარეცელი? — კოცონი!

ყოფნა ლანდური და ყოფნა მწატე,
ავი ხანძარი — რომანტიკოსის ლექსი;
ორ სიტყვას შორის „ტირე“ ხიდივით გადე
და მერე ფიქრი ხიდზე მგზავრით შესვი.

ფანტელივით თეთრი და ყინულივით ცივი, —
მსურდა, მაგრამ ვერ ვთქვი და ახლა ამას ვჩივი.

თეთრი გედი — ოფელია, უფრო თეთრი — რა და რო?!
მძიმე ნუთისოფელია, მწატედ უნდა ატარო.

დილის ბურუსია ფერფლიანი,
მთვარე ჩავიდა და მზე ამოდის.
უნდა შემინდო და შემეფარო,
ჩემი სევდიანი სამყაროთი.

ცრემლებით პირდაბანილი,
გალიმებას რო ვეცდები,
დავემგვანები ლერწებს თუ
დამემგვანება ლერწები.

გინდა, დაგესიზმროს ტბორი ჯავახეთთან? —
და შიგ მომაკვდავი გედი ჩაახედა?!

ცის უფსკრულები... ჩაგიცდა ფეხი
და შიში იგრძნო მთელმა სხეულმა —
მოულოდნელი ეს არის მეხი!

შემოდგომის წვიმანარე მწუხრთან,
რას ჩურჩულებს მოწყენილი მუხა.

ბუხარი — სოფლის ყალიონი,
ზის ღამე ბუხართან და ეწევა;
ჯერ კიდევ შორს არის ალიონი,
ეს გენიალური ფერწერა.

როდესაც ნევხარ და მშვიდად გძინავს,
მე ჩემ სიხარულს მოგართმევ ხილად.

ზოგჯერ მოცარტია და ზოგჯერ სალიერია,
ჭეშმარიტი პოეტი, მზერით ცაში წასული;
ფიქრობ, თავად ვინა ხარ და პასუხი ძნელია
და ლექსს სამი წერტილით და პაუზით ასრულებ.

შეძენილი თუ შეძინებული ღირსება —
თვალის უპე რო მლაშე კურცხალით ივსება!

მომსგავსებული ამბავი, ანუ იგივე — იგავი,
მიდინარ, გზა იხატება საშემოდგომო ფერით;
მითხარი, ახლაც ისა ხარ, რაც რო წარსულში იყავი? —
დაბნელებული სინათლით, განათებული ბნელით?!

მიინავლება ხილვა კეთილი,
ამწატებული ნისლის არილი,
შენსავე ფიქრში კარჩაკეტილი
და დუმილიდან ამოყვანილი.



თორნიკე კანდელაკი

მომავალი წიგნიდან „ქარბის სსსლი“

წვიმის ლირიკაში

გულს ამღვლებს ლირიკაში წვიმის, ეს თაღების ქვეშ ჩემი მხრებია, ვიგონებ ყველა ღვთაებრივ ღმერთს, გულს რომ ოდესმე შეჭვარებია.

წარსული, როგორც ძველი სერია, გადადის დღეთა ფირიდან ფირზე, ცივ კადრთა გარდა არაფერია, ამ ეკრანებზე რასაც ვეღვირე.

მუდამ ლახვარი გულზე მესო და ო, როგორც გინდა თვალი არულო, რაა ოცნება უაღერსო და რაა ცხოვრება უსიხარულო?

გულს ამღვლებს წვიმის ლირიკაში და ამ წვიმისგან საშინლად სველი, ჩემი წარსულის დადევნე პირისპირ, მაგრამ ისევე ბედშეუცვლელი.

წვიმის ლირიკაში გულს ამღვლებს, გულმა სიკვდილის იგრძნო შეხება, ვიგონებ რამდენ ნანატრ მწვერვალებს და მწუხარების კარის შეღებას...

და მაინც წვერი ოცნების მრევლის! სხვა სიხარულის ვცლი მე აქ თასებს, ცხოვრებაც ჩემი, ტანჯვებით სავსე, ჩაივლის ჩუმად მსგავსადვე ბევრის.

და სანამ მკერდში მედგმება გული, ვივლი მე ჩემი ოცნების გზაზე, ჩემზე არ ითქმის ბედის რჩეული, მე არ მიგებდნენ გზად ფიანდაზებს.

ო, გამუდმებით შენ გულს მისერავ და მხრებს ტკივილის ტვირთავ ტვირთებით, მაინც ვერასდროს, ჩვენ, ბედისწერავ, მოვრიგდებით და დავძობილდებით!

დანებებისკენ ისრებით სავსე გადაიხრება რამდენჯერ პინა, რამდენჯერ გზაზე ტალახებს დავხელთ და ჩაიმსხვრევა ტაძრების მინა.

და რომც ვიცოდე – ტყდება ხიდები, ანდა, გზის ბოლოს დგას ეშაფოტი, არ შემოძლია, არასდროს, ვარსკვლავებისკენ არ ვისწრაფოდე!

და აი, აქ ვარ, სად მზება მწველი, ყორნების ხმა და მახვილთა ტბორი, სად კიდევ ერთხელ გადაიხდის ველი ბრძოლას ბედსა და კაცის გულს შორის.

შენ, ჩემო გულო, წარსულის იქით, ბედს ისევ დუელს ოდეს შეხედავ, შენ გზად კურთხევად ენთება რიგი დიად სულელების მეოცნებეთა.

ამბობენ სხვანი, რომ ბედთან მტრობა ახალგაზრდული ჩქროლაა სისხლის, კურთხეულ იყოს ახალგაზრდობა, სიკვდილისაგან სულს ოდეს იხსნის!

დავიღუპებით, მაგრამ სირცხვილი ფეხს ვერ მოადგამს ჩვენს ვრცელ ნადიმზე, ასნი თასები ზეცას მიძღვნილი, გულო, წარსულში ოდეს გადამზერ!

სატოპას

მე გულს ვეღარ ვგრძნობ ჩემსას სრულიად, თუმცა, მენება სულ სხვა მე ნებით... და სულიც ჩემი მოხიბლულია ხიდიდან მტკვარში გადაფრენებით.

ქარმა ჩემს ნუგეშს ხელი დარია, ვეღარ ვადევნებ ცას უჭკნობ ღმერთს და მე სიცოცხლე არ მიხარია და არც რაიმედ სიკვდილი მიმიჩს.

ნადით და ჰკითხეთ რადა ვარ ასე, ეს ასე რომ ვარ, მისია ბრალი, მის გამო თვალი ცრემლით მაქვს სავსე, მის გამო გაჩნდა გულზე ნაპრალი.

დიდი ხანია, ცრემლების სურა რაც მივაბარე მის ბროლის ხელეხს, და თუ ცრემლი მდის, ნურავინ ნურა გულჩვილის სახელს ნუ მომაკერებს!

დიდი ხანია, გულის დაფები რაც მის ჯადოსნურ მივანდევ თითებს, და თუ ნუხილი დამენაფება, სხვა თავს საშველად ნუ გამოიძებს!

მის გამო არის, რომ მიდგას სული, სულსაც თუ დავლევ, ისევ მის გამო, შენს ცქერაში ვარ გამომწყვდეული, მწვერვალო მთის, თუ უძირო ხრამო!

და ამით კარგად სარგებლობ, არა? დამაცა, მოვა ალერსის ჯერი! მოთმინებასაც აქვს ჩემსას ზღვარი და თუ რისხვაში გადავიჭერი,

ვეღარაფერი გიშველის, ვერა! სულ ამაოა ყველა ფესტები, ვერც შენი ნაზი, მწუხარე მზერა, ნურც წარბის შეკვრას ნუ შეეცდები,

სულ ამაოა, ხომ გეუბნები! ტყუილად მიცქერ კნუტის თვალებით, მახსოვს ქალაქის ყველა უბნები, ამ სასჯელს ვერსად დაემალები.

რამდენმა ცრემლმაც დაბინდა თვალი, იმდენი კოცნა ცრემლების დამდენს! და ამას კიდევ ის მიათვალე, კომპენსაციად მოვიტხოვ რამდენს.

და ამას კიდევ ისიც, voilà! რამდენ სურვილსაც გულში ვმალავდი და ესეც ასე, გსურდა, თუ არა, ჩემი მოვალეც გახდი მარადი!

ეს ხუმრობით და თავისუფლება, რასაც ერთადერთს მე ვფლობდი ფლობით, რომ გაშლილიყო გრძელი სუფრები მომქონდა შენთან ხონჩით და გობით.

არ ახლდა ჩემს ფიქრს ბინის იოტი, როგორც ხატობას მოჰყავთ საკლავი, მომყავდა შენთან და მოვდიოდი ანკრიალებულ ხელში საკრავით.

რის დასათმობად ცრემლებს მადენდა წუთისოფელი მათრახით რკინის, მე, საყვარელო, მომქონდა შენთან სიხარულით და ცრემლებით ღმერთის.

ეს ასე იყო, სიყვარულს მუდამ მის სამსხვერპლოზე წმინდა ტარიგად თავისუფლება ინვოდეს უნდა, არ უმწყალობნებს იგი სხვარეგად.

ამქონდა მუდამ სამსხვერპლო წმინდა, მხედებოდა თასი ღვინით ულევით, კიდევ მრავალი ხატობა მინდა და გზის გათელვა სალამურებით!

რაც იკარგება ამქვეყნად, ვიცი, არცერთ დახარჯულ წუთს არ ვინანი, იყოს განგება, რა გინდა ფიცხი, – ვმლი მის წიგნს ლალი და მოციინარი.

ხომ დაიხარჯა ჩემი სიცოცხლე, გული ამ ცეცხლმა ხომ გადაბუგა, ხომ არ დამცხრალა ჯერ კიდევ ცეცხლი, შემომრჩა სული ისევე ჭაბუკად.

ის, რომ სახატეს მომელის ხატი, მე რომ მის წინ არ შემოცოდი, როცა ჭინკები დამდევენ ბადით, ეს ქვეყანაზე ცოტა როდია!

ყოველს ზეიმის სახე მიეცეს და ქუხდეს მესაც გამარშებული, ვინც ფეხი შევდგით ამ სარბიელზე, ვართ ნაგებულიც გამარჯვებულნი!

ეს გული ჩემი ისევ გულია, ისევე ამ გზაზე მივალ მე ნებით, ეს სული ისევე ანთებულია გასაოცარი აღმადრენებით!

გარს ანგელოზთა გუნდი გვივლია, იცნეს ალგებმა ცა წინანდელი, ჩემი სხეული დაფერფლილია და ვარსკვლავების ადგას ნათელი.

ზამთრის კარბთან

მე ისევ შენთან მოვედი, თამარ, შენ წინ მუხლებზე მინდა დავეცე, თუმც ამინდიდან არ დავა გამა ჩემი სიტყვების სიცოცხლეზე.

მე შენ მოგელი ჩუმს, ალერსიანს, ძველი კადრები არ იშლებიან, მაგრამ ჩვენ შორის ბევრი რელსია, ბევრი ღამე და ქარიშხლებია.

გაცივდა ჩვენი ოცნების სფერო... ისე, ნაღველს რომ არ შეეერევა, მინდა უბრალოდ რომ მომეფერო და ნაზი იყოს შენი ფერება.

ვიგონებ ყორნის ჩრდილს მაგიდაზე ტანს შემოხვეულს გველივით შანდალს... ჩემ ნუგეშებსაც ღამე იტაცებს და ყვავილივით კუბოს წინ ფანტავს.

მე ახლა ვხედავ, რომ მენატრები და მაგონდები ციურ სახლივით, იქნება უნდა მქონდეს ხათრება არ შევწყუოდე წარსულს ძალღივით,

მაგრამ მე ვწუხვარ და მენატრები, როგორც ტილოზე ედვარდ მანესი – მსურს ჩავასვენო ტანი ნათრევი შენი მკლავების თეთრ სავანეში.

მე ისევ შენთან მოვედი, თამარ, ღამეთა ხმაზე რეკავს ეს ზარი, მაგრამ სდუმს ბინა, როგორც აკლდამა, და სულში ზამთარს ეღება კარი.

დასასრული

მე ოთხმოცდაშვიდი წლიდან ზვიადის-ტი ვარ და ესეც რომ არ იყოს, რწმენაში ვარ ძლიერი და ვერაფრით მომაკერებთ იარაღის, რომ ჩემი პედაგოგიური უნარები საბჭოთა, ათეისტურ დამლას ატარებს. დამოუკიდებლობის პირველ, ყველაზე პატრიოტულ წლებში, მინისტრი ქორიძე ამბობდა, რომ ჩემზე კარგი ფილოლოგი არც ერთ ქართულ სკოლას არ ღირსებია და თქვენ რეებს მკადრებთ?! პირდაპირ მითხაროთ, ბებერი ხარო, რეებს ხლართავთ? არა, მე ახალგაზრდების წინააღმდეგი არ ვარ! როგორ შეიძლება, პედაგოგი ახალგაზრდობას უპირისპირდებოდეს? ჩვენ, პედაგოგები, ვქმნით ახალგაზრდობას! მაგრამ შეურაცხყოფა არ უნდა მოგვაყენონ! ოცი წლის ლაპებში არ უნდა დამისვან სკოლაში უსტაბაზად, როცა მათ იმდენი შოკოლადი არ აქვთ შეჭმული, რამდენი წელიც მე სისხლს ვღვრიდი პედაგოგიურ საქმიანობაში. ჩააბარებინებენ რაღაც გამოცდებს კომპიუტერთან და მორჩა, ვიღაც ლანჩიკი შენზე კარგია... ხო, მე საერთოდ არ ვიცი კომპიუტერის ხმარება, მაგრამ ეგ არაფერ შუაშია ჩემს პროფესიასთან! მეზიზღებით! ყველა მეზიზღებით, ვინც მეორეხარისხოვნად მთვლით იმ ინგლისურენოვანი ქათმის ფონზე! ლამაზი ყოფილა... სილამაზე ჩააბარებინებს ბავშვებს კატის გამოცდას? იქნებ მე უკეთ გამოვძინო? ეგ დაბადებული არ იყო, მე და ჩემი მოსწავლეები ოთხმოცდაცხრა წლის აპრილი საყოველთაო გაფიცვას რომ შეეუერთდით. მაშინ იყვნენ ნამდვილი მასწავლებლები. მოსწავლეებიც მაშინ იყვნენ. ბიჭები ვაჟკაცები და პატრიოტები! გოგონები კდემამოსილინი, მომავალი ქართველი დედები... რა დამავინცებს, როგორ აუფრიალა რუს ჯალათებს ცხვირწინ შინდისფერი დროშა ვასკა კინწურაშვილმა. ჩემი გაზრდილი იყო ვასკა. და მე მჯობია არა ის ქათმისმსგავსი?

ანდრო ლაშქარაშვილი:

ბავშვობაში ბევრჯერ სცადა, რო ველო-სიპედის ტარება დაემულამებია, მარა ვერ ქნა. ვიღაცა ლეჟავას ფანი იყო და მაგიტომ უნდოდა. ახლაც არ იცის. საერთოდ მგონია, რომ ბავშვობის ოცნებების ახდენაზე ადამიანები ბევრს არ ნვალოდენ, რადგან დიდობის ოცნებები ოცნებები კი არაა, მიზნებია. მიზნებს ასე თუ ისე აღწევ და საერთოდ არ ჰგავს ოცნებას და მერე, როცა მიზნები დახურული გაქვს, მაინც გინდა, რამეზე ოცნებობდე და აქ შემოდის ის, ბავშვობის ამბები, რომ არ, ან ვერ, აიხდინე და ახლაც არ ცდილობს რამის ოცნებას, რადგან ოცნების ახდენა კი არაა, ოცნების ქონა გჭირდება. მაგრამ, იცი, რა არის? ამას სხვა უფრო რთული ოცნებებიც ექნებოდა, რასაც მართლა ვერ აიხდენს და ამიტომ სჯობს, ველოსიპედის ტარება ისწავლოს. მერე მე ავიყვარე სადმე უკაცრიელზე და, დავაი, პედალიერო. ეგრევე ვასწავლი. მეც საკაიფო თიჩა ვარ, როცა საქმეს სჭირდება. ბევრი რამ მომიყვა მეტროში. მოვატყუე, მეც სანზონელი ვარ-მეთქი და ჯერ ფეხით ავეკიდე, მერე ღრმადელემდეც გავეყვი. ჩემს ბავშვობაში მეტროში სხვაანაირი სუნი იყო, ბენზინის და ნაყინის. ახლა ვერ გაიგებ. საერთოდ არაფერია დიდობაში ისე, როგორც ბავშვობაში იყო. მე ორი წლიდან ყველაფერი მახსოვს. მე ისიც მახსოვს, რაც ჩემ დაბადებამდე იყო. რაღაცას რომ ისწავლი, ან ნახავ... კადრები რომ გაქვს ნანახი, რა ხდებოდა ოთხმოცდათერთმეტში და ამ კადრებს ორიათას ცხრაში რომ ნახულობ და, აი, ახლა, ექვსი წლის მერეც რომ გახსოვს, ესე იგი, გახსოვს და მორჩა და როდის ნახე და როცა მართლა ხდებოდა, არსებობდი თუ არა, მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს. წარსულში ნანახი წარსულში ნანახია და დაბადებული რომც ვყოფილიყავი, მაინც ტელევიზორში ვნახავდი. მე არავინ გამიშვებდა ქუთაისში კაკო ვლიავასთან საშპაგაოდ. მოკლედ, გავუტყე, რა დროს ეგენია... მეტროში ვიყავით და მე ვუყვებოდი, რეებს ვკითხულობ. აზრზე ვარ, რო გოგონებს, რომლებიც დებილები არ არიან, ჭკვიან ბიჭებზე მოსდით თიში. ვაბზე გოგოს რო დაგნარი და კაჩაობა იზიდავს, ჩემ თვალში არი თუნგი და უეჭველი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იქნება გათხოვებიდან ორ კვირაში, სკოლის დამთავრებიდან ერთი თვის თავზე. მოკლედ, მე ამას ვუთხარი, რო ბოლ-



ოს ნავიკითხე ვიღაც მეფის მეფობის ქრონიკა. ავტორი მახსოვს. პროსპერ მერიმე. ხოდა, მაგრა გაეცინა, ინტერესიანი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ ამერიკელებს მიანექი, ეგენი უფრო მოგიხდებაო. მეთქი, მადლობა, ინტერესიანი რო დამიძახე, მარა მე შპაგაობა მიყვარს და ამერიკელები თუ შპაგაობენ, მაშინ მივანებები-მეთქი. არ შპაგაობენო, თანამედროვეაო. არ მიყვარს მე თანამედროვეობა. გამოსირებულებს ევასებათ ეს აჩქებით კომპიუტერთან ჯდომა და მანქანაში კარნავალ დე პალის მოსმენა. მარა ამას მაგას ხო არ ვეტყვი. მეთქი, მაგრა ასწორებს, რო განვითარდა სამყარო. მერე მფრინავი რკინის ცხენებიც გვეყოლება, ცაში გაგასეირნებ ხოლმე... შენ რატო გამასეირნებო და დავინვი ვგრევე. მიდი და გადაუტანე სხვა თემაზე, თუ მაგარი ხარ. თვითონ გადამიტანა. ველო-სიპედზე მითხრა, წელან რო გუუნებოდიო, ცხენები კი არაა, ნეტა მაგით შექმდოს სეირნობაო. ისე, ჩვენში დარჩეს, არც მე ვიცი პედლების ტრიალი, მაგრამ ამას მოვატყუებ და მერე რამე იქნება. აბა, მეტროში როდემდე ველაპარაკო. ბოლოს ვინმე მაგ ამბავშიც ჩამიშვებს და ეტყვის, სანზონელი რო არ ვარ.

მაკა არონია:

ყველაფერი, რასაც ვხედავ, ვგრძნობ და განვიცდი, ილუზიაა. მინდა, მჯეროდეს, რომ სიზმარში ვარ და მალე ჩემს სანოლში გავიღვიძებ. ერთი დღე დათრგუნული ვიქნები, შემდეგ კი კვლავ ბედნიერი გავაგრძელებ ჩემს ცხოვრებას და აღარაფერი მემახსოვრება. ყველაფერი გაქრება ისე, როგორც სხვა სიზმრები ქრებოდა და მოყოლასაც ვეღარ ვახერხებდი დაქალებისთვის, რომლებსაც იმაზეც კი შეიძლოა ჭორაობა, რომ სიზმარში ვიქნებოდა პაემანი მეორეკურსელ ნიკუშა ვერულიძესთან. მახსოვს, წინაკამ მითხრა, მაგას უეჭველი უყვარხარო. სიზმრიდან გამოიტანა ეს დასკვნა. ალბათ როგორ უნდა მენატრებოდეს ახლა, წინაკა... მაგრამ არავინ მენატრება. მონატრებას ფიქრი სჭირდება, მე კი ფიქრის დროს არავინ მიტოვებს. მაგულიმ ყველას მისცა უფლება, რომ დამამციროს და მცემოს. უფლება მისცა, ანუ უბრძანა, რომ ეს გააკეთონ. ერთი წელია, ჯოჯოხეთში ვცხოვრობ. მოდიან. ყველა მოდის. ზოგჯერ ოცი ერთად. მეუბნებიან, რომ უზნეო და გაბრწილი ვარ. რომ სიცოცხლესაც არ ვიმსახურებ და შემდეგ თმით მათრევენ ამ საზიზღარ, ბინძურ იატაკზე. ნიხლებს მირტყამენ. მკერდი საერთოდ აღარ მაქვს. მაგული ღამით მოდის, ძილის უფლებასაც არ მაძლევს. მოდის და მანანდება. ახლა უფრო მოლოდინის მეშინია, ვიდრე წამების და ცემის. ეს ამბავი მაგულიმაც იცის და მისი ძალადობა უფრო ფსიქოლოგიურია, ვიდრე ფიზიკური. ერთობა, როცა იცის, როცა გრძნობს, რომ მთელი ღამე კანკალით ველოდები იმ წამს, როცა ჩემს სანოლს მოუახლოვდება. სიმშვიდე წამართვა. ელოდება, საბოლოოდ როდის გავგიჟდები. თვითონ უკვე გიჟია. ზოგჯერ მკოცნის და ჩემს ყურთან ლექსებს ჩურჩულებს. მეუბნება, რომ როცა აქედან გაეალთ, მიშვილებს, ოღონდ როგორც ძალს. კისერზე საბეჭო მომაბამს და ასე მატარებს ქუჩაში. თუ ცოლად მოვიქცევი, სახლადან არასდროს გამოყვანს და საღამოობით, დალილი რომ დაბრუნდება, მაშინ მომეფერება, რადგან მშრომელ ადამიანს ალერსი სჭირდება. ექიმი მჭირდება. ყველა ადგილი ლურჯი მაქვს. ერთი წელია, ყოველდღე მემატება იარა, მკურნალობით კი არც ერთზე მიმკურნალა. მეშინია. ბადრეგათაც ვერ ვამბობ ვერაფერს. ერთხელ, როცა ჯგუფურად მცემდნენ, შველა ვითხოვე. მათ კი პირზე ხელი ამაფარეს და მგუდავდნენ. მითხრეს, რომ თუ როდისმე ვინმე რაიმეს გაიგებდა, ასჯერ მეტს დამმართებდნენ, რადგან დასაკარგი არაფერი ექ-

ნებოდათ. ზოგჯერ ტუალეტში მკეტავენ. მაგული თუ უხასიათოდაა, თავს უნიტაზში მაყოფინებს და ყვირის, დაიხრჩე, შებოზო, ვისაც მე არ ვუყვარვარ, ეგრე უნდა დაამთავროსო. მე გაძლება აღარ შემიძლია. ვფიქრობ, მალე მოვკვდები.

ანდრო ლაშქარაშვილი:

იცით, რისი გემო აქვს ტუჩებს? თუ იცით, მითხარით. არ მინდა, ისე დავიბრიდო, რო არ ვიცოდე, რომელი გემო მიყვარდა ყველაზე მეტად. ერთი კი ნაღია, აზრზე არ ვიყავი, სუნთქვას თუ სურნელი ჰქონდა, მაგრამ როცა ძალიან ახლოს ხარ მეორე ადამიანის სუნთქვასთან, სურნელსაც გრძნობ და მაგის მერე სულ ფეხებზე გკიდია ბარბერი და კოკო შანელი. ისე გკიდია, რომ შეიძლება, თავი დაკარგო და კაი ხანი არაფერი მიისხა და ყვეც ვერაფერს მიხვდე, სანამ ვინმე არ გეტყვის, აყროლებული და-ღიხარო. სიგიჟეს რომ იზამ და არ ნანობ, მერე იწყებ ცხოვრებას. მანამდე აკვირდები, სწავლობ, დებილურ ნესებს იგონებ, ან სხვების მოგონებულს ემორჩილები და მოკლედ, ტყუილად ხარ... ისე, ვერავინ დამაჯერებს, რომ მხოლოდ მე ვიყავი ბედნიერი და გაბრუნებული. იმიტომ, რომ თავიდან მიშორებდა, მაგრამ მერე დაიკიდა და იმანაც მაკოცა. და ვაბზე არც მომიშორებდა, სადმე სხვაგან რომ ვყოფილიყავით. სანზონაში რომ ვყოფილიყავით. სკოლაში ვიყავით და იმიტომ მიშორებდა. არ შეიძლება სამასწავლებლისთან კონტაქტი. ჰოდა, კაკრაზი, რო არ შეიძლება, ეგეც ამბავია. იმიტომ, რომ ამათ რომ ჰკითხოთ, არაფერი შეიძლება. ნელ-ნელა იგებს კაცობრიობა, რომ რაღაცები შეიძლება ხოლმე. დებილი პირველყოფილების დროს, მგონი, სიყვარული ვაბზე არ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა შეიძლება. ჰოდა, მე მგონია, რომ რაზეც ახლა ამბობენ, არ შეიძლებაო, სინამდვილეში ეგენიც შეიძლება და პროსტა ისევე დებილები ვართ. ვართ რა... ისინი არიან.

მაკა არონია:

ეს ოთახი მარადიული არ არის. ვიცი, რომ დასრულდება. ეს ლამაზი ექთნებიც გაქრებიან, ნემსებს რომ მიკეთებენ, მიღმიან და ხილფაფებით მიმასპინძლებიან. გაქრებიან და მათ ისევე მაგული ჩანანცვლებს. ამიტომ მათი არ ვარ კარგად. ოდესმე გამოვჯანმრთელდები და მაცულისთან დამაბრუნებენ. იქ არ დაგბრუნდები. არ მინდა, რომ ჯანმრთელი ვიყო. სულ აქ მინდა, ამ ოთახში მინდა. ლამაზი ექთნები. სახლშიც აღარ მინდა. მინდა, რომ აქ ვიწვე. არსად გავდიოდე. მთავარია, აღარავინ მირტყამდეს და არც მკოცნიდეს. აქ უნდა დავრჩე. რამე უნდა მოვიფიქრო, რომ დამტოვონ. მოვიფიქრებ. მე ადრე ძალიან ჭკვიანი ვიყავი. უნივერსიტეტში ასპროცენტანი გრანტი მქონდა. სტიპენდიებსაც ვიღებდი. მოვიფიქრებ. მაგულის სიკვდილი მინდა. მაგული დემონია. აქ ძალიან კარგია. აქ ყველას თერთი ხალაია აცვია და არავის აქვს ტატუ. მეზიზღება ტატუები სქელ მკლავებზე. მე არასდროს მექნება სქელი მკლავები. მე ასეთი სუსტი ვარ. მგონი, მართლა არ არსებობს ღმერთი. სულაც არ ხუმრობდა ჩემი ფილოსოფიის ლექტორი ირინა ცერცვაძე. ირინა ცერცვაძე ჯერ რან ცერცვაძის ქალიშვილია. დიას, სწორედ იმის, ჩარლი ჩაპლინს რომ იცნობდა. არა, შეიძლება არც იცნობდა, უბრალოდ ფოტო გადაიღეს რომელიღაც კინოფესტივალზე. ალბათ კანის კინოფესტივალში იქნებოდა. მაშინ ჯერ რან ცერცვაძე საუკეთესო მამაკაცი მსახიობი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მინდა. პარტიაში შევიდოდი. ჩუმად ვიქნებოდი. ყველაფერზე თვალს დაგხუჭავდი და არავინ მანამებდა. საშინელი ტანსაცმელი მეცემებოდა,

მაგრამ არავინ მანამებდა. ყველას ყველაფერს დავუჯერებდი. გთხოვთ, ყველაფერს დაგიჯერებთ, ოღონდ აღარ დამარტყათ. თმით არ მითრიოთ, გთხოვთ. მაპატიეთ, არ მინდოდა, შემთხვევით დავიბადე. აქ მინდა ყოფნა. აღარ წავალ აქედან. მოვიფიქრე, როგორც უნდა დავრჩე. ახლა ძალიან კარგად ვარ. დავფრინავ, დე.

ლამარა ბადრიძე:

ტელეფონით ვიდეო გადავუღე და იმ წამსვე მილიციას დავურეკე. მეტი საქმე არ მქონდა პედ-საბჭოთი, ღირებულების საყვედურით, ანდაც სკოლიდან გადებით გამომძვრალიყო ის ქუჩის ქალი. ეგ არი ვახრწინილი, გათახსირებული საქციელი. უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს. ეგეთი ყლორტები ძირში უნდა მოჭრა და უნდა დაჩეჩქვო. ფეხით გადაუარო. არა, ხომ ვამბობდი? ეს პაკაზუხა ამერიკანკა, ახალგაზრდა ძაპტიოსანი და ძალიან მიამიტი ქალივით. გველი, ქლესა, ქვემძრომი გომბიო! გულს მალამოდ დამედო, მანქანაში რომ ჩატენა მილიციამ. ისე ბუნებრივად ტიროდა, ვიდეო რომ არ მქონოდა, იქნებ მოეტყუებინა კიდეც ის დებილი მილიციონერი. არა, ეს რა ვნახე, ა? სკოლაში, ღმერთო, სკოლაში... ნეტავ როგორ დავრჩი ცოცხალი? არა, ეს ლაშქარაშვილი კი დეგენერატია და მაგისგან კაცი და ადამიანი არ გამოვა, მაგრამ მაინც მოსწავლეა, ბავშვია... სკოლაში პედაგოგი ბავშვს ესექსავება! ესაა ბოლო ფაზა! ანტიქრისტი უკვე ჩვენს შორისაა! მერედა როგორ კოცინდენ ერთმანეთს?! სხვა რა არის სექსაობა? რაღა უკლია? ის კი უნდა ითქვას, ის ნაბიჭვარი უფრო აქტიურობდა, მაგრამ შენ რო პედაგოგი ხარ და ამხელა ქალი ხარ, თავი უნდა გეტყროს! მარა ავადმყოფია, ამოსანყვეტია... არა უშავს, ასწავლიან მაგას ჭკუას.

ანდრო ლაშქარაშვილი:

თავს ჩემ ფეხებს დავიმშვიდე ანი, მაგრამ სადღაც, ძალიან ღრმად, მიხარია, რომ მაკა მასწავს არ სტკენია. ისე დავლუპა, რომ სიამოვნებას განიცდიდა. ნელ-ნელა დაღვარა სისხლი ძალიან ლამაზი ვენებიდან. სისხლი ჯერ გაუყინეს და მერე დაღვრევენს ამ ბოზეზმა. ყველაფერი ისე დასვეს, რომ ჩემი ბრალი ყოფილიყო და ის უაზრო ბევრი წელი, კიდერო უნდა ვიარსებო, სულ ეს ჩათლახური დანაშაული უნდა ვატარო, რომ ჩემი საყვარელი ქალი ჩემს გამო მოკლეს. მასწავს არა ჩემი ფეხები. მასწავს არიფებისთვის იყო. ჩემთვის მაკა იყო. ძერსკი მაკა. ყველაზე მაგარი ქალი დედამინაზე. როგორ ვყვიროდი, როგორ ვეხვეწებოდი... მეთქი, ჩემი ბრალია, თქვე ბოზეზო, მე ვაკოცე ძალით... არაო, ბავშვი ხსიკოლოგიურ ტერორში ჰყავდა და მაგის გავლენითაა ისტერიკაშიო, სკოლის ნაბოზარი ფსიქოლოგი ამბობდა. ნეტა მოგესმინათ ჩემთვის. ნეტა რამე დაგეჯერებინათ, თქვენი დედები მოგტყან. გგონიათ, მიშველეთ, არა? ამ სამ წელში ორასჯერ დამინგრიეთ ცხოვრება და ახლა ვაბზე დამმართოს ხოლმე, მაგრამ თან არც მინდა. მეშინია და იმიტომ. მეშინია, რომ სხვა იქნება. ის აღარ იქნება. აღარ გამოიღებებს და პასუხს მომთხოვს. ყველაფერზე მომხიზვება. ცხოვრება რომ ჩემს გამო დაუმახინჯდა, ჩემს გამო რომ ანამებდნენ, ჩემს გამო რომ არსებობს მხოლოდ სიზმრებში... პედოფილიაო, ამ დედამოტყნულებმა. იცით, რამდენი წლის იყო მაშინ? ოცდაერთი. მე? მე თხუთმეტი ვიყავი. მე რომ დავიბადე, ეგ პირველ კლასში მიიყვანეს, ამ სირებმა კიდე მოკლეს. და ორასის რო ყოფილიყო, რა? ხომ მე ვაკოცე? ის რა შუაში იყო? გადამეყრებით სადმე. მარტო მე არ დავისჯები. თქვენც დაისჯებით. არ შეგარჩენთ, თქვე დამპლებო.

ლამარა ბადრიძე:

ეს რა საშინელება გავიგე. რეები ხდება... დედას გეფიცებით მე მსგავსი არაფერი მინდოდა. ეგეთ რამეს როგორ ვფიქრებდი? მე ქრისტიანი ქალი ვარ. მართლმადიდებელი. ღმერთმა დაუშვიდროს სასუფეველი იმ სანყალ გოგოს.

„ამბვპარი სტერეოტიპების რღვევის ერთ-ერთ საშუალებად მსოფლიოში მიჩნეულია „კვოტური სისტემა“. ანუ ეს უნდა იყოს ერთჯერადი მექანიზმი, რომელიც ნაახალისებს ქალბატონებს, გამოავლინონ თავი მმართველობით სფეროში. საზოგადოება უნდა მიეჩვიოს ქალს „საზოგადოებაში“ და არ უნდა ასოცირდებოდეს ქალი საზოგადოებაში მის საგარეუდო ცუდ ქცევასთან“ — მონყენილობისგან ვილაც სიმპათიური გოგოს მოსაზრებებს ეცნობოდა სოციალურ ქსელში, როცა უბნის ინსპექტორის ხრინინანად დასევდიანებული ხმა მოესმა და ინტერესგამოცლილი მიუბრუნდა. ტელეფონი ჯიბეში შეინახა.

— თქვენ არც პირველი და, მით უმეტეს, არც უკანასკნელი ხართ. მსგავსი წარწერა სამოცდამეშვიდედ დაფიქსირდა ამ უბანში მანქანის ზედაპირზე. თუ დაზღვევა არ გაქვთ, სამწუხაროდ, მოგიწევთ გამოძიების დასრულებას დაელოდოთ, — თან დათვალეირების ოქმს ადგენდა.

— კი მაგრამ, როგორ ვერ პოულობთ? დამნაშავე ხომ პირდაპირ მინიშნებას გაძლევთ? განა რას უნდა ნიშნავდეს ასობგერა „ო“? — სწრაფად გადაავიწყდა გენდერული პრობლემები.

— ო-ზე იმდენი სიტყვაა, იმდენი გეოგრაფიული დასახელება თუ სახელი, რომ ამ მიმართულებით გამოიცხვის მეთოდით ნასვლაც განუსაზღვრელ დროს ნაიღებს ამიტომ ჩვენ ამ საკითხს კომპლექსურად ვუდგებით.

— იქნებ რამე სარეკლამო კამპანიაა? ახალი სადაზღვევო კომპანია აპირებს ბაზარზე შემოსვლას და ამ გზით ცდილობს რამე მესიჯის მოწოდებას, რომ, მაგალითად, თუკი ჩვენს სერვისს აირჩევთ, მსგავსი „ო“ არ შეგანუხებთ!

— და ყველას, ვისაც ამ კამპანიის ფარგლებში მანქანა დაუზიანდა, ახლებს აჩუქებენ? — ჩაეკითხა პოლიციელი.

— ჰო, რაღაც ეგეთი.

— კი, მაგრამ სხვისი ნივთის დაზიანება დანაშაულია. თუ ეგრე მოხდა, ყველა დასაჭერი გაგვიბრუნდა.

— ოოო, კარგი თა. თქვენ თუ საქმის გამოძიება არ გინდათ, პირდაპირ მითხარით. თან დაზღვევაზე თავად არ მკითხეთ? რატომ მკითხეთ? რას მიმალავთ? — ეკითხებოდა აღელვებული.

უბნის ინსპექტორი განაგრძობდა ოქმის წერას და გულში აგინებდა ქართულ ანბანში ასო ო-ს ჩამწერიდან მოქალაქე 67-მდე ყველას.

— ჯერ ოთხი ქათამი მოუკლეს მამაჩემს სოფელში, მერე ჩემი ცოლი გამოაგდეს სამსახურიდან. და რა მიზეზით, არ იკითხავთ? გარემოს დაცვის დეპარტამენტში კაცური საქმე უფრო მეტია შესასრულებელი, ვიდრე ქალისო და რადგან შემცირებაა, ლოგიკურად ქალები უნდა ნახვიდეთო, წარმოგდგენიათ? და თან რომელ განყოფილებაში? ფინანსურში, სადაც სამი ბუღალტერი და ერთი ბუღალტერთ-ბუღალტერი სხედან! ჩემი ცოლი ახლა სახლში ზის და ფეისბუქზე საოცარ სტატიებს მილინკავს, ახლა კი, აი, ეს... ეს გაურკვეველი „ო“! — ბუზღუნებდა მოქალაქე 67.

— თან ოპელზე, — დაამატა პოლიციელი.

— სწორად შენიშნეთ. და დანარჩენები?

— მერსედესებიც გვყავს, ნოლშესტებიც და სხვებიც.

— გასაგებია.

როცა უბნის ინსპექტორს ტელეფონზე დაურეკეს, კორპუსის მეორე სართულის ფანჯარა გაიღო, საიდანაც ხალათმოხვეული ქალი გამოჩნდა და მოქალაქე 67-ს გადმოსძახა:

— ოთარიკო, რა ხდება, პატრულში ხომ არ დავრეკო? — იკითხა ნელიმ და ზუსტად იმ წამს ინსპექტორის მზერას წააწყდა.

— კიდევ? მისამართი მითხარით და გამოვა ჯგუფი, — უპასუხა ტელეფონის ინსპექტორმა.

— შედი სახლში, ნელი, — ჩურჩულებდა ოთარიკო, თუმცა შესტების ენის მადლით ცოლს ყველაფერი ისედაც უნდა გაეგო.

— არა, ქალბატონო, თუ დილით ესე დაგხვდათ, ეს ცხელ კვალზე ოპერატიული სამუშაოების ჩატარების საფუძველს არ ქმნის იმიტომ, რომ უკვე შუადღეა და თეორიულად თუ წარმოვიდგენთ, საქართველო რა პატარაა ქვეყანაა, შეიძლება, დამნაშავეს საზღვარი დატოვებული ჰქონდეს. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე სელესტინა აქარიანის განმარტებით, იმ-

ნუთიერობაა დამნაშავეს შეპყრობის გარდაუვალი აუცილებლობა; ცხელ კვალს დასაცავი სიკეთის და ასაცდენი ზარალის ურთიერთშეპირისპირება უნდა ახასიათებდეს, ასევე, დამხმარე ჯგუფების განლაგების იდეალური ანალიზიც საჭიროა, — გრძელდებოდა სატელეფონო ჩართვა, — არა, მე ტყუილი არ მიყვარს და იმასაც გეტყვით, რომ ქალბატონმა სელესტინამ ეს განმარტება შემაკავებელი ორდერის გაცემის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გააკეთა, როცა ქმარი ძალადობას და-



ლატში გამოჭერის სასწრაფო მიზნით ხსნიდა, და რომ ის ოთახში სანადირო დატენილი თოფით შევარდა და ჰაერში ორჯერ ისროლა, რის შედეგადაც ზედა მეზობელი ქალბატონი ყურის ბიბილოში დაიჭრა. ჩვენ კი ყველა მოქმედება ცხელ კვალზე რეაგირების კონტექსტში უნდა დავუკავშიროთ ზოგადად ყველა სასწრაფო და გადაუდებელი მოქმედების ჩატარების არსს. ასე უბრალოდ საკუთარი წარმოსახვის იმედად ვერ ვიქნებით!

— იპოვეს დამნაშავე უკვე? რაო, რას გელაპარაკებოდა? — თვალებს აბრიალებდა მეორე სართული.

— ნელი, არ მცალია, ამოვალ ცოტა ხანში, შედი, — ხელებით, ტანით, სახით და ყველა შესაძლო შესტით ანიშნებდა მოქალაქე 67 მეუღლეს.

— დანყარდით, თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი. როგორ? ქალბატონო, რატომ დაგიძახეთ? დიახ, აუცილებლად დაისჯებიან დამნაშავეები. სასტიკად დაისჯებიან. როგორ? შიგ? დავფიქრდე და გავიზარო? როგორ ბედავთ პოლიციის შეურაცხყოფას? — დაძაბული ინსპექტორი მოულოდნელად გაიყინა და თითქოს სუნთქვაც შეწყვიტა.

— დავრეკო პატრულში? — იკითხა ისევ ნელიმ.

— სად ხარ, ერთი მითხარი, რა, მოვალ და გაგებინებ, ვინცა ვარ და რაცა ვარ. შე... შობეღძალდომილო.

— რას ღრიალებთ ამ დილაადრიან, ბავშვები გვყავს სახლში და მოხუცები, სუ ყველა ავადმყოფები, — გაიღო მესამე სართულის ფანჯარა და ერთდროულად ორი შავებში ჩაცმული შუახნის ქალი აყვირდა.

— ბოზი დედაშენია! — მთელი ხმით ღრიალებდა ინსპექტორი, როდესაც ეზოში საპატრულო პოლიციის ორი ეკიპაჟი შევიდა.

ოთარიკო დაბნეული იდგა და თვალს ფანჯრისკენ აპარებდა, სადაც ნელი აღარ ჩანდა.

— დანყარდით, კოლეგა, ვის ესაუბრებთ? დანყარდით, — ამშვიდებდნენ ინსპექტორს პატრულის თანამშრომლები.

უბნის ინსპექტორი კი ხელდახელ ჩხუბობდა ტელეფონთან.

— დამელოდე, დედა უნდა გინამო მაგ სიტყვებისთვის, ჩემს ცხოვრებულ დედას როგორ მაგინებ? — ხაიდა პოლიციელი. ოთარიკომ იგრძნო, ყურთან როგორ მიუტანეს ტუჩები და ჩასჩურჩულეს:

— კიდევ კაი, გამოვიძახე!

ოთარიკო ნელიკოს სუნთქვას საპარას ხორშაკებშიც გაარჩევდა. თითქოს ძალა შეემატა და ზუსტად ამ დროს საპატრულო ეკიპაჟის მანქანაზე შენიშნა ასო-ბგერა „ო“. უბნის ინსპექტორის დამშვიდებით დაკავებულ თანამშრომელს მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— ეს წარწერა იყო აქ? ეს ნანახი გაქვთ? — შეგვეშვით, ვმუშაობთ, — მოიძროეს.

— ამ ჩემს... რაც შენ მე ვერ მომჭამო, შე ძალად ბიჭო თუ ქალო თუ ვინცა ხარ. ჩხრეკის ორდერით მოვდივარ და დამხვდი, გაიგე? და ამ ჩემს ფეხებს თუ შენც ოთარი გქვია, — არ ნებდებოდა უბნის ინსპექტორი და პირთან მიტანილ ტელეფონში ღრიალს აგრძელებდა.

— ეს „ო“ ახალია? გკითხათ ჩემმა ქმარმა და უპასუხეთ! — საქმეში ნელიც ჩაება, მაგრამ ისიც დააიგნორეს. ჩოჩქოლზე მთელი ეზო შეიკრიბა. სასწრაფოც მოვიდა და უბნის ინსპექტორს წნევა იქვე, ბორდიურზე ჩამოეჯდარს, გაუსინჯა.

კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, უსაფრთხოების სამსახურის, სახანძრო სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებიც ადგილზე იყვნენ. რამდენიმე საელჩოს და სადამკვირვებლო მისიის

წარმომადგენელიც მოსულიყო. ერთი ყველაზე ახოვანი პოლიციელი ტელეფონზე საუბრობდა და საგარეუდოდ უფროსობას აყენებდა საქმის კურსში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასაბუთებული ეჭვის მალაღობი სტანდარტით ასო „ო“ ოთარს ნიშნავდა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად უბანში ყველა ოთარი უნდა შეემონებინათ.

ეზოში სპეცრაზმის მანქანები შემოცვივდნენ და ჩაფხუტებიანები ეზოს ყველა კუთხეს მოედნენ, ზუსტად ამ დროს ცაზე ჯერ ვერტმფრენმა, ხოლო ორიოდე წამის შემდეგ თვითმფრინავმა გადაიფრინა და როგორც მოგვიანებით სატელევიზიო ეთერში გადმოსცეს, ზუსტად იმ წამებში ნასას კოსმოსური ხომალდი ოსვალდი იუპიტერის ორბიტაზე გავიდა, მეტეორი ნიბირუ უმცროსი კი უცნობ სხეულთან შეჯახების შედეგად დედამიწის ორბიტიდან ასი ათასი კილომეტრის დაშორებით აფეთქდა...

ისევ მესამე სართულის ფანჯრისკენ გაეცქერა ოთარიკოს. შავებში ჩაცმულ ქალებთან ერთად ფანჯრიდან ბავშვები და მოხუცებიც იცქირებოდნენ.

— ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განყოფილებაში უნდა გამოგვეყვით, ბატონო, — მიმართა ერთ-ერთმა პოლიციელმა ოთარიკოს და თვალთ საპატრულო მანქანისკენ მიანიშნა. ნელიმ კვიცილი მორთო და გული ნაუვიდა. ოთარიკომ კი იგრძნო, რომ ყველაფერი დამთავრდა: „ნაღდი მოპარულია ეს მანქანა, ნაღდი, ხომ მეუბნებოდან ნელი, ესე იაფად როგორ ყიდულობო, უნდა დამეჯერებინა...“ — ამუნათებდა თავს, რადგან ვერაფრით წარმოედგინა, სხვა რა მიზეზით შეეძლოთ მისი დაპატიმრება.

დღის ბოლოს პოლიციის განყოფილებასთან დიდი ჩოჩქოლი ატეხილიყო. უბნის სამოცდაცხრამე ოთარი და მათი მხარდამჭერები შეკრებილიყვნენ. ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ დღის პერიპეტებს. სპეცოპერაციის შედეგად არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებების უფლებების“ დირექტორი ოთარ მართალიძეც გადაეყვანათ განყოფილებაში და ამ ფაქტს დიდი აჟიოტაჟი გამოეწვია. იყო საუბრები პოლიტიკურ მოტივებზე, კონტრრევოლუციის მონყოფის წინაპირობებზე, ლარის დევალუაციაზეც კი საუბრობდნენ განვითარებული მოვლენების ჭრილში. ერთ-ერთმა ექსპერტმა მომხდარი მოვლენები ისლამური სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთში დაკარგული პოზიციების გამო ახალი ჰაბის ძებნის პროცესში ტერორისტების გააქტიურებას დაუკავშირა, რომ ეს სინამდვილეში ყურადღების გადატანის მიზნით ხდებოდა, რათა მთავრობას ვერ მოეხერხებინა ადეკვატური რეაგირება იმ ნამდვილ და რეალურ საფრთხეებზე, რომელიც ქვეყნის წინაშე იდგა. ზოგიერთი ექსპერტიზა აზრით კი, რუსეთი შეეცდებოდა, ოთარებისთვის რუსეთის მოქალაქეობა მიენიჭებინა და მერე მათ დასაცავად შემოჭრილიყო. ერთ-ერთი ოთარის მასწავლებელთან ჩანერლი ინტერვიუც კი გაუშვეს ტელეეთერში: „ისეთი ცელქი იყო, სულ ვუბნებოდი, ცეტი ხარ-მეთქი!“

ოთახში დრედებიანი გოგო მონიტორებს დასცქეროდა და ცქმუტავდა:

— პირდაპირია, პირდაპირი. ყველა ტელევიზია იქაა, — ესაუბრებოდა ვილაცას.

— ფლემობის დროა? — პასუხობდა უცნობი.

— არა, პერიმეტრის ბოლო მონიტორინგი დამრჩა. 20 წამი გვაქვს. 20 წამში უნდა მოვასწროთ ყველაფერი. ჩემს ნიშანს დაელოდე, — სხაპასხუპით არიგებდა.

— დრონები გამოიყვანეთ?

— მარშრუტის ბოლო შემოწმებას გადაიან. ცოტაც გვადროვე.

— ველარ ვითმენ! — აგრძელებდა ხმა.

— მარშრუტი ტელეფონში გაქვს და კიდევ ერთხელ ჩახედე. არსად უხვევ. სარდაფის კარი ღიაა. იქ დაიმალები. ერთი კვირის სამყოფი საქმელი გექნება.

— ინტერნეტი მომენატრება, — მოიწყინასავით უცნობმა.

— სამაგიეროდ მე მოგაკითხავ ხოლმე შილიფად ჩაცმული, — უთხრა და ტუჩები გაილოკა დრედებიანმა.

— ზალიკო, გესმით ჩემი, ზალიკო. — დიახ, ნიტა. პირდაპირ ეთერში ხართ.

— დიახ, ზალიკო, ჩვენ ახლა უბნის ყველა ოთართან ერთად პოლიციის შენობასთან ვიმყოფებით და ვსარგებლობ შემთხვევით და გილოცავ, რომ ოთარი არ გქვია.

— შენც გილოცავ, ნიტა. რა ხდება ადგილზე, რა მდგომარეობაა? — შეეკითხა ნამყვანი.

— აქ ძალიან გაურკვეველი მდგომარეობაა, ზალიკო. ჩვენ ვცდ... — სწორედ ამ მომენტში კადრში ნიღბიანი პირი გამოჩნდა.

— უკაცრავად განცხადება უნდა გავაკეთო, — თავაზიანად მიმართა რეპორტიორს.

— აი, თქვენ ახლა კადრში ხედავთ სპეცრაზმის წარმომადგენელს, რომელიც...

— მოგესალმებით, ტელემაყურებლებო.

— 17 წამი, — უკარნახა დრედებიანმა ყურში.

— სპეცრაზმი არ გვაძლევს გადაღების საშუალებას, აი, თქვენ კადრში ხედავთ ნიღბიანებს, — ისტერიკის რეჟიმი გააქტიურა ჟურნალისტი და ხმაში კვიცილნივილის ელემენტები შემოიტანა.

— ფრთხილად, კამერაა, — ოპერატორმა განწირული ხმით ამოიკენესა.

— 14.

— მე წარმოვადგენ პირველ ქართულ ანონიმურ კრიპტო ჯგუფს და დღეს დიდი დღეა!

— ზალიკო, გესმის ჩემი. ზალიკო, სპეცრაზმი ჩვენთან, მგონი. ჯერჯერობით ეს დაუდასტურებელი ინფორმაციაა და ახლა ვცდილობთ, გადავამოწმოთ, — უცნობი ნიღბიანის სინქრონიზირებულად აგრძელებდა რეპორტიორი.

— ნიტა, მოკვტე. გაჩუმდი, ნიტა, — კარნახობდნენ ყურში.

— გილოცავთ, დღეს სავალუტო ბირჟებზე პირველი ქართული კრიპტო ვალუტა ოთარიუმი გამოჩნდა.

— 8 წამი. მარჯვნივ გარბიხარ.

— ოთარიუმს გამოიმუშავებს სპეციალური მონყობილობა, რომელსაც ყველა დანიანებული ავტომობილის მესაკუთრე ფოსტით უფასოდ მიიღებს.

— 4 წამი.

— ეს მონყობილობები მარტივად მაგრდება მანქანის მაყურზე და ეკოლოგიურად ბინძურ გამოწვობლქვს პირველ ქართულ კრიპტო ვალუტა — ოთარიუმად აქცევს!

— მიაყარა სწრაფად და ადგილს მოსწყდა ნიღბიანი.

— ზალიკო, გესმის ჩემი, ზალიკო.

— დიახ, ნიტა, გვესმის.

— თქვენ ახლა კადრში ხედავთ, როგორ გარბის ნიღბიანი.

— რა კომენტარს აკეთებენ ექსპერტები, ხომ არაა ცნობილი? — ჩაეკითხა ნამყვანი.

— არა, ზალიკო. ეს სენსაციური კადრები ეს-ესაა ჩვენი ეთერით გახდა ცნობილი მაყურებლისთვის და ჩემი პროდიუსერი ახლა ცდილობს ექსპერტებთან დაკავშირებას. ზალიკო...

— ნიტა...



გივი ჩიღვინაძე

თბილისი რუკები

იმ დიდ მდებარეზე ერთ ნათელ დღეს რომ მოიღრუბლა, თქვენი მოვიდა, — გავილუმპეთ მწყემსი ბიჭები. რა თბილი იყო ის რუკები, ლორთქო მოლიდან მომდინარენი, შიგ სიამით დავაბიჯებდით ფეხშიშველები... მენატრება ახლა შორიდან ის ტყე-მინდორი უკვე მეტად სახენაცვალი, სადაც ცოცხლდება მზიანი თუ უამინდონი დღეები, სადაც ლამაზ ნუთებს გააქვთ ტკვარცალი. ის იყო ისე მშობლიური, ვით ძველ დარებად წარმოდგენილი დედის მუცლად ყოფნის თვეები, — შორი ზაფხულის ლალ ფერებში მშვიდ ნეტარებად, უკიდევანოდ განფენილი სამოთხეები...

ტყაა ჩემი პატრონი

იქნებ მომძებნონ ტყის სულებმა და დამიფარონ, ჩემი კვლავ მათთან დაბრუნება თვითონ ითავონ. უღრანთა ღამის მისახსოვრონ ლურჯი სიზმრები, ქედებზე სხივად მომიქარგონ ლალი მიზნები. ხეთა უცნობი სურვილები გამიზიარონ, შემორჩენილი იმედები გამიმზიანონ, კვლავ მანუგეშონ იებით და ყოჩივარდებით, მთების ნიავეთ გამიფანტონ ურჩი დარდები. ჯერ მეჩურჩულონ ფოთოლცვენის კორიანტელით, მერე პირველად გაჩენილი თოვლის ფანტელით, თან წინაპართა უწმინდესი კვალი მაჩვენონ, მათი ფიქრების ფიორები ხატონ საჩემოდ. არავინ მყავდეს ღმერთის გარდა სადმე ბატონი, მხოლოდ ტყე იყო სამუდამოდ ჩემი პატრონი.

*** ვიგონებ ახლა დაფერილ ფერდობს, — მშვიდ მონატრებას ფიქრი წაება, — მზეში წათელემილს წიფლიანის წინ ჟღალი ფოთლები უთრთის მწარე ბალს. რომ შემობრუნდეს დრო გარდასული და პატრონად მცნონ მთების ყანებმა, — იქ რომ ვმკვიდრობდე, ვმკიდე, ვთიბავდე, — ის სივრცე ასე თუ მეყვარება?... დაატკბობს მზეურას სთვლობის ფერები და მინდა სულიც იმით აშვესოს, მახეტიალე მშობელ ქედებზე უკიდევანოდ, უზენაესო...

უღრანი

თუ ჩემი წლები შეიშნობს შენსას, თუ ერთად გვიხმობს ბუნების ჩქამი, თუკი მივალწვეთ შორეულ მთებთან ძველი ჰანგებით, ნაბიჯით ჩქართ, მოვუხმობ წარსულს ბინდიან-მზიანს, იქნებ გავაცნო ახალი სხივი, და მოვანონო უღრანის ზიარ სიჩუმეს შენი ოცნების მძივი... მანამდე მნახავ ფიქრის პატრონად, რადგან იმედის ძებნას ვუნდები, დღესაც მარტო ვარ, ისე მარტო ვარ, მდუმარე ხეებს ვესაუბრები...

იმალი მზისბან

წუხელ ფიქრებში დარდმა იწვიმა, დილამ კი სევდა სხივებში გაცრა, შევყურებ მზეს და მშვიდად ვიცილებ ჩავლილი ღამის კოცონთა ნაცარს და რადგან ზეცამ მეც გამიცინა, იმედს დავეძებ დუმილის ნაცვლად, ვით უსუსური, ნაზი წინილა დაეძებს ბზეში დარჩენილ მარცვალს...

ელია

გამოჩნდა გვალვის ნაპირი, — წუხელ მესიზმრა ელია, სიცხე კი ისევ სამპირობს, ცას წვეთი არ დასცდენია... და ელია რას აპირებს ამ დროს სიკეთის მქნელია? გაეგო თურმე წადილი, აქეთ რომ წვიმას ელიან, თუმცადა ლოცვა ნამდვილი ვერ უთხრეს მთელი წელია, არ გაუმართეს ნადიმი, ვერ იცნეს ზეცის მცველია. ამ მორაცრაცე ქვეყანას ჭკუა მთლად გამოელია, ლაზარობაც ვერ შეეყარეთ, ტბის წყალი არ გვირხევიან... მოვუბოდიშე, გვიხსენი, სიტყვა ვუთხარი წრფელია, — ყველაფერს ველარ ვისხენებ, სიზმარი იყო ვრცელია...

*** როგორც ფერდობზე მობიბინე ნორჩი ბალახი, მთიბავს რომ უფრთხის, ემინა დაჭრა-დალახვის, — ავს ვერიდები, ვერ მეხება ქვეყნის ტალახი. მობეზრებული მეჩხირება თვალში ქალაქი, ყველგან ქიშპობა, გულგრილობა, შური, ღალატი... და ამ დროს შეველა, მზის ამოსვლა, სხივის ვარაყი — მონატრებული ქალის ხილვა, სიზმრად ნანახის, ვით გადარჩენა ჩქარ ჩქერებში ნაჩვევ კალმახის — ხელიდან წყალს რომ დაუბრუნებ გულის კარნახით...



მზია

*** ჩვენს საწოლში, სადაც წესით შენ უნდა დომინანტობდე, გენვე მარჯვნივ და შენს მკლავზე ჩახვეულს მშვიდად მეფიზლოს,

შფოთვაშეპარებულს მძინავს და აჟიტირებული დეპრესიის გადაკიდე აგზნების პიკში ვარ...

ჩვენს საწოლში, სადაც წესით არავის და არაფერს ესაქმებოდა აქამდე, ახლა წიგნები, ჟურნალები, ნოუთბუქი და მოურჩენელ ჭირივით აკიდებული ტელეფონია მიმოფანტული და ვერანაირი ფანტომი რომ ვერ შეცვლის ამ დროებით რეალობას, სწორედ ამის გასიგრძეგანება მძაღს...

ჩვენს საწოლში, საიდანაც მუდმივად ისმოდა ჩურჩულის ხმები, ახლა ჩაკრის მონოტორული მელოდია ისმის. რომ არა ის, ასე მგონია, ჩვენი სულიერი ერთობის ვიბრირება შეჩერდებოდა და ათასობით კილომეტრზე, ჩვენს შორის გაჭიმულ მყესებზე სარეცხივით გაფენილ სიცხადეს ქარიშხალივით დაატყდებოდა თავს განშორება და მამხალეებს ჩაგვიქრობდა...

ჩვენს საწოლში, სადაც ახლა, ჩემდა უნებურად, სხვათა მზერა შემოვაპარე და იმედგაცრუებული გამოვაპამპულე იმ წამსვე, წამნამებზე დაკიდებულ ცრემლებივით მარტოსული მონატრება ტორტმანობს და ადამიანობაშეპარულ ძეგლივით კრთება... ძნელია მარტობა, ძნელი, მაგრამ არც ისე, ვინმეს შეგუებულ ერთადყოფნის სიმძიმეს რომ შევეუნანსწორო...

*** რკინა ხომ რკინაა და ძაფი — ძაფი? აი, მე, ჯაჭვზე უფრო თოქს ვენდობი, მისი მოქნილობა, რისკის მიუხედავად, რკინის სიმყარეს მირჩვენია. მძულს ყველაფერი მყიფე... მაგრამ მიყვარს, როცა თითოეულ გოჯზე ძალღივით მიყვებს ძარღვებში სისხლი და თოქის საქანელაზე ჯვალსგან დაწნულ სარწვევლას დარად ვდუნდები და დაბალი წნევა ელვაშესაკრავივით ამყავს და ჩამომყავს, ამყავს და ჩამომყავს, ამყავს და — თუ გვერდით არავინ მყავს, ყვავებს ვუხმობ და მათი შესაძლო ცხოვრების ხანმცირობაზე ვაპარებ სიტყვას...

მაინტერესებს, რამდენად იტანს მათი ტვინი ლოკალურ გეგმებს, მე კი ამ დროს სულაც არ ვნაღვლობ, როდენ ვვინებ ყვავებს ჩემი მიზანმიმართული ინტრიგით და მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ფეხებთან ერთმანეთის მიყოლებით ეცემიან გულწასული ყვავები,

მივიჩნევ, რომ ზუსტად ახლა შეუსრულდათ სამასი წელი და საქანელაში ფეხმორთხმით მოქანავე მოთქმით ვკითხულობ „იკიგაის“, ისეთი მოთქმით, რომ გულწასული ყვავებიც კი ხვდებიან, როდენ არაფრისმომცემია ჩემთან „ენით დაკოდლის“ იგავზე საუბარი...



სალვარიძე

ორაკული

ჩემი ალიც ვიცი და კვალიც,
 ჩემი ბნელი და ნათელი ხელისგულზე მილაგია...
 იმდენადვე მიყვარს საკუთარი თავი,
 რამდენადაც მძულს.
 ყველა ახლობლის ცოდვა-მადლს ჩემად ვინონი.
 მარტოდმარტო ვნონიალობ ნათლის ბნელეთში
 და ხნულეებში მზის მარცვლებს ვთესავ.
 ალესილ ორლესულებს პირებს ვუბლაგვებ
 და ორსულ ორაგულებს
 ქვირითობამდე
 ორივე გულზე ვადებ ყურს
 და არითმიის მოყურადე,
 არათითზე ციბრუტივით ვატრიალებ რგოლის ბეჭედს.
 ვატრიალებ,
 თუმცა ვერაფრით ვისმენ მეორე გულის ცემასაც
 და მიკვირს,
 რატომ მაინცადამაინც ორ(ა)გული...
 მაინცადამაინც რატომ...
 და როცა ვერ ვპოულობ შესაბამის
 ახსნას,
 ჩვეულ ოკულტურ სწავლებას მივმართავ
 და სპირიტული სუანისს,
 ანუ ზებუნებრივი შერწყმის, წყალობით,
 კავშირს ვამყარებ ორაკულთან...
 რა ვქნა,
 როცა შემომიჩნდება მახრა,
 ტვინში ვმარხავ
 ქრისტიანული სწავლების დოგმებს და
 ყველა სურვილს ვიხდენ...
 და ასე სურვილებსხდენილი,
 საკუთარ ნებას აყოლილი
 მახრების ხოცვით ვიკლავ წყურვილებს,
 რომ არათუ იმიერ,
 ამიერ ცხოვრებაშიც გავიხარო
 და
 არასოდეს,
 არავითარ შემთხვევაში,
 არაფრის დიდებით
 გადავირტყა სახედრის სახრე,
 მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახედარს,
 ბედაურის მსგავსსა თუ სადარს,
 ყველა ნაბიჯზე,
 ყველა ჯერზე,
 ჯეროვნად ვამხელ...

ვანის აივნები


ერთხელაც,
 როცა მოიშლება ყველა აივანი,
 აი,
 ვანის გათხრებისას აღმოჩენილ განძზე
 მაშინ დავეინყებ ნადირობას,
 რომ სარკოფაგის ფარდაგებზე დატანებული
 ჩემი არსებობის დაშიფრული კოდები ამოვიკითხო,
 მერე გულდასმით ამოვიკანრო თმის
 ძირებში ფაბულაებად
 და ფეხისგულეებზე
 მეფის გულისთვის განწირული
 შველის ცრემლები შევიზილო...
 ვიცი,
 ეს არაფერს მიშველის,
 ვერც მისი თივთიკისგან ამოთელილი ქულებით
 დავეინერ ქულებს,
 ვერც ქუნქულა ნისლებით გადავხურავ
 ჩემი ისლის ქოხს...
 ეს კი არა,
 დარწმუნებული ვარ,
 არც ჩემს დასაფლავებაზე ისერის ვინმე
 მშვილდ-ისრებს მზის ჩასაქრობად,
 რომ ჩემი სიკვდილით დამწუხრებულ მნათობს
 ტანჯვა შეუშუბუქოს...
 მაგრამ მაინც,
 როცა ყველა აივანი მოიშლება,
 როცა შრიას შეწყვეტენ
 სალ კლდეებზე დევეების მიერ მოხატული
 სუროს ტოტები,
 ჩემი ადგილის დედის ტოტემს მსხვერპლად შევნირავე
 ნანავეისგან შეკრულ ჯავრს
 და მზესა და მთვარეს შორის ჯვარზე გაკრული
 დაველოდები პირველ ქრისტეშობას,
 რომ ჩემი წარმართული სული
 ნაწილობრივ მაინც განვანათლო...

კოორდინატი

მე ვარ გზა,
 რომელზეც აღარავინ დადის.
 მე ვარ ხიდი,
 რომელზეც აღარავინ გადადის.
 მე ვარ საბანი,
 რომელიც აღარავის ათბობს.
 მე ვარ სახლი,
 რომელშიც აღარავინ ცხოვრობს.
 მე ვარ ლოცვა,
 რომელსაც აღარავინ აღავლენს.
 მე ვარ ფრანი,
 რომელსაც აღარავინ აფრენს.
 მე ვარ სიმღერა,
 რომელსაც აღარავინ მღერის.
 მე ვარ განძი,
 რომელსაც აღარავინ ეძებს.
 მე ვარ მტერი,
 რომელსაც აღარავინ ებრძვის.
 მე ვარ შვება,
 რომელიც ვედარავის ანუგეშებს.
 მე ვარ ლექსი,
 რომელსაც აღარავინ კითხულობს.
 მე ვარ ენა,
 რომელზეც აღარავინ საუბრობს.
 მე ვარ ცოდნა,
 რომელიც აღარავინ იცის.
 მე ვარ ცნება,
 რომელიც აღარავის ახსოვს.
 მე ვარ იარაღი,
 რომელიც აღარავის კლავს.
 მე ვარ იმედი,
 რომელიც აღარავის აქვს.
 მე ვარ ღმერთი,
 რომლის აღარავის სწამს.
 მე ვარ მარტო.

პოეტის შვილი

ერთხელ, როცა
 მარტოსული,
 უმიზნო და
 ცარიელი
 ვიჯექი
 მზიურის პარკში
 და მტკიოდა
 ჩემი სიცარიელე
 (ვერ ვხვდებო,
 საიდან მოაქვს
 სიცარიელეს
 ამდენი ტკივილი).
 და ვერ ვდგებოდი
 და ვერ ვიმართებოდი
 და ვერ ვახერხებდი
 ნაბიჯის გადადგმას,
 რადგანაც ვიცოდი,
 რომ არც ერთი ნაბიჯი
 არ წამიყვანდა
 მიზნისკენ,
 რადგანაც მე ის არ მქონდა —
 მომიახლოვდა პოეტი,
 პოეტის ცოლი
 და პოეტის შვილი,
 რომელიც ჭამდა ალუჩას.
 მან შემომლიმა
 და მკითხა:
 „გინდა ალუჩა?“
 ამ დროს იმედმა
 ინათა ჩემში
 და ვუთხარი:
 „მინდა ალუჩა“.
 ის გაშეშდა,
 აღარ გაინძრა
 და უთხრა პოეტმა:
 „მიეცი ალუჩა“.



დავიუბი

ზურაბ სირბილაძე

და უთხრა პოეტის ცოლმა:
 „მიეცი ალუჩა“
 ის არ იძვროდა,
 რადგანაც მე ვიყავი
 ცარიელი,
 ის იყო
 სავეს.

შენი შეხება,
 შენი შეხება ისე ნაზია,
 როგორც ნანატრი ევთანაზია.
 ვიხსენებ სახელს, ვიცი, რაც გქვია,
 შენი სუნთქვა მე ტანზე მაცვია.

გზადაგზა გხედავ, ყველგან დარდია,
 დეპრესია კი ძალზე მარდია.
 შენ არ მყოფნიდი და თან მარტია,
 ჩემი ცხოვრება თითქოს არტია.

თვითმკვლელობა

*
 თავის მოკვლაზე ფიქრისას,
 წარმოვიდგენ,
 როგორც ვენევი ბოლო სიგარეტს.
 ეს იქნება სიგარეტი,
 რომელიც არ კლავს.

*
 ესეც შენი ბოლო
 და კიდევ
 კედელზე თოკი რომ
 დაკიდე.

*
 სიკვდილი ძველის
 და ახლის
 სურვილი ტანჯვის
 და მარხვის;
 ნადილი ცოცხლად
 დამარხვის.
 ვარსკვლავთმრიცხველობა:
 დაახლის.

ნისლიანი დღე

ცნვი ამინდი იყო, მთელი კვირა წვიმდა და ახლა ააშრო ოდნავ, თუმცა ჯერ ისევ ნედლი იყომინა — ნამცხვარივით ზოგან მუქი და ზოგან ღია. სამი გაკვეთილი გვქონდა, დანარჩენები გაგვიცდა და ახლა სახლში ვბრუნდებოდი. ნელა, ტლანქად მივაბიჯებდი, მხრები, ფეხები მტკიოდა. წინა დღეებში სუსტად ვიყავი. ველოდი, სიცხე უნდა მოეცა, მაგრამ დამინდო, მხოლოდ გაციების ტკივილს შემატოვა, თუმცა ახლა მაინც სუსტად ვიყავი...

მივაბიჯებ ფართო გზაზე, ვხედავ, დიდი კაკლის ხესთან ჩემი მეგობარი ზის. დამინახა, მომესალმა, მივესალმე. გამოვიკითხე, რატომ არ იყავი-მეთქი სკოლაში. დამეზარა, პარასკევია მაინცო. უცნაურად მომეჩვენა პასუხი, მერე მითხრა, ბურთი გამოიტანე და ვითამაშოთო. დავთანხმდები, ავირბინე სახლში, ჩანთა დავაგდე, რამდენიმე კაკალი შევჭამე, ჩემებს ვუთხარი, გავდივართ-მეთქი და ბურთი ავიღე. დავეშვი დაბლა.

მეგობრის სახლიდან ქვემოთ ეშვებოდა ქვიანი შარა, აქ ზოგან ვენახები იყო, ზოგან სახლები, ზოგან უბრალოდ ხილის ბაღები, უფრო ქვემოთ კი ვრცელი, უსასრულო ვენახები იწყებოდა. ამ გზაგასაყარზე იყო პატარა ადგილი, მოედანივით, აქ ვიკრიბებოდი ხშირად. გავეშურეთ იქითკენ, დავდექით, ის მოშორებით, მე ერთ დიდ ქვასთან, დავინწყეთ ჯერ დაბალი, ნელი პასები, მერე მაღალი. მერე არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა, ეტყობა, კარგად გაისწორა, მკერდზე მიიღო, ჩამოუშვა და, რაც შეეძლო, დასცხო. ბურთი დიდი, ტლანქი ჩიტვივით აინია ჰაერში.

ვენახის მაღლა პატარა ბეტონის კასრებს დგამდნენ ადრე შაბიანის ჩასასმელად, იქ დააგუბებდნენ, მერე აპარატებში ასხამდნენ და ვაზის მკურნალობას იწყებდნენ. ბურთმა იფრინა, მერე დავეშვა, ჯერ რამდენიმე ხეს მოხვდა, ტოტები დააღენა, მერე ერთ-ერთი ვენახის კასრში ჩავარდა.

გავვარდი, მივედი, გადავინიე და რას ვხედავ? ორი ბურთი გდია. ჩავძვირი. ჯერ ერთი ამოვაგდე, მერე მეორე. გაოცებულმა შეხედა ამან, მერე ხელში აიღო, დაატრიალა, მე ვიცი, ვისიც არის ეს ბურთი. რომ ამოვედი, მომანოდა, ნაიკითხეო. ერთგან პატრონის სახელი და გვარი ეწერა. გადავწყვიტეთ, ნაგველო. დავადექით გზას, თან ფეხბურთზე ლაპარაკს შევწყვიტეთ — მე მანჩესტერის გულშემატკივარი ვარ, ის ლივერპულის. ვკამათობდით, რა თქმა უნდა, ოღონდ მსუბუქად, ნახევრად ხუმრობით.

ავიარეთ არაერთი აღმართი. აი, მივედით. დიდი, ერთ დროს ყვითელი ჭიშკარია, წინ დიდი კაკალი დგას, იქვე ხის სკამია, სკამის წინ გუბები. ამან დაუძახა, მე სკამზე დავჯექი. ერთი დაძახება, მეორე და იქიდან გავვაგონეს.

— ხო!
— გამოიხედე!
გამოვიდა დიდი აყლაყუდა ტიპი, თან რალაცას ქამდა.

ამან ბურთი გაუწოდა ეგრევე, პატრონმა გამოართვა.

— სად იპოვეთ? — გვკითხა და ლუკმა გადაყლაპა.

ვუთხარი...

თავი გადააქნია, სახე დაღრჩია და ძმას დაუძახა. ცოტა ხანში ბურთის პატრონზე ოდნავ უმცროსი ტიპი გამოვიდა, ჯერ ჩვენ მოგვესალმა, მერე ძმას ჰკითხა, რა ხდებაო. უფროსმა არ დაახანა, ხელი კარგად გაშალა და გაუქანა. მივცვივით, დაეტანენ ერთმანეთს, ცემა-ტყეპა და ლანძღვა-გინება ატეხეს, ხმაურზე ქალი გამოვიდა სახლიდან, შელახული, საშინლად უსახური ტანსაცმელი ეცვა და ხელები ნითელი ჰქონდა, კერძს ამზადებდა, როგორც ჩანს. მივარდა შეილებს, რომლებიც ძირს გორავდნენ და ერთი პატარა ნაბიჯი ამორბოდათ ნუმპემდე. გავაშველეთ. როგორც იქნა, დაწყნარდნენ. დალილები იდგნენ და შორიდან უბღვერდნენ ერთმანეთს, თან ქშუოდნენ თუ ქშინავდნენ.

აი, რა მოხდა — თურმე ამათი ნათესავი ცხოვრობს იმ ვენახთან, სადაც ბურთი იყო, ნუხელ ყოფილან იქ, დარჩენილან, გაუბრალებია ძმას, ამას დრო უხელთებია, ნასულა და ბურთი დაუშალა, უძებნიათ მთელი დღე, ვერ მიუგნიათ...

მე საშინლად ვაკრიტიკებდი გუნებაში ორივეს, ვკიცხავდი ამათ ძმობას და ვფიქ-



თორნიკე გოგნიაშვილი

რობდი, რომ რალაც სერიოზულზე ნაკლებად საგარაუდოდ ერთმანეთს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შეკითხვას აქ არავინ დასვამდა. არ იყო ჩემი საქმე. მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა — ვინმე სხვას რომ ეპოვა? ვინმე უფრო არაკეთილსინდისიერს რომ დაემალა?

დედამისმაც კაი დღე აყარა, წყევლა და ლანძღვა, რა სიტყვები არ ეძახა, ღმერთო. საშინლად დამთრგუნა ამ უკულტურო, უქმურმა და ვულგარულმა სურათმა. მეგობარს ვუთხარი, ნავიდეთ-მეთქი. დავემშვიდობებოდი და გამოვტრიალდით. მაღლობა არ უთქვამთ, არც ბურთის პატრონს, არც დედამისს...

მივაბიჯებდით, მე ჩემი ბურთი მეჭირა ხელში, არ ვიცოდი, ამას უნდოდა თუ არა თამაში ისევ, მე კი აღარ მინდოდა, სიარულმა დამიძალა, ამ სანახაობამ ხასიათი გამოიფუჭა, თან ყელმაც დამიწყო წვა, ცოტა მხრების ტკივილმაც მოიმატა და ნისლმაც უსახურ, ნაცრისფერ ცაზე. შუადღე იყო, მაგრამ ისეთი ბურუსი იდგა, იფიქრებდით, უკვე მოსალამოვდით. მეგობარს ვუთხარი, უნდა ნავიდეთ-მეთქი და იმანაც აღარ დამინწყო, გინდა თუ არა, ვითამაშოთო. როგორც ჩანს, იმასაც აღარ ჰქონდა თამაშის სურვილი, ან უნდოდა, მაგრამ აღარ დამატანა ძალა.

მივდიოდით, ის ცოტა ხანს მელაპარაკა ძმებზე, მერე ისევ ფეხბურთზე დავინწყეთ ლაპარაკი.

ნახატი

უწარმამაში, დედაჩემის სოფელში: ერთსართულიანი ბეტონის სახლი, შელახული აივანი, უკან დიდი ხეხილის ბაღი, წინ ბეტონიანი ეზო, იქვე ერთ სიგრძეზე თონე, ბოსელი, საკუჭნაო, საკუჭნაოს კედელზე ნახატი — ქალს ყურძნის მტევანი უჭირავს ხელში, თავი აქვს ოდნავ გადახრილი და უღიმის. ჩემი დამოკიდებულება ამ ნახატისადმი ნეიტრალური იყო — არც მომწონდა, არც არ მომწონდა, თვალში კი ყოველთვის მხვდებოდა...

ერთ დღეს ბავშვებმა საშიში ამბები მოვყვივით, შავი ხელი, ვამპირები, კუდიანები თუ ქაჯები, ეს ძველი, ბავშვური, ბოროტი გასართობია და ალბათ ყველა ბავშვს თუ არა, უმეტესობას უთამაშია ასე. ძველი ფიცრის სკამზე ვისხედით, სალამო იყო, იქ უფრებოდა, რამდენჯერმე გაიელვა, წვიმის დაწყებას აპირებდა. ავდექი, ბავშვებს დავემშვიდობე და სახლისკენ წავიქცე.

გზაში შიშმა ამიტანა და ნაბიჯს ავუჩქარე. სწრაფად შევედი სახლში, ამასობაში ელვამ და ქუხილმა იმატა, ავაბიჯე აივანზე, დედაჩემმა ფანჯრიდან გამომხედა.

— სად ხარ აქამდე? — მკითხა.
— მოვდივარ, — ვუპასუხე და ფეხსაცმლის გასახდელად შევჩერდი. კიდევ გაი-

ლვა, ინსტინქტურად გავიხედე იქით, კიდევ გაიელვა და ის ნახატი დავინახე, ოღონდ სახე რალაც შემზარავად, საშიშად. ისედაც დაზაფრული, კიდევ უფრო შევშინდი, ბავშვურმა გულმა მოძრაობას მოუმატა და სუნთქვა გამძინელდა. შევევარდი სახლში.

ძილში ჩამყავა იმ დღის დაძაბულობა, მთელი ღამე კომპარებს ვხედავდი. მესიზმრებოდა, დანიანი ხალხი დამდევდა, ტყეში ვიყავი, შორიდან ხმაური ისმოდა, ვილაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხალხი დამდევდა, დანა ეჭირათ ხელში და იცინოდნენ, მე ხის დიდ კეტს ვეძებდი, რომ თავი დამეცვა, ისინი კი დამდევდნენ, ვერც მიჭერდნენ, მაგრამ მე გულგახეთქილი დავრბოდი აქეთ-იქით, თან ყველა მათგანს დიდი რქები ადგა თავზე და იმ რქებზე ცეცხლი ენთო. გამიღვიძა შემინებულს, გული ძლივს მოვიბრუნე...

მას შემდეგ ის ნახატი მძულდა, იმ ოთახში შესვლისგანაც თავს ვიკავებდი, ან თუ შევიდოდი, თავს დავხრიდი ხოლმე, რომ ნახატი არ დამენახა. მაშინ პატარა ვიყავი და ყველაფერი ასმაგად მიმქონდა გულთან.

იმის შემდეგ მრავალი წელი გავიდა, აღარც ის სახლია და აღარც ის ნახატი...

ამ რამდენიმე წლის წინათ მეგობართან ვარ, ხელოვნებათმცოდნეა, ჩაის ვაგემოვნებთ, ვლაპარაკობთ, მისი და დაბრუნდა სკოლიდან, მხატვრობაზე ჩამოიშალა, რა თქმა უნდა, არ შემშინებია, მაგრამ არასასიამოვნო განცდა კი დამეუფლა. მამ ასე, მხატვარი კარლ ბრიულოვი, ნახატის სახელი იტალიური შუადღე. მოვეყვი ჩემი ამბავი, გაიცქაფნენ, მერე მეგობარმა მითხრა:

— მეც დამემართა ბავშვობაში დაახლოებით ასეთი რამ, ოღონდ კომპარი არ მინახავს.

გავიცინე, თან ჩაის ჭიქა მეჭირა, გავიცინე, ამიკანკალდა ხელი და ჩაი გადავიხსი, ხელი დავიწვინე...

— მოკლედ არ მეშვება ეს ნახატი. გავიცინეთ კიდევ...

ავტომობილის გამოცდა

ამ ავტომობილის გამოჩენა ჩვენში დაახლოებით იმას ჰგავდა, მოკრძალებულ გალერეაში რომ კარგი მხატვარი გამოჩნდება, სპორტული ტიპის ავტომობილები ყველა საინტერესოა, მითუმეტეს ბმე, ხში-

რად დამინახავს, როგორ მოქროდა გახურებულ ასფალტზე, თან პატარა ქვებსა და მტვერს ისროდა, ხან ქვიანზეც დამინახავს, ხან ბალახიანზეც, ხან ტალახშიც კი, მოლურჯო, მონაცრისფრო იყო, ახლად გამოიყურებოდა, საბურავებიც ახალი ჰქონდა.

თავად მანქანის პატრონი პირქუში, ცოტა აგრესიული და ნერვიული ადამიანი იყო, მანქანაც სულ სწრაფად დაჰყავდა, თუმცა ერთიც არის, ძალიან ძნელია ამ მანქანის საჭესთან წყნარად ჯდომა.

მანქანის პატრონი ჩემი მეგობრების ნათესავი იყო, ერთხელ მათთან მივედი, ფეხბურთს უნდა ვუყუროთ, თუმცა ჯერ კაი ხანია იქამდე, მოულოდნელად ლუდის დალევის დედა გავჩნდა.

— ვინ ნავა მალაზიაში? — დაისვა კითხვა.

— ვინ და ჩვენ!
მეგობარმა თქვა, რომ მანქანა ჰყავდა, გავიკვირე. წამოდიო, მითხრა, გამოიყვანა და რას ვხედავ — ის მანქანა.

— ჰა?
— მათხოვა!

საქმე ის იყო, რომ ამათ სახლამდე მისასვლელი გზა ორი იყო, ერთი ცენტრალური გზიდან და მეორე მოკლე, ორღობესავით.

— რატომ მაშინვე არ თქვი, რომ აქ გყავდა?

გაჩუმდა, მხოლოდ გაიცინა. ჩავსხედით. მეც მქონდა ორიოდე გროში, იმასაც. დავიძარით.

გრძელი, ფართო გზა ცარიელი იყო, წინა დღეს ინვიმა და ალაგ-ალაგ გუბები მოჩანდა. ჩვენ გული მოგვეცა სისწრაფისთვის, მეგობარმა კარგად იცოდა მანქანის მართვა და თავს უფლება მისცა, მანქანის შესაძლებლობები თავად მოესინჯა. მანქანა ტყვიასავით გავარდა, ალტაცებული ვიჯექი, თითქმის მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია, ასე ალტაცებით გავიარეთ დიდი გზა და მაგისტრალიდან გადავუხვიეთ. მეზობელ სოფელში ჩამოსასხმელი ლუდი ჰქონდათ, ორი ბოთლი ვიყიდეთ და გამოვტრიალდით. როცა სოფლის დასაწყისში ამოვედით, მეგობარს ვუთხარი.

— დამსვი რა საჭესთან! გთხოვ!

გზა ისევ ცარიელი იყო, მე კი მინდოდა, თავადაც მემართა ეს უსწრაფესი მანქანა. გამოუცდელი მძღოლი ვიყავი, მანქანაც ბევრი არ მყავდა წამართი, მხოლოდ ძველი, რუსული ჯართები და ეგ იყო. არასოდეს მქონია საშუალება, უცხოური მანქანა მეტარებინა, თანაც ასეთი კარგი, სწრაფი და კომფორტული.

მეგობარმა გადმოხედა.

— არ დამტკრიო...

— რას ამბობ?!

— რას და მაგას! შენი მძღოლობა რომ ვიცი.

— სად ნახე ერთი ჩემი მძღოლობა!

— ჰოდა, რო არ მინახავს!

— კარგი რა!
 — ეეეე!
 — გთხოვ!
 აღარ დავანებე თავი და რა უნდა ექნა?! დამთანხმდა. გადმოვიდა. დავეჯექი, დავვკოქე, საჭეს კარგად მოვკიდე ხელი, ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი, მოვემზადე და მანქანა უცებ მოსწყდა ადგილს, გავარდა და საშინელი ხმაური ატეხა. მივქროდი, არ ველეავდი, მშვიდად ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, ყურადღება არ გამფანტოდა, ვცდილობდი, ერთი მიმართულებით მეყურებინა და გვერდით არ გამქცევოდა თვალი. ასე ვირბინე, მეგობარიც ჩუმად, გაცქაფული იჯდა. მოულოდნელად გზიდან დიდმა ჯიპმა დაუხვია, ისიც სწრაფად მოდიოდა. არ ვიცი, რა დაემართა, თითქოს გვიმიზნებდა, ჩვენკენ ნამოვიდა. დავიბენი, ამიკანკალდა ხელი, გული, ავლელი, გადავუხვიე მარჯვნივ. მეგობარს ენა დაეხა, ველარ მოახერხა რამის თქმა, მანქანამ ქანაობა წაიწყო, ციებინავით კანკალბდა და ხტოდა. ჯიპს როგორც იყო მოვცილდი, მეგობარმა ხელი გადმოყო და დაუსიგნალა...
 — გამიშვი, რას აკეთებ?! — ვუთხარი ხელის შემოღობვით კიდევ უფრო აღელვებულმა.
 მანქანას მოვცილდი, მაგრამ საჭის კონტროლება მაინც ძნელი იყო. ახლა ხე, წვრილი, უსახური, მაგრამ მაინც ხე. აქაც სირთულეა — ხან აქეთ გადავხვევ საჭეს, ხან — იქით. აღარ ვიცი, საით გადავუხვიო. ბოლოს ისევ ის ფიქრი წამოვიდა, რომ მარჯვნივ სვლობდა. სვლობდა, მინდვრებში გადავსულიყავი, ვიდრე კიდევ ტრასაზე, რადგან დაბნეულს ისევ მექნებოდა საჭის ვერგაკონტროლების საფრთხე. გადავუხვიე მარჯვნივ და გავაჩერე.
 ამოვისუნთქე მეც და მეგობარმაც.
 — არ უნდა დავმჯდარიყავი! — ვთქვი და გადმოვივდი.
 — რას გეუბნებოდი? — მითხრა მეგობარმა და ისევ თავად დაჯდა საჭესთან. გავიარეთ ცოტა, მივუახლოვდით ერთ დიდ გუბეს, გამოირა აძვერად სატვირთომ, გაიგრილა გუბეში და ჭუჭყიანი წყალი მოასხა ჩვენს მანქანას.
 მივედით, მანქანის პატრონი იქ დაგვხვდა.
 გადმოვივდი.
 მანქანის პატრონი მოგვესალმა, ჩვენც მივესალეთ. მანქანას შეხედა, გაჭუჭყიანებულს, არაფერი თქვა, მხოლოდ უკმაყოფილოდ გააქნა თავი, ირონიულად გაიცინა, უნდა წავიდო და ჩაჯდა. მეგობარმა მადლობა უთხრა, უფრო სწორად, გზაში დაანია, რადგან მანქანის პატრონი არც დაელოდა მადლობის თქმას.
 რომ წავიდა, მერე გამახსენდა ლუდი. მანქანაში ხომ არ დავგვრჩა-მეთქი, გამიეღვა თავში. გავიხედე, დავინახე, მეგობარს ეჭირა ცელოფნის პარკი. წავიდეთ, მითხრა. წავიდეთ.
 საშინელი თამაში გამოვიდა, ლუდიც საშინელი გამოდგა, ერთადერთი დადებითი ამბავი ის იყო, რომ ავარიას გადავრჩით.

გადნიერების ბილიკი

ის იქ იყო, ლევანის უბანთან ახლოს, მის ნაცნობთან ჩამოდიოდა. მათი ურთიერთობა ტრადიციული თავაზიანი თავდახრითა და გაცნობით დაიწყო. ზაფხულის ზვატი იყო, საღამოს მიუხედავად მაინც ისე ცხელია, სულს ძლივს მოითქვამდა ადამიანი. ამის შემდეგ ხშირად საუბრობდნენ, ოღონდ ზოგადად, საზოგადოებაში, სხვათა წრეში. საუბრობდნენ ზოგად საკითხებზე, რაზეც შეიძლება, რომ ისაუბრო. მერე დროთა განმავლობაში ლევანის ინტერესებში შევიდა იმ ადამიანთან დაახლოება, რადგან მოიხიბლა მისით.
 და, აი, მან შეძლო მისი მოხელთება. საღამო იყო ოდნავ გრილი. კაკლის ხის ფოთლები ოდნავ ტოკავდნენ. გზის პირას მწვანე ბალახებში იდგა კირა, რაღაცას უყურებდა. ლევანმა გულის სიღრმეში იცოდა, რომ მისი დალაპარაკება არც გააღიზიანებდა და არც სიხარულით აანთებდა კირას. გრძნობდა, შანსი ჰქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი გარანტირებული იყო და არც ფანტაზიიდან ამოზიდული.
 — რას აკეთებ? — ჰკითხა.
 — დამივარდა რაღაც.
 — მაინც?

— ნაკეთობა, მძივების ასხმა.
 ლევანი დაიხარა. ბალახი მალალი იყო. გადახედა, ვერაფერი ნახა. მოწყენილმა შეხედა კირას. კირამ ყურებზე თმა გადაინია და თავი დახარა.
 — რას ვიზამთ.
 — არაფერი, იყოს.
 — რაღაც მინდა, გითხრა.
 — გისმენ...
 — მინდა, გავისიერნოთ, გთხოვ...
 კირამ შეხედა.
 — რატომ?
 — ისე.
 ლევანი ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ფორმალურადაა იყო, დარწმუნებული იყო, დასთანხმდებოდა, ეს კი, პირველ რიგში, იმიტომ მოხდებოდა, რომ კირას გაცნობისთანავე შეატყოს, რომ მეტყველი, ცნობისმოყვარე თვალები ჰქონდა. მისი მზერა საოცარი იყო. ლევანი ხედავდა, როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით ბუდეებს ის ნათელი, ოდნავ ამღვრეული, წყლიანი თვალეები... და ის იოლად ახერხებდა ნაკითხვას... ლევანი სულ იოლად ახერხებდა ადამიანის თვალეებში სულის დანახვას.
 — მაინც? — ჰკითხა კირამ.
 — ისე.
 კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდა ეს ყველაფერი, ბოლოს ლევანმა თანხმობა მიიღო, ოღონდ ეს უნდა მომხდარიყო ერთ კვირაში, საღამოს ექვსზე, ფიჭვებთან. ლევანმა თავი დახარა და ხმადაბლა უთხრა:
 — კარგი.
 ყვავილები არ იყიდა ლევანმა. ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს დაასკვნა, რომ ეს რომანტიკული პოზა იქნებოდა. მხოლოდ კარგი პერანგი შეარჩია და ფიჭვებთან მივიდა. ძალიან მალე მივიდა კირაც. ერთმანეთს მიესალმნენ. ლევანმა თავი დაუქნია, გავიარათო.
 უსახური შარა იყო. ორი დიდი ცაცხვი იდგა. იქვე, ერთ სიგრძეზე, რკინის ღობიანი სახლები, ქვემოთ ფიცრის ღობეებიც, ალაგ-ალაგ დაწული მავთულისაც, გზისპირებში გაქუცული, მტკრიანი ბალახების ხალიჩები, მაღლა მოციხფრო-მონაც-რისფრო ცა...
 მიაბიჯებენ...
 — რატომ გინდოდა ჩემი ნახვა? — ჰკითხა კირამ.
 — ისე...
 — როგორ თუ ისე?
 — კარგი... იმიტომ, რომ მომწონხარ...
 — ასეც ვიცოდი. რა გავწყობა, მე რომ მომეწონო ბევრი რამ უნდა ვიცოდე შენზე. იცი, პირველ რიგში, რა? გემოვნება, ხედვა, როგორ უყურებ ცხოვრებას. მე ვიცი, რომ შენ კითხვა გიყვარს...
 ლევანმა ჩაიციხა, თავი დაუქნია.
 — მერე?
 — აბა, მითხარი, რა გიყვარს. ალბათ დონ კიხოტი...
 — არ მჯერა მათი.
 კირას გაუკვირდა, სახეზე ენერა გაკვირვების უხეტბი. ლევანმა თავდაჯერებულმა განაგრძო:
 — არ მჯერა მე მაგათი, რაღა დროს დონ კიხოტია? არსებობს სახელმწიფო, ერი, საზოგადოება. რა დონ კიხოტი, რა რობინ ჰუდი, ვის სჯერა ამ ოფიციალური ძველი ბიჭების? მე ინტელექტუალურ ლიტერატურას ვანიჭებ უპირატესობას, დახვეწილს, ცოტა რთულს, სხვა ტიპისას — ოღონდ ჰაქსლი, ჯეიმს ჯოისი, ჰერმან ბრონი, მუზილი... კიდევ ბევრი... არ მესმის, ასე რატომ აფანატებენ ამ ნიგნზე? კარგი რა, ღმერთო ჩემო...
 კირა უფრო მეტად გაკვირებული უყურებდა.
 ლევანი გაჩერდა, კირას შეხედა.
 — რა საინტერესოა, — უთხრა კირამ.
 — ჰო? მეც ასე მგონია. მოდი, იქითკენ წავიდეთ, მუსიკალური გემოვნებაც ხომ არ გაინტერესებს? ან ფერწერაში...
 — როგორ არა... — წამოიძახა ალტაცებულმა კირამ.
 — ნიდერლანდური ფერწერა, ყოველდღიურობის მატრიანები, ფსიქოლოგიზმი, საყოფაცხოვრებო ამბები, მუსიკაში რახმანიოვი, მოპონი, დებიუსი, სიმფონიე, სინყნარე... მიმანია, რომ ქაოსს თავად ქმნის ადამიანი. მე ვეთაყვანები არა მღვლეარე, არამედ მყუდრო ცხოვრებას, ვეთაყვანები კარჩაკეტილ, მღუმარე ცხოვრებას...
 კირა იღიმოდა, მერე უთხრა:
 — იცი, მე რას ვეთაყვანები?
 — რას?
 ოდნავ დაიბნა კირა.

— ალბათ მეც მაგას, სინყნარეს. მიხარია, რომ გაგიცანი.
 — მეც მიხარია ძალიან. იცი, რატომ მიხარია?
 — რატომ?
 — შემომხედე.
 კირა გაჩერდა, შეხედა. ლევანი დიდ სინათლეს ხედავდა იმ თვალეებში, თითქოს ოკეანეში იყურებოდა, თითქოს იძირებოდა იქ, იმ მღუმარებაში, ისინი კი ისე ციმციმებდნენ, როგორც სახე ვარსკვლავები ლაჟვარდებში.
 — რატომ? — გაუმეორა კირამ და თვალეები დაახამხამა.
 — საოცარი თვალეები გაქვს...
 — ჰო?
 — ჰო...
 — გმადლობ, ჯენტლმენო!
 — ნეტავი ახლა იყოს ერთი ბოთლი ნითელი ლვინო!
 — ჭიქაც კმარა.
 — ჰო, ერთი ჭიქაც საკმარისია.
 — კარგი ლვინო.
 — საუკეთესო.
 იქით გაუმურნენ... ლევანი ფიქრობდა, რომ ისინი მიდიოდნენ ბედნიერების ბილიკისაკენ.

ბასეირნების ამბავი

ძველ „ტაჭკაზე“ ვიჯექი სიგრილეში. მია მოვიდა, გავისიერნოთო, მითხრა. მია-სურს გამოვიცვლი და ეგ არის-მეთქი. კარგიო, და გრძელი წამნამები დაახამხამა.
 მაისური დასვრილი მქონდა. შევედი, შინდისფერი მაისური გადავიცვი, სარკეში თმებიც გავისწორე და გავედი. ის ისევ „ტაჭკასთან“ იდგა თავისი ნითელნიწკლებიანი კაბითა და თეთრი შლაპით. ერთხანს მეც ვიფიქრე ქუდი ალბა, რადგან მზე იყო ჯერ კიდევ, მერე მომაგონდა, რომ დასვრილი იყო და გავედი.
 მივდიოდით და ვლაპარაკობდით აუჩქარებლად, ჩქარად, სასიამოვნო თემებზე. მია სოფელს აქებდა, მის ბუნებას, მე ვეთანხმებოდი და ვუღიმიოდი.
 ავედით ტრასაზე. აქ გზა ტყის შუაგულშია გაჭრილი, მე ერთი ამბავი მომაგონდა.
 ამ ადგილებში მივდიოდით მე, პაპა და დედა, გზაზე კურდღელმა გაიბინა, პაპას ვკითხე, კურდღელი გაიქცა-მეთქი? კოო, მიპასუხა და იმის მერე რამდენჯერაც აქ გავივლიდი, პაპას სულ იმას ვეკითხებოდი, კურდღელი გაიქცა-მეთქი? შევალონე... ეს მოვუყვები მაიას, გაიცინა და პირზე მიიფარა ხელი.
 მივაბიჯებდით, ცხელოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდით, მე ყურებზე ცეცხლი მეკიდა, იმას ყვრილობები უნითლდებოდა, ვარდისფერი ლაქები უშუქდებოდა. მიმანია, რომ სასიერნოდ არ იყო კარგი პერიოდი, მაგრამ გუნება აღარ წავუხდინე და დავთანხმდი, თანაც საქმე არაფერი მქონდა.
 სკამები დაიწყო, მწვანე შეღებილი ხის სკამები. აქ მაიამ პოეზიაზე ჩამოაგდო სიტყვა. ლექსებს კიდევ წერო, მკითხა. რა თქმა უნდა, ვწერდი და სიხარულითა და ალტაცებით ვუთხარი, კი-მეთქი. მერე თითქოს ფონად გაჰყვავო, ჩიტებმა გაიფრთხილეს და ამაღ კიდევ უფრო მეტად დაგვაყენა პოეტურ განწყობაზე, ერთი-ორი ლექსი წავუკითხე, მაიამ ტაში დაუკრა ნელა, ფაქიზად, ნაზად. გაიღიმა.
 შევინიეთ სიღრმისკენ, აქ ბოლო სახლები იყო, ერთ სახლთან მანქანა იდგა, მანქანასთან სკამი იყო, ოღონდ ჩვეულებრივი ფიცრის, ცელესური. დიდი კაკლის ქვეშ, სახლის გვერდით, ოდნავ ეშვებოდა გზა. აქ ტრიალი მინდორი იყო, მინდვრის ქვემოთ ისევ ტყე გრძელდებოდა.
 სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ, გიტარა ეჭირა და ნელა აწვალდებდნენ სიმებს.
 — იცი, ვინ არიან? — მკითხა მაიამ.
 არ ვიცოდი და თავი გავაქნე.
 — აქაურები არიან, ვიცნობ, — მხოლოდ ეს მითხრა და მიესალმა.
 გავეცანი, დები იყვნენ. ორი წელი იყო, რაც ეს სახლი ეყიდათ. ერთს, მაღალს, თხელს, ნორა ერქვა, მეორეს, უფრო დაბალს, თეთრს, ელი. ის გიტარის აწყობას ცდილობდა, მაგრამ ცოტა უჭირდა, წვალლობა. მაიამ გამოართვა, ნახე, რა მალე ავანყო, თქვა. დაატრიალა, მშვენიერიყო, აღნიშნა. მართლა ლამაზი კი იყო, მუქი ნითელი, სახეს დაინახავდი, ლაპლაპებდა. მაიამ ფრთხილად ააყლერა ერთი სიმი, გიტარამ მეც მაგას, სინყნარეს. მიხარია, რომ გაგიცანი.
 — მეც მიხარია ძალიან. იცი, რატომ მიხარია?
 — რატომ?
 — შემომხედე.
 კირა გაჩერდა, შეხედა. ლევანი დიდ სინათლეს ხედავდა იმ თვალეებში, თითქოს ოკეანეში იყურებოდა, თითქოს იძირებოდა იქ, იმ მღუმარებაში, ისინი კი ისე ციმციმებდნენ, როგორც სახე ვარსკვლავები ლაჟვარდებში.
 — რატომ? — გაუმეორა კირამ და თვალეები დაახამხამა.
 — საოცარი თვალეები გაქვს...
 — ჰო?
 — ჰო...
 — გმადლობ, ჯენტლმენო!
 — ნეტავი ახლა იყოს ერთი ბოთლი ნითელი ლვინო!
 — ჭიქაც კმარა.
 — ჰო, ერთი ჭიქაც საკმარისია.
 — კარგი ლვინო.
 — საუკეთესო.
 იქით გაუმურნენ... ლევანი ფიქრობდა, რომ ისინი მიდიოდნენ ბედნიერების ბილიკისაკენ.

ტარამ არცთუ ისე სასიამოვნო ხმა გამოსცა, მაიამ თავი გააქნია უკმაყოფილოდ და აწყობა დაიწყო, აწყობდა და ნელა უსინჯავდა ხმას.
 ყველა სიმი რომ გამართა, ახლა ნახეთ, რა ვიმღერო და დაიწყო. უცხოური სიმღერა იყო, სახელი და შემსრულებელი არ ვიცოდი, არც შინაარსი შესმოდა, მაგრამ მსიამოვნებდა. ყველანი გავჩუმდით.
 მერე ქართული იმღერა, მერე უცხოური, მერე ისევ ქართული.
 ამ სიმღერებში ვიყავით, რომ სახლიდან ქალი გამოვიდა, სოლიდური იერი ჰქონდა.
 — გამარჯობა, ანა დეიდა! — მიესალმა მაია.
 მეც მივესალმე, ქალიც მომესალმა, მერე შევიდა, დიდი ჯამით შაქარმოყრილი მარწყვი, თეფშები და ჩანგლები გამოიტანა, იქვე სკამზე დააწყო, სუფთაა, გადასაფარებელზე ნულარ მანვალებთო, თქვა და ისევ შევიდა.
 მაიამ გიტარა დადო, გადმოვივდი მარწყვები. აუ, რა გემო ჰქონდა, ტკბილი, ტკბილი, რაღაც საუცხოო იყო, თან სალი, ერთსაც კი არ ჰქონდა ლპობა შესული.
 ამას რომ მოვრჩით, ნორა შევიდა, ბადმინტონი გამოიტანა, აბა, ვის გინდათო. მე და ელი შევთანხმდით, რომ ჯერ ნორას და მაიას ეთამაშათ, ჩვენ იქვე მდგარ ლამაზ მანქანაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ნორა და მაია კი მინდორში გავიდნენ, თამაში დაიწყეს.
 თან ელის ველაპარაკებოდი, თან იმით ვუყურებდი...
 ნორა სჯობნიდა, მაიას ბურთი სულ უვარდებოდა, მაგრამ მაინც იღიმოდა, იცი-ნოდა თავის დაუდევრობაზე, იხტიბარს არ იტყვია...
 ყველამ ვითამაშეთ...
 ამასობაში მზე გადავიდა, სივრცე ცოტა დამუქდა, სუნთქვა გაიოლდა. ჩოგნები დავდე, მაია დებს დემშვიდობა, მეც დავემშვიდობე და იქით წავედი, საითკენაც მხოლოდ ტყე, სახნავ-სათესი მიწები და მინდვრები იყო.
 გავიარეთ ეს გზა, უმეტესად ჩუმად. მივედით ერთ ადგილას. მინდორია, ჩიტების ხმამალალი ჭიჭიკი ისმის, ჰაერი ცოტა გრილია, ამის მიზეზი კი წყაროა, რომელიც იქვე ჩადის. მივედით, წყარო სუფთაა, აუზღვრეველი, კიდევში წვრილი ბალახები ცახცახებენ, ირგვლივ კი რამდენიმე პეპელა დაფარფლებს. ჩემი ერთი ლექსი გამახსენდა პეპელაზე, მაიას ვუთხარი. ნელ-ნელა იცინოდა დასვრილი, მარწყვიანი ტუჩებით და წყალში ამოძრავებდა თეთრ, უფაქიზეს თითებს, მზე უფრო შორს იკარგებოდა, ცოტაც, ცოტაც და საღამო იყო...
 ვაქტირებუბი, ნიკა
 ღაპიში სავარძელში ზის, ოთახი საესეა ათასნაირი ნიგნებით, ლამაზი, ძვირფასი ავეჯით.
 ცოტა ხანს დუმულია, მერე კარი იდება, მუნდირიანი კაცი შემოდის, მუნდირი ძალიან ძველია.
 დავითი შეცბება, ადგება.
 — რომელი ხარ?
 — მე ვარ.
 — ვინ თქვენ?
 — შენი ფული ველარ გიშველის, წადი აქედან, თუ გინდა, რომ ქართულ მინაზე დამარხვა გელირსოს, მოეშვი ამ საქმეს, წადი, აქ არ არის შენი ადგილი, წადი, სადმე მიყრუებულ სოფელში აიშენე სახლი, რა გინდა აქ? წადი, ვაზს მიხედი, მოუარე ვაზს! რა გინდა ბოლოს და ბოლოს?
 — ვინ ხარ-მეთქი? ვინ ხარ?!
 დავითს ოფლში გაეღვიძა, გულს ძლივს იბრუნებდა, ჩაიცვა, კაბინეტში გავიდა, მუქი აანთო. სიცარიელე... ფანჯარასთან მივიდა, მუქი მწვანე ფარდა ოდნავ გასწია, პეტერბურგის ქუჩებში ზამთრის დუმული იდგა, ბრწყინავდნენ წვრილი, მკაფიო ლამპიონები და ოდნავ ამხიარულდნენ ყინვაში ჩაკარგულ, ერთფეროვან ქალაქს, შორს ნევა მიდიოდა და თან მიჰქონდა მძიმე ეპოქათა ოხვრა და დარდი, მოგონებები გენოსებზე, იმპერიალისტებზე, კაცობა-მიტებზე...
 დავითი კი იდგა, როგორც ქანდაკება, მდიდრულ კაბინეტში და დადუმებული აკვირდებოდა ქუჩას, მერე თქვა:
 — მემინია მე ამ ქალაქის!
 ემინოდა მართლაც, ემინოდა მთელი გულით და სძულდა კიდევც...

რა არის კრიტიკა?

„ფიქრების პანოპტიკუმი“ 300 გვერდ-იანი წიგნია, სადაც განთავსებულია ინტერპრეტაციები სრულიად განსხვავებული ხელნერის მქონე 130 მწერალზე, რომელიც რატომღაც არც არასოდეს მეორედება, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის ერთადერთი ავტორია გამორჩეული მოაზროვნე და კრიტიკოსი ივანე ამირხანაშვილი.

სხვათა შორის, უმრავლეს შემთხვევაში სიტყვა — კრიტიკა მაინც და მაინც არცთუ ღრმა აზროვნებისა და არც სერიოზული შემოქმედების სინონიმად არ აღიქმება. არადა, საქმე პირიქითაა არის.

ყოველთვის, როცა კრიტიკის დასაზღვრა მინდა, უმაღლეს ბერტრან რასელის მიერ ფილოსოფიის ერთობ არაორდინალური დასაზღვრა მახსენდება, რომლის თანახმად, ფილოსოფია რაღაც საშუალოა მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის. თუ მეცნიერებას ჰბაძავს, მაშინ ზუსტ აზროვნებას მისდევს, ხოლო როცა ტოვებს ზუს-

თვალწინ იქსოვება უცხო ნაჭერი ტექსტილი“.

და მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ აღქმას ძალუძს მთლიანი სამყაროდან გამოიხმოს მისი არსი, მისი მარცვლი, მისი ბგერა — ის, რაც მატერიალური სამყაროს მიღმა ძევს და მისი მეტაფიზიკური ენაცაა.

საბანს აღქმეაპული სტილი

განსაცვიფრებელია მისი წერის მანერა, მისი სტილი, რომელიც იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რომელ საგანს მიემართება და რომელი საგნის გამოხატვას ცდილობს.

ხომ ასე უყვარს სამეცნიერო ტერმინოლოგია, უყვარს ტექსტის უჩვეულოდ აგება და ამიტომაც მისი ნაწერები საზოგადოდ პარადოქსულობისა და, ამავე დროს, ღრმა აზროვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. თუმცა არის ნაწერები, სადაც ტერმინოლოგიური აპარატი ქრება, ქრება პარადოქსულობისა ან ფილოსოფი-

ივანე ამირხანაშვილი აღნიშნავს, რომ პოეტ ნატა ვარადას ალბათ სურდა საზოგადოების გაოცება და ერთგვარად ამას მიაღწია კიდევ. კრიტიკოსი უკვე აფერადებს პოეტის საქციელს და სხვადასხვაგვარად განმარტავს:

„ეპატაჟი, სითამამე, უჩვეულობა (...). აი, ეს ლექსიც:
ამ შაბათს ქორნილი მაქვს,
გეპატიუები.
ბებერ ხეს მიყვები.
თუმცა პარასკევს
თოკი საბელით, თოკი საბელით,
დავინდებ“.

ფიქრის გაგრძელებისას ამ ლექსის თაობაზე იხსენებს გივი ალხაზიშვილის კომენტარს, რომელმაც ამ განწყობილებას „ნახევრადგამხელილი განწირულობის ტონალობა“ უწოდა და იქვე „მეყვე დასტური“: „მგონი, არ შემცდარა“ და სიზუსტისადმი მისი გაუწეველი სწრაფი ინყებს ახალ რეფლექსიას: „სუბიექტური ტონალობების გარდა, არსებობს ლიტერატურული სუბლიმაციების სფეროც და ამას

სანტანციალცეული მსჯელობა

და კიდევ ერთი გამორჩეული თვისება მისი ხელნერისა, რომ ნებისმიერი მისი ტექსტისადმი მიმართული ანალიზი ან მსჯელობა, საბოლოო სახეს ხშირ შემთხვევაში სენტენციის ფორმაში პოვებს.

მაგალითად, პოეტ ნელი ბატიაშვილის ლექსზე „ბავშვი და ტყე“, წერს, რომ ეს შთაგონებით დაწერილი პოეტური ავტოპორტრეტი და მას არც ის უკვირს, რომ მასში ბუნება გასულიერებული და აღნიშნავს, რომ ამ ცდაში რაღაც საგულისხმოს პოულობს:

„(...) ოსტატობის გარდა, გამოცდილება, გემოვნება და მახვილი თვალი რომ ესაჭიროება. სხვაგვარად შეუძლებელია, ბავშვის შეურყენელი ინსტინქტით აღმოაჩინო და გააცოცლო გარემომცველი სამყარო, იდეა საგნად აქციო და არსებობის აზრი შთაბერო ხილვებს, რომლებიც შენ მიერ მიგნებული სიტყვებისგან შედგება“.

მაგრამ როგორც კი ის მსჯელობას შეუყვება, თავისი განაზრებისადმი გადმოცემას შეეცდება, მისი აზროვნება თავისთავად, ბუნებრივად მეტაფორული ენით გადმოცემულ მშვენიერ სენტენციებად გარდაიხსნება:

„პოეტის ერთი ლექსი, ერთი შეხედვით, ცოტაა, მიუსაფარია, როგორც ბავშვი ტყეში. მაგრამ, ამავე დროს, სრულია, ბევრის დამტყვია, როგორც ყველა ერთი, როგორც საერთოდ ერთი.

ერთმა ლექსმა უნდა თქვას ყველაფერი, ან არაფერი“.

ეს თავისთავად სენტენციაა, რომელიც მსჯელობიდან წარმოიქმნა და გულწრფელობის მდინარებით იქ მოხვდა, სადაც ყველაფერი თავს იყრის — „ერთში“, რომლის იქით იგულისხმება ის, რაზედაც დღემდე გამოთქმულ სიბრძნეს აღემატება და ისიც დღემდე ინარჩუნებს.

და კიდევ ერთი სენტენცია:

„სინამდვილე წვეთია ქუმარიტებისა და ამიტომ აქვს ძალა ურყევი, შთამბეჭდავი, დამარწმუნებელი. ნამდვილობის თვისება, გაგახსენს (...) რაც ვნამდა, რომ სრული რეალობა იყო იქ, იმ დროს, როდესაც იყავი ბავშვი — მარადიულობის მეუფე, ნამდვილობის შვილი“.

კრიტიკოსის ორი სახე — დაიომონის კარნახს მიუხრდავად მიცნეირი

ივანე ამირხანაშვილს, ამ მაღალნიჭიერ კრიტიკოსს, კარგად აქვს გათავისებული, რომ ნებისმიერი ტექსტის მიღმა ყოველთვის მოიხრება ეპოქალური ველი — ის ატმოსფერო, რომელშიც ამ ველზე „მოთამაშე“ გამოთამაშებულების სულელებმა, აზროვნებამ, მგრძობელობამ თუ მსჯელობის მიმართულება აისახება.

მაგალითად, ბესიკ ხარანაშვილის „ეპიგრაფების“ კითხვისას ის აღმოაჩენს, რომ მასში იკითხება „ახალი რომანის“ სტილი. ის სტილი ალენ რობ-გრეის რომანებში რომ გვხვდება:

„მასში არ არის ფაბულა, სიუჟეტი, ინტრიგა, არ არიან პერსონაჟები, არ ჩანს ხასიათები. ყველაფერი ტექსტის შინაგან კანონებს ემორჩილება“.

მაგრამ არის მომენტი, როცა პირიქით, ეპოქის ახალი ველი, ახალი ატმოსფერო გვკარნახობს, რაღაც კორექტივი შევიტანოთ ჩვენს აზროვნებაში, ჩვენს მსოფლმხედველობაში. ასეთია ეს შემთხვევა, როცა ივანე ამირხანაშვილი, როგორც მეცნიერი, მუდამ ღრმა ანალიზის მომწველიებით არაერთგზის მიუბრუნდება თემას, რომელიც მას ასე ტანჯავს. ამ თემამ თავისი გამოხატულება პოვა გურამ ქართველიშვილის „ოჯახის“ ნაკითხვის შემდგომ, რითაც კრიტიკოსმა ქართული აზროვნების შენობას სრულიად ახალი „აგურა“, ახალი სიტყვა შემატა:

„(...) მარტო მამული, ენა და სარწმუნოება არ არის საკმარისი, რომ ერმა იარსებოს, მონოლითურობა შეინარჩუნოს და ქვეყნად იქცეს. ამისათვის საჭიროა იდეა, იდეის ქონა. იდეა მარტო ცნება, მეტაფიზიკური წარმოდგენა, ან ფილოსოფიური ტერმინი არ არის. ეს არის მსოფლმხედველობა, გარემოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. საერთოდ, იდეა არის ყველაზე არსებითი რამ, რაც ადამიანს, ერს, ქვეყანას აარსებებს“.

უაკლინ სირაძე

„არაპის მიწაზე“ მოქმედი კრიტიკოსი

ტი აზროვნების საზღვრებს და დოგმას მიმართავს, მაშინ ის თეოლოგიას უახლოვდება. აი, ამ ორ საგანს — მეცნიერებასა და თეოლოგიას — შორის განთავსებულ ტერიტორიას ბერტრან რასელი „არავის მინას“ ანუ ფილოსოფიას უწოდებს.

არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელია ფილოსოფიის ეს დასაზღვრა, მაგრამ ის დამეხმარა, წარმომესახა და დამეკონკრეტებინა კრიტიკის საგანი.

ერთის მხრივ, კრიტიკა მეცნიერებას მიმართავს და მაშინ ის ზუსტი აზროვნების ნიმუში ქმნის. უფრო სწორედ, ხშირ შემთხვევაში მხატვრული ტექსტის წინაპირობის გაანალიზებას მიმართავს, მეორეს მხრივ კი, ხელოვნებას — ის, რაც სცილდება ამ ზუსტ აზროვნებას... ის, რაც აღქმის, ინტუიციის, წარმოსახვისა და ფანტაზიის სამეფოს განეკუთვნება.

სწორედ ამიტომაც უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსობა უაღრესად რთული საქმიანობაა. კრიტიკოსი, ისევე, როგორც პიანისტი, თითქმის ყოველდღე არპეჯოს უნდა უკრავდეს და სოლფეჯიოში უნდა ვარჯიშობდეს. ასევე, კრიტიკოსი განუწყვეტელი უნდა ეცნობოდეს თანამედროვე ლიტერატურის ახალ და ახალ გამოწვევებს, რომელიც თეორიების სახით ყალიბდება და არა მარტო თეორიებს, არამედ სხვადასხვა მხატვრულ ლიტერატურას უნდა კითხულობდეს, უნდა ერკვეოდეს ნაწილობრივ ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, ისტორიაში, ფერწერაში, ცოტა ცოტა პოლიტიკაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაგრამ ამ თეორიების გაცნობის შემდგომ უნდა დადგეს კითხვის ის პროცესი, რომელიც კრიტიკულ განსჯას აღქმით ჩანაცვლებს და ივანე ამირხანაშვილი ამ გვარ აღქმას გვთავაზობს ამ „მინიმალისტური კრიტიკის კურსიდან“ წერილში ლია სტურუას შესახებ, რომელსაც „თანაშემოქმედება“ ჰქვია:

„აზრი თუ ინტონაცია? რომელი იძლევა სრულყოფილი აღქმის გარანტიას? რა კრავს პოეტურ წრედს? საგნები და ფერები, ბავშვის მიმოფანტული სათამაშოებით, სიმრავლის, ბევრის, რაოდენობის, ნაირნაირობის შთაბეჭდილებას ქმნიან, თუმცა უფუნქციოდ არ რჩებიან. თითოეულს მოქმედების ლოკალური, ნერტილოვანი უფუნქცია აქვს, ყველა თავის ეტიმოლოგიურ მიკროკოსმოსს განაგებს, ბოლომდე იცავს ავტონომიურობას და არ არღვევს სხვა საგნისა თუ ფერის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

თითქოს სიტყვები ერთმანეთთან კავშირს კი არ ეძებენ, არამედ ერთმანეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას ემსახურებიან“.

მისთვის, როგორც კრიტიკოსისთვის, აღქმა რომ განმსაზღვრელია, ეს მოჩანს ესეისტურ ნააზრევშიც:

„თავიდან ბგერა მოდის შენამდე, შემდეგ სიტყვა, იმის შემდეგ ფრაზა, აზრი და

ური ნაშრევის ძიების წყურვილი.

ასეთია სადა, უბრალო და მჭვირვალე ტექსტი, რომელიც ნებისმიერში აღძრავს ილუზიას, რომ მასაც შეეძლო ეს ცხადზე ცხადი ტექსტი დაენერა ნინო დარბაისელზე:

„კაცმა რომ თქვას, რა არის პოეზიის მიზანი? ძალიან უბრალო, მარტივი, ადამიანური რამ — საკუთარ თავს პირდაპირ უთხრა ის, რისი თქმაც გასურს. ამისათვის სიტყვების სწორად შერჩევაა საჭირო, სათქმელად ყველა სიტყვა არ გამოდგება და არც ყველა იდეა ივარგებს გადმოსაცემად, ფორმაც თავისით უნდა მოვიდეს, სულის შინაგანი განვითარების კვალად“.

სულ სხვა, აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულება იხატება მის ნაწერებში, როცა ის ბეჯა ახალაიას პოეზიაზე საუბრობს.

ის კითხვით იწყებს და კითხვითვე ამთავრებს ფრაზას, რითაც უსასრულოდში გაღწევს და ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შეუძლებლობაზე მიგვანიშნებს:

„პოეტი ირჩევს ენას თუ ენა ირჩევს პოეტს? ბანალური კითხვაა, მაგრამ ძნელი. ვერანაირი პასუხი ვერ იქნება იმაზე მეტი, რაც არის შეკითხვა“.

ამ განსხვავებას უფრო ღრმად გაიაზრებ, როცა მთლიანად კითხულობ ამ ტექსტს:

„დიდი ხანია, წავიდა დრო, როდესაც ლექსს კანის დაბურძგვლით ცნობდნენ. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ყოველი პნკ-ართი ქვეტექსტური შერეობა არის დატვირთული. ავტორის ჩანაფიქრიც მხოლოდ ერთ-ერთ შრეს წარმოადგენს ამ ეპისტემოლოგიურ სენდვიჩში. ნაკითხვის დროს ცნობიერს თუ არაცნობიერს არ მიაშველე, მეტაფიზიკურ წრეზე იტრიალებ და ტექსტის სიღრმეში ვერ შეაღწევ. კაცმა რომ თქვას, შედევვაც პირობითი ცნებაა, რადგან ერთი ბარიერის გადალახვა არ ნიშნავს სიღრმეში შესვლას, რადგან სიღრმე ილუზიაა, მირაჟია, როგორც ოაზისი უდაბნოში დაკარგულისთვის“.

ამ სულ მცირე ინტერპრეტაციაში უკვე იხატება თანამედროვე ეპოქის ის ატმოსფერო, ცოდნის ის ახალი ველი, რომელზედაც მოაზროვნეთა კონფიგურაციები გამოიკვეთნენ. მათ შორისაა ფრიდრიხ ნიცშეს გიგანტურად გაზრდილი ფიგურა, რომლისთვისაც ინტერპრეტაცია დაუსრულებელი პროცესია, ჭეშმარიტების მოძიება კი სიყალბე და ილუზიის ნაირსახეობა.

სიზუსტე და მსოლოდ და მსოლოდ სიზუსტე

უკვე აღვნიშნე, რომ მისი წერის მანერისთვის ნიშნულია ცვალებადობა. ცვალებადობა, რომელიც გამოხმობილია თავად ამა თუ იმ საგნის შინაარსისა თუ არსისგან. მაგრამ ამასთან არ იცვლება ერთი რამ, ეს არის მისი, როგორც კრიტიკოსის, მთავარი საყრდენი — სიზუსტისადმი გაუწეველბელი სწრაფვა და მისი ერთგულება.



უნდა მივაქციოთ ყურადღება“. და აი, იწყება მსჯელობის, გააზრების ახალი ნაკადი: „ხის პოეტურ ფენომენში ბევრი რამ არის ტრივიალური, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ერთი პოეტი ხეს შემთხვევით მეტაფორად არ აიღებს, რადგან თვით ხეში არ არის არაფერი შემთხვევითი. ბოლოს და ბოლოს სამყაროს ღერძია, ცისა და მიწის შემაერთებელი — ფესვებით მიწაში, ტოტებით ცაში“.

და აი, უკვე მიკვლეული დანასკვნის გადაფარება ივანე ამირხანაშვილის მიერ ისევ და ისევ სიზუსტის გაუწეველბელი წყურვილის გამო:

„(...) საქმე ის არის, რომ ნატა ვარადას ხე არც სამყაროს ღერძია, არც ხე ცნობადისა და არც პანთეისტური კერპი. ეს არის ერთი უბრალო „კარალიოკი“, რომელიც შემოდგომის მიწურულს ხდება ხოლმე შესამჩნევი ბავშვებისა და ჩიტებისთვის“.

და ამან გამახსენა პოლ ვალერის ცნობილი ფრაზა:

„ათიდან ცხრა შემთხვევაში ასჯერ უფრო ადვილია ნერო ლამაზად, ვიდრე ზუსტად“.

ესეც ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ ზუსტად ნერა ამჯობინებს ლამაზად წერას და ამას მოწმობს ივანე ამირხანაშვილის პირუთვნელი დანასკვნის: „ჩვენ წინაშეა პარადოქსი, წამიერი სინთეზი ანტინომოფორ ცნებებისა, იქნებ ამიტომაც არ იყო საჭირო ლოგიკურ-რაციონალურ დონეზე მსჯელობა, აღვიქვათ ყველაფერი ისე, როგორც არის, როგორც ვხედავთ“.

სიზუსტის, პირუთვნელი სიზუსტის ნიმუშია მისი ნაწერი გიორგი ლობჯანიძეზე: „რა ქნას კარგმა პოეტმა, როცა ყველა კარგად წერს?.. გიორგი ლობჯანიძე „ცუდად“ წერს.

იგი უარს ამბობს გაზუბირებულ, „სწორ“ ფორმებზე და სათქმელს თავისი, განსხვავებული ფაქტურით მოსავს“.

ან, აქვე: „უცნაურია, გიორგი ლობჯანიძე „აუცილებელ“ მეტაფორებს ყალბი მონეტასავით უკუაგდებს, მაგრამ, ამავე დროს, მთლიანად ლექსს, ლექსში მოცემულ აზრს აქცევს მეტაფორად. ეს არის გემოვნების ნიშანი“.

მახსოვს, ის მძაფრი განცდა, როცა ნაკვირვალად უღიამ ფოლკლორის სიტყვები, რომ არანაირი თეორია, არანაირი კანონი არ არსებობს, რითაც შეიძლება, მწერალმა წერა ისწავლოს:

„მწერალი (აქ კრიტიკოსი — ჟ.ს.) უპირველეს ყოვლისა, ცხადია, დემონის მიერ უნდა იყოს შეპყრობილი“.

და სწორედ ივანე ამირხანაშვილი, როგორც მეცნიერი, ერთის მხრივ აანალიზებს მხატვრული ტექსტის წინაპირობას, ხოლო ამის შემდგომ კრიტიკოსი იქცევა ხელოვანის იმ ერთგულ მეგობრად, რომელიც აღქმისა და შთაგონების მეშვეობით კითხულობს ტექსტს. შთაგონებით არის დაწერილი ტექსტი პოეტ, მთარგმნელსა და ესეისტს და ვითაც ნერედიანზე, რომელიც თანამედროვე თაობის მეტრად არის აღიარებული:

„სიტყვები უარყოფენ სინტაქსის კანონებს, რათა თვითონ დაადგინონ ურთიერთკავშირის წესები და, რაღაც მანქანებით, ამას ახერხებენ კიდევ“.

აზრი სიტყვებში არ იკითხება, არამედ ექოში, რომელსაც ისინი გამოსცემენ. სიტყვა, როგორც ფონემების შეკვრა, და სიტყვები, როგორც ბგერწერის თავიგული. რა არის ეს ბგერწერა — ალიტერაცია? არის და არც არის; ასონანსი? მარტო ხმოვანი ვერ იტვირთავს შინაარსის სიმძიმეს; რითმა, რიტმი, ინტონაცია? ამაზე ღირს დაფიქრება, მაგრამ საგარეოდ, რომ წყობილ-სიტყვაობა ქვენანაილაკების როლს ვერ ასრულებს. ის კი არა, აქ მარტო სემანტიკაც კი უძლურია. რაღაც სხვა არის, არა ზოგადი, არა ცნობილი, არამედ ინდივიდუალური, სუბიექტური, შინაგანი, იმანენტური.

საქმე ის არის, რომ ამ ლექსებში აზრს წარმოქმნის არა სიტყვათშეთანხმება, არამედ მეზობლობა, სიტყვათშეთანხმება“.

ტკივილიც ფიქრია

ხშირად მონადინებული ხარ, დანერო რაიმე მნიშვნელოვანი ავტორზე, კრიტიკოსზე. არადა, მის ნაწერებში აქა-იქ თუ ვაკრთებ რაიმე არსებითი ფრაზა, ის სათქმელი, სიბრძნის მწყურვალეების სურვილს რომ განგიახლებს.

მაგრამ ივანე ამირხანაშვილის შემთხვევაში საქმე პირიქითაა, ყოველი მისი ფრაზა მნიშვნელოვანია და თუ გინდა, ერთ მათგანზე დააუნჯო შენი გონება, ამას ვერ ახერხებ, რადგან თავად ყოველი ფრაზა მეორე ფრაზას გამოიხმობს და უწყვეტად, ნელ-ნელა იხატება ის გასაოცარი სურათი, რომელიც იმპრესიონისტულ მანერას უფრო მოგვაგონებს. ყოველ მონასმს მეორე მონასმი მოსდევს და ეს ისე, როგორც იმპრესიონისტი მხატვარი პალიტრიდან ნება-ნება იღებს ჯერ ლურჯ, შემდეგ ყვითელ, იისფერ, მწვანე, წითელი ფერის საღებავებს და ერთმანეთზე დადებით ქმნის მთლიან სურათს.

უაღრესად ფართოა მისი დიაპაზონი, მას ტანჯავს ის კითხვები, რომლებიც არსებითია ჩვენი საუკუნისთვის, კითხვები, ჩვენი საზოგადოების სხეულის ეგზემურ ნაწილს რომ ეხება და რომელსაც ვერც კი ამჩნევს:

„რატომ არის, რომ თანამედროვე მკითხველის ცნობიერებაში აგიოგრაფია ბოლომდე ვერ შეერწყა ბელეტრისტიკას?“

ხან კი ეს კითხვები ჩვენი თანამედროვე საზოგადოების მთლიან სურათს მიემართება, როცა ის ირაკლი სამსონაძის რომანის — „ქელეხი — ქორწილი“ — შესახებ წერს:

„80-90-იანების კატასტროფიდან ქართველი კაცი დამარცხებული გამოვიდა, მაგრამ მაინც გამოვიდა. ამას ვერც პროგრესს ვუწოდებთ და ვერც რეგრესს, რადგ-

ან არ ვიცით, საით მივდივართ, არ ვიცით, რა სიუჟეტი აქვს თანამედროვე ქართულ ინფერნოს“.

მის მიერ იწერება ფრაზები, რომლებიც ადამიანის მაღალი სულიერების პიედესტალიდან რომ წარმოითქვა:

„ტრადიციას ბედისწერაზე ნაკლები ძალა როდი აქვს“...

„მას შემდეგ, რაც ნუგზარ შატაიძე წავიდა, ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, ტექსტებად არის ქცეული... ენა იცის. კი არ ფლობს, ეს შეუძლებელია, თავს ფლობს ენის სტრუქტურაში. თავისუფალია გამოხატვაში. არ ეძებს, პოულობს. აგნებს. ცნობს. წინაპართა კულტის თავყვანისმცემელია. ტრადიციონალისტი. ადათ-წესების დამცველი. სიძველის აპოლოგეტი. ამავე დროს, არაორდინალური, სიახლის მიმდებარე, გამზიარებელი, დამფასებელი“.

ბევრს უკვირს, თუ საიდან მოიპოვა ასე უცდომელი სათქმელი, რომელიც არც ლოგიკურ განსჯას ექვემდებარება და ვერც მეცნიერული ზუსტი აზროვნების ჩარჩოში ვერა და ვერ ჯდება. ეს, უპირველესად, ივანე ამირხანაშვილის ენიგმაა, თავისი მაღალი სულიერების რეგისტრიდან რომ ხედავს და ტკივილითა და ტანჯვით შეიგრძნობს და შეიცნობს სამყაროს, რაც წინაპირობა ადამიანის მღვიძარე მდგომარეობასთან მისახლებლად, სიბრძნეიდან თვალის ახელის გზაზე დასადგომად და ამ გზაზე, რასაც არ უნდა შეეხოს, რაც არ უნდა გაიზროს, ის მას თავისი მაღალი სულის ნაწილად აქცევს.

მისი ნაწერების მიღმა იკითხება ადამიანისადმი ის უღრმესი პატივისცემა, სიცოცხლისადმი ის სიყვარული, უმიზეზო სიხარულის აღმავალ ტალღებს რომ გამოიხმობს, რის გარეშეც არ იბადება პოეტური აღქმა, შთაგონების სიმღევე.

უდაოდ უნდა აღვნიშნო ისევე მისი თავმდაბლობა და მოკრძალებული ხასიათი, რომელიც ასე ესაძირკვლება მის სულიერებას.

რა კავშირშია ეს მის ნაწერთან? იკითხავს მავანი.

არადა, პირდაპირ კავშირშია. ის მისი ბრძნული გამონათქვამების, მისი უცთომელი ნაწერების ერთგვარი ბეზიაქალია. თავად მისი ნაწერების სათაურშივე გამოსტვივის იგი. მაგალითად, ის არ დაწერს:

„კლასიკის პირისპირ“, ან „კლასიკის შეცნობა“...

არამედ, ოდნავ უკან დაიხევს, თავს მოიდრეკს და ასე იტყვის:

„მიახლოება კლასიკასთან“.

ერთგან ის პირდაპირ წერს, რომ ადამიანის არსებობიდან არსამდე მისასვლელი გზა და ამ გზის განვლის დროის საზომი ტკივილია:

დროის საზომი ტკივილია, რომელსაც თავისთავად მოსდევს ფიქრი და ისე გამოდის, რომ ტკივილიც ფიქრია.

პოლ ვალერი წერდა:

„აი, რა არის ყველაზე ძნელი ამ ქვეყნად: ჩააყენო მთელი შენი ინტელექტი და შემოქმედებითი უნარი — სამსახურში“.

ივანე ამირხანაშვილის „ფიქრების პანოპტიკუმი“ იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ ძალუძს პიროვნებას დიდი ფრანგის მოხმობილი დაუძლეველი ამოცანა აღასრულოს.

ის არა მარტო 130 მწერლის შეფასებაა, მათი სულიერი ავტოპორტრეტით, რომელიც მათ დიდ შესაძლებლობას ანიჭებს დისტანციიდან, სხვისი თვალთ უფრო ღრმად გააცნობიერონ საკუთარი შემოქმედება, არამედ ეს წიგნი 130 მწერლის მკითხველთა იმ გზაზე გაყვანასაც შეეცდება, სადაც მეცნიერული ანალიზი შთაგონების იგავიუნვდომელ პროცესს გადაეჯაჭვება.



ბადრი სულაძე

სოფლის ავტობუსს რომ ჩამოჰყვა მოხუცი ქალი, — დაღლილი ქუჩა კომპის სუნით მოსულიერდა...

ბელურასავით ვანყდებოდი დაორთქლილ მინებს, სოფელში წასულ დედაჩემს რომ ველოდებოდი...

დედის საფლავზე შეიღის ხელით დასმული ჯვარი სამადლობლო პასუხია ნუთუ ჯვრებისთვის — დედა რომ კეცში გამოსაცხოვო მჭადებზე სვამდა?!

არ უყვარდაო გადალება, — და ამიტომაც ბებიაჩემის კეთილი სახე, სასურათე ალბომის ნაცვლად, ჩემს გულში დარჩა.

გული დამიწვა პროცესიამ პატარა ფიცრით, როცა ბავშვები მკვდარ ბელურას მისავენებდნენ...

ბიჭი, რომელიც ქურთუკის ქვეშ ქარისაგან მალავს თავიგულს, ბოროტებას როგორ ჩაიდენს?..

სხეულს მამისას ვერაფერი რომ ვერ დააკლო, მის ნაქონ ნამგალს რა გულით ჭამს ნეტავ ეს უანგი?!

როცა თიბათვე იყო ძალაზე და მე კი მზეზე ვიყავი მწყრალი, — მთიბავებისთვის მიმქონდა წყალი...

უკეთურს მაღლი მხოლოდ მუხლის თავებზე უდევს, — წამოდგომისას რომ კარგავს და ტვირთს იმსუბუქებს...

სოფელში უბრალო კლდეებიც — კაცობას გასწავლიან...

საქმე ისაა, — სხვისგან ნასროლი ქვით და ტალახით შენ რწმენის კედელს თუ აამენებ...

მიტოვებული სოფლის სევდას ჰგავს, — ძველ ფანჯარაზე მორყეული რკინის ანჯამა...

მაინც მგონია, გაზაფხულსაც ის სიფრთხილე აქვს, მარტის თვეში რომ ცერა თითით მდინარეს სინჯავ...

რაღაც ძვირფასს და მნიშვნელოვანს ფარავს უდავოდ სოფლის შარა-გზას გადაკრული ასფალტის ფენა...


ბებიაჩემი — როცა ბოსტანს ხელით მარგლავდა, მარჩენალ მინას ასე უფრო ეფერებოდა...

როცა სოფელში, ჩემს გვერდით სახლში, ბოლო მოხუციც გარდაიცვალა, — მე მარტო დავრჩი ლამის პირისპირ...

უმადურობა ტვირთად ანეცს კაცის გულს, როგორც მოურიდებლად თოვლის მოსვლა ყვავილებს ნუშის...

ამ სამყაროში მხოლოდ დედაზე დანეროლი ლექსებით ვთბები...





ჰომეროსი

ილიადა

აგამემნონის სიზმარი და ნესტორის სიტყვა II სიმღერა

უკვდავებსა და მეომრებს, ძუისმუზარადიანებს, ეძინათ ღამით. თვალს რული მხოლოდ ზევსს არ მორევიან. ფიქრობდა, როგორ მიეგო პატივი აქილევისთვის და როგორ ამოუყლიტა გემებთან აქაველები. ბოლოს კი გულში ეს აზრი ეჩვენა საუკეთესოდ — რომ აგამემნონს, დიდ ატრიდს, ავი ზმანება სწვეოდა. მაშინვე სიზმარს მიმართა ფრთიანი სიტყვით კრონიდმა: „სწრაფად გასწიე, სიზმარო, აქაველების გემებთან, აგამემნონის, ატრიდის კარავში შეაღწიე და რასაც გავალებ, უცვლელად და ზუსტად გააგებინე — რომ საბრძოლველად აღანთოს ხუჭუჭა აქაველები. ეგონოთ, რომ დაიპყრობენ ამ ქალაქს, ლამაზქუჩიანს, რადგანაც თვით ოლიმპოსზე მცხოვრები დიდი ღმერთებიც აღარ ფიქრობენ სხვაგვარად. ისინი გადაიბირა ჰერამ ვედრებით. ტროელებს უბედურება მოელით“. თქვა და სიზმარიც აჩქარდა, ეს სიტყვები რომ ისმინა, დაბლა დაეშვა, მივიდა აქაველების გემებთან. ატრიდი აგამემნონი სწორედ იქ ნახა, მძინარე თავის კარავში — მშვიდი და ღვთიური ძილით მოცული. თავზე დაადგა და ნესტორს — ნელევის ძეს დაემსგავსა, რომელსაც აგამემნონი პატივით გამოარჩევდა. ასე მიმართა ღვთიურმა სიზმარმა, გარდასახულმა: „გძინავს, ძევ ცხენთა მხედნელი კეთილშობილი ატრევსის? არ შეიძლება, გეძინოს, ლაშქრის მრჩეველს და წინამძღოლს — შენ, ვისაც ხალხი მოგყვება. უნდა იზრუნო ყველაზე. ახლა კი უცებ გეტყვი, რომ მე თავად ზევსის მაცნე ვარ. ის შორიდანაც შენზე სწუხს, ფიქრობს და გულშემატკივრობს. გირჩია, რომ საბრძოლველად აღანთო აქაველები. იცოდეთ, დღეს თქვენ დაიპყრობთ ამ ქალაქს ლამაზქუჩიანს, რადგანაც თვით ოლიმპოსზე მცხოვრები დიდი ღმერთებიც აღარ ფიქრობენ სხვაგვარად. ისინი გადაიბირა ჰერამ ვედრებით. ტროელებს უბედურება მოელით ზევსისგან. დაიმახსოვრე, რას ვამბობ, რომ დავინწყება არ მოგერიოს, როდესაც ტკბილი სიზმარი დაგტოვებს“. ასე უთხრა და წავიდა, მარტო დატოვა ატრიდი იმ ფიქრებით და იმედით, რომელიც არ ახდებოდა — ეგონა, იმ დღეს მოსპობდა დიდ ქალაქს პრიამოსისას. უგზურმა, არც კი იცოდა, ზევსი რას განიზრახავდა, რომ მხოლოდ უბედურებას და ოხვრას გაუგზავნიდა დანაელებს და ტროელებს იმ დაუნდობელ ბრძოლებში. სიზმრიდან გამოფხიზლებულს, ღვთიური ხმა ჩაესმოდა. მაშინვე წამოიმართა, ჩაიცვა ნაზი ქიტონი, ახლად შემკული. მოისხა ტანთ გრძელი წამოსასხამი, ზურგზე მოიგდო მახვილი, ვერცხლისამსჭვალეიანი, ხელთ იპყრა მამისეული შეურყეველი კვერთხი და აბჯროსან აქაველების გემებისაკენ გასწია. ოლიმპოსისკენ აიღო გეზი ქალღმერთმა ეოსმა, რომ ზევსს და ყველა სხვა უკვდავს გაეგო ამ დღის შესახებ. ატრიდმა თავის მაცნეებს უბრძანა, მაღალხმინანებს, რომ შეეყარათ კრებისთვის ხუჭუჭა აქაველები. მათაც ამცნეს და სასწრაფოდ შეკრიბეს მთელი ლაშქარი. ატრიდმა საბჭო მოიწვია უხუცესების მეფე ნესტორის, პილოსელი მბრძანებლის გემთან და შეკრებილებს ჩანაფიქრი გაუზიარა: „მისმინეთ, თანამებრძოლნი. ამ ღამით ძილში მენვია ღვთით მოვლენილი სახება, რომელიც ჰგავდა საოცრად ღვთაებრივ ნესტორს — იერით, აღნაგობით თუ ნაკვთებით, თავზე დამადგა და ზუსტად ასეთი სიტყვით მომმართა: „გძინავს, ძევ ცხენთა მხედნელი კეთილშობილი ატრევსის? არ შეიძლება, გეძინოს, ლაშქრის მრჩეველს და წინამძღოლს — შენ, ვისაც ხალხი მოგყვება. უნდა იზრუნო ყველაზე. ახლა კი უცებ გეტყვი, რომ მე თავად ზევსის მაცნე ვარ. ის შორიდანაც შენზე სწუხს, ფიქრობს და გულშემატკივრობს. გირჩია, რომ საბრძოლველად აღანთო აქაველები.

იცოდეთ, დღეს თქვენ დაიპყრობთ ამ ქალაქს ლამაზქუჩიანს, რადგანაც თვით ოლიმპოსზე მცხოვრები დიდი ღმერთებიც აღარ ფიქრობენ სხვაგვარად. ისინი გადაიბირა ჰერამ ვედრებით. ტროელებს უბედურება მოელით ზევსისგან. დაიმახსოვრე, რას ვამბობ“, — ეს თქვა თუ არა, უმალ გაფრინდა და ტკბილმა ძილმაც მაშინვე დამტოვა. მირჩიეთ, როგორ აღვავზნოთ საომრად აქაველები. თავიდან სიტყვით ვეცდები, თუ არის შესაძლებელი. მივმართავ, მრავალნიჩბიან ხომალდებისკენ წავიდნენ. თქვენ კი, პირიქით — სიტყვითვე ეცადეთ, რომ არ გაუშვათ“. ეს თქვა და ადგილს დაუბრუნდა. ფეხზე წამოდგა ბრძენი ნესტორი, ქვიშიანი პილოსის მეფე და გონიერმა, შეკრებილებს ასე მიმართა: „თანამებრძოლნი! არგიველი მმართველნი, წინამძღოლებო, სხვა რომელიმე აქაველს ეს სიზმარი რომ ეამბნა, გამოგონილად ჩავთვლიდით და ალბათ ზურგს შევაქცევდით, მაგრამ იხილა მან, ვისაც უდიდეს პატივს მივაგებთ. ამიტომ უნდა აღვავზნოთ საბრძოლოდ აქაველები“. ასე წარმოთქვა. უხუცესთა კრება დატოვა, ხალხის წინამძღოლს უკან მიჰყვანენ დანარჩენებიც — კვერთხის მფლობელი მეფეები. იკრიბებოდა ლაშქარი ისე, როგორც ფუტკრის დიდი გუნდები კლდის ნაპრალიდან აწყდებიან გარეთ ჯგუფ-ჯგუფად, ხან დაპბზუიან სურნელოვან ყვავილებს თავზე, ხან აქეთ-იქით ფრენენ, ერთად თავმოყრილები. ასე გუნდებდა, გემებიდან და კარვებიდან ნაპირის გასწვრივ მიდიოდა ხალხის ნაკადი აგორასაკენ. ბრძალვებდა მათ შორის ოსა, ზევსის მაცნე და აქეზებდა შესაგროვებლად. ალელდა კრება. დედამინა აკვნესდა უცებ ბრბოს ჟრიაშულით და ხმაურით. მაღალხმინანი ცხრა მაცნე ლაშქარს ამშვიდებდა, რომ შესძლებოდათ ზევსის აღზრდილი მეფეების ხმის გაგონება. დამშვიდდა ხალხი, ადგილები დაიკავა და შეწყდა ხმაური. მბრძანებელი აგამემნონი წამოდგა კვერთხით, ჰეფესტოს რომ გამოუჭედავს და თვით კრონიდი ზევსისათვის უჩუქებია, ზევსს წინ გამძღოლი ჰერმესისთვის გადაუცია, მას დაუთმია ცხენთა მხედნავ პელოპისათვის, პელოპსმა ატრევსს დაუტოვა — ხალხის წინამძღოლს, იმან თიესტესს მიაკუთვნა, ცხვრის ფართი მდიდარს, თიესტესმა კი აგამემნონს გადაულოცა — არგოსისა და უამრავი კუნძულის მმართველს. დაეყრდნო კვერთხს და არგიველებს ასე მიმართა: „ო, დანაელო გმირებო, დიდი არესის მსახურნი, ზევსმა, თვით დიდმა კრონიდმა გონების თვალი დამიხშო, ვინც დამიჭირა მხარი და ვინც დამარწმუნა თავიდან, რომ დავანგრევი ნასვლამდე მყარგალანინი ილიონს. ახლა, მზაკვრობის მსურველმა, მიბრძანა, არგოსს დავბრუნე კვლავ უსახელოდ — მას შემდეგ, რაც ბევრი ხალხი დავდღუპე. ძვირფასმა ზევსმა ამგვარად ისურვა, ძლევა მოსილმა, ვისაც მრავალი ქალაქის სიმაღლე დაუნგრევია და ბევრს დაანგრევს. კრონიდის ძალა ხომ უდიდესია. სამარცხვინოა, თუ ჩვენი შთამომავლობა გაიგებს, რომ ამხელა და ამგვარი აქაველების ლაშქარი ფუჭად იბრძოდა ამ ომში და თანაც ერკინებოდა მტერს, რიცხოვრივად ნაკლებს და ამ ომს ბოლო არ უჩანდა, რადგან რომ ესურვებინათ აქაველებს და ტროელებს, დროებით ზავი დაედოთ და დაეთვალათ ლაშქარი, ყველა ტროელი — სულ ქუდზე კაცი რომ შეკრებილიყო, აქაველებიც მთლიანად დაგვეყო ათეულებად და მერიქიფედ დაგვესვა თითო ტროელი, ვნახავდით, რომ მერიქიფე უამრავ ათეულს არ ეყოფოდა. ასე სჯობნიან სიმრავლით აქაველების ვაჟები ქალაქში მცხოვრებ ტროელებს. თუმცა, მათ შუბით მებრძოლი რამდენი მოკავშირე ჰყავთ, შორი ქვეყნიდან მოსული. ისინი მბრკოლებენ და, როგორც არ უნდა ვეცადო, ვერ ვანგრევი კარგად ნაშენებ, მრავალრიცხოვან ილიონს. ცხრა გრძელი წელი გავიდა ზევსის ნებით და სურვილით, გემებს ანძები დაულმა, აფრებს მოეშვა თოკები, სადღაც კი ჩვენი ცოლები, როგორც პატარა ბავშვები, ჩვენსავე სახლში სხედან და გველიან. ჩვენი საქმე კი ვერ აღვასრულეთ, რისთვისაც ამაოდ გამოვემგზავრეთ. თუმც ახლა ყველამ ირწმუნეთ, რასაც მე გეტყვით ამჯერად — უკან გავიქცეთ გემებით ძვირფასი სამშობლოსაკენ, რადგან ვერ გავანადგურებთ დიდ ტროას ფართოქუჩიანს“. ეს თქვა და ყველას აღუძრა გულში ლტოლვა და სურვილი — მათაც კი, ვინც არ იცოდა, რაც საბჭოს გადაეწყვიტა. ალელდა კრება ისევე, როგორც ვეება ტალღები იკაროსის ზღვის, როდესაც თვით ევროსი და ნოტოსი მბრძანებელ ზევსის ღრუბლიდან იწვევენ სასტიკ ქარიშხალს, ან ზეფიროსი დაბერავს, ვრცელ ყანებს ააბიბინებს, უეცრად ამოვარდება და დახრის პურის თავთავებს, ზუსტად ასევე აბორგდა ხალხი კრებაზე. ხმაურით ილტვოდნენ ხომალდებისკენ. ხოლო მათ ფეხთა მტვერი კი ალივით ავარდნილიყო. ერთმანეთს მოუწოდებდნენ გემების გამოყვანას და ღვთაებრივ ზღვაში შეცურვას. ღარების წმენდა დაიწყეს. მათი ხმა ზევსს სწვდებოდა. სახლისკენ ეშურებოდნენ, ბიჯებებს აცლიდნენ ხომალდებს. ამგვარად გაბრუნდებოდნენ უკანვე არგიველები, ჰერას რომ ათენასათვის ამ სიტყვით არ მიემართა: „ეგისის მყრობი ზევსის შეილო დაუძღველო, ნუთუ სახლისკენ, საყვარელი სამშობლოსაკენ გაიქცვიან ღია ზღვაში არგიველები, რომ იტრაბახონ პრიამოსმა და ტროელებმა, დათმონ ელენე არგოსელი. მისთვის მრავალი აქაველი ძე სამშობლოდან შორს დაიღუპა.

ახლა აბჯროსან აქაველთა გემებთან მიდი და ტკბილი სიტყვით შეაჩერე თითოეული, არ შეაჯურონ მორკალული გემები ზღვაში“.

ასე თქვა. დაემორჩილა ქალღმერთს ბუსთვალა ათენა და ოლიმპოსის წვერიდან მაშინვე დაბლა დაეშვა, დაუყოვნებლივ მივიდა აქაველების გემებთან. იქ ოდისევსი მოძებნა, სიბრძნით თვით ზევსის ბადალი, იდგა და არ ადიოდა მყარგემბანიან შავ გემზე, რადგანაც ტანჯვას მოეცვა მისი სული და სხეული. ახლოს დაუდგა და ასე უთხრა ბუსთვალა ათენამ: „ო, ლაერტიდო ოდისევსო, მოხერხებულო! ნუთუ სახლისკენ, საყვარელი სამშობლოსაკენ მრავალნიჭიან ხომალდებით უნდა გაიქცეო, რომ იტრაბახონ პრიამოსმა და ტროელემა? დათმობი ელენე არგოსელი. მისთვის მრავალი აქაველი რომ სამშობლოდან შორს დაიღუპა. ახლა აბჯროსან აქაველთა გემებთან მიდი და ტკბილი სიტყვით შეაჩერე თითოეული, არ შეაჯურონ მორკალული გემები ზღვაში“.

ეს თქვა და გმირი მიხვდა, რომ ღვთიური ხმა ჩაესმოდა. გაიქცა და დაუვარდა ქლაინა. მისმა თანმხლებმა მაცნემ აიღო — ითაკის მცხოვრებმა ევრიბატოსმა. ოდისევსი კი მივიდა დიდ ატრიდ აგამემნონთან, მისი წინაპრის ნაქონი კვერთხი აიღო ხელში და აბჯროსან აქაველების ხომალდებისკენ დაიძრა. ვინც გზაზე შეხვდა — მეფე თუ საუკეთესო მებრძოლი, აჩერებდა და ამ სიტყვებს ეუბნებოდა ღმირით: „ღვთიურო! ნუ შეშინდები, ნუ მოიქცევი მხდალივით, ახლა დაჯექი ისევ და აჯობებს, სხვაც მოინვიო, რადგანაც კარგად ვერ მიხვდი ატრიდის ნამდვილ ჩანაფიქრს — ჯერ ცდის, მერე კი მოუვლენს სასჯელს აქაველ მეომრებს. ჩვენ ყველაფერი არ ვიცით, რაც იმ კრებაზე ითქვა და განრისხებულმა, ცუდი რამ არ მოუვლინოს აქაველთ. არადა, ზევსის აღზრდილს ხომ სასტიკი რისხვა სჩვევია. ბრძენ ზევსს ატრიდი უყვარს და ყოველთვის პატივს მიაგებს. თუ შეამჩნევდა ხალხში, რომ ვინმე ყვიროდა, მაშინვე დაჰკრავდა სკიპტრას თავში და მრისხანე სიტყვით ლანძღავდა: „ღვთით განწირულო! დამშვიდდი და სხვების სიტყვა ისმინე — ვინც შენზე უფრო ბრძენია. ბრძოლა არ იცი, მშობარავ, არა ხარ გამოსადეგი არც ომში და არც საბჭოში. აქ ყველა ხომ არ იმეფებს აქაველთაგან. არ ვარგა მრავალთა ძალაუფლება. დე, ერთი იყოს მმართველი და ერთი მეფე, რომელსაც კრონოსის ვაჟი ცბიერი აძლევს კვერთხსა და სამართალს, რომ ჩვენ გვმართოს და იმეფოს“.

ამგვარად იმორჩილებდა ლაშქარს. ისინიც გარბოდნენ აგორასაკენ. ტოვებდნენ გემებს და კარვებს ხმაურით, ისე, ვით მრავალხმიანი ზღვის თვალუნვდენელ ნაპირებს ეხეთქებინ ტალღები და მთელ ზღვას აგუგუნებენ.

ნესტორმა, გერენიელმა მხედარმა ასე მიმართა: „ვაიმე! ახლა მსჯელობთ და საუბრობთ მცირეწლოვანი ბავშვების დარად, რომლებსაც სულ არ ადარდებთ ბრძოლები. რა შეთანხმებას მივალნევთ, როგორღა დავდებთ პირობას, თუ ცეცხლი მოეკიდება აზრსა და ბჭობას კაცების, სუფთა ზედაშით დადებულ ზავს, ანდა სანდო პირობას. სულ ვკამათობდით, ვერასდროს ვიპოვეთ გამოსავალი — არ გვეყო ძალა. არადა, დიდი ხანია, რაც აქ ვართ. ატრიდო! ადრინდელივით, რჩევა მოგვეცი მტკიცე და წინ გაუძეხი არგიველთ შეუბრალებელ ბრძოლებში. გაანადგურე ის ერთი, ან ორი, ვინც განიზრახავს, აქაველთაგან მალულად — რასაც მაინც ვერ შეძლებენ, არგოსისაკენ გასწიონ, სანამ თვით ეგისის მპყრობი ზევსი არ შეგვატყობინებს, ტყუილს შეგვეპირდა თუ არა. ვამბობ, რომ თანხმობა მოგვცა ძლევათაგან კრონიდმა იმ დღეს, როდესაც სწრაფმავალ გემებით გამოვემგზავრეთ ტროელეებისთვის სიკვდილის მომტანი არგოსელები. მან მარჯვნივ სტყორცნა ელვა და ნიშანი მოგვცა კეთილი, ამიტომ ნუ აჩქარდებით სახლებში დასაბრუნებლად, სანამ არ ჩავეხუტებით ტროელთა ცოლებს ლოგინში, შურს არ ვიძიებთ ელენეს ცრემლებისა და ტანჯვისთვის. თუ რომელიმე უგუნურს სურს, სახლისაკენ გასწიოს, დაე, მიმართოს საკუთარ მყარგემბანიან შავ ხომალდს, რომ სხვებზე ადრე იპოვოს ავი ხვედრი და სიკვდილი. შენც მოიფიქრე კარგად და სხვისიც ისმინე, მეფეო — ვფიქრობ, რომ მიუღებელი არ უნდა იყოს ეს სიტყვა: ატრიდო, ხალხი დაყავი ფრატრიებად და ფილებად, რომ დაეხმარონ ერთმანეთს — ოჯახი ოჯახს, ტომი — ტომს. თუ მოიქცევი ამგვარად და აქაველებს წარმართავ, გაიგებ, წინამძღოლთა და ხალხს შორის მხდალი ვინ არის და ვინ — მამაცი, რადგანაც ყველა თავისთვის იბრძოლებს. მაშინ გაარკვევ, ამ ქალაქს ღვთიური ნებით ვერ ანგრევ, თუ ბრძოლის უცოდინარი მოლაშქრეების სიმხდალით“. მას უპასუხა ამგვარად მეფე აგამემნონმა: „მოხუცო! აქაველების ძეებს კვლავ სჯობნი კრებაზე. მამა ზევსს, ათენასა და აპოლონს აქაველთ შორის ათი ათასი მრჩეველი ჩემთვის რომ გამოეგზავნათ, თვით პრიამოსის ქალაქიც ხომ მალე დაეცემოდა — ჩვენივე ხელით მოვსპობდით, მიწასთან გავასწორებდით. თუმც ზევსმა, ეგისის მპყრობმა, უბედურება მარგუნა, რადგან ამო მტრობის და ქიშპობისათვის გამწირა. ხომ იცით, ფეხმარდ აქილევსს ერთი ქალისთვის შევები. მტრად მოვეკიდეთ ერთმანეთს და მე ვარ შუღლის მოთავე თუ მოვინდომებთ ერთობას, ეჭვიც კი არ მეპარება, არ დააყოვნებს — ენევით ტროელებს უბედურება. ახლა საკვები მივიღოთ, მზად ვიყოთ არესისათვის, შუბები კარგად წავმახოთ, არ დაგვაგინყდეს ფარები,

ჩვენს ფეხმარდ ცხენებს ვაჭამოთ, წინასწარ მოვანესრიგოთ და შევამონმოთ ეტლები. მხოლოდ ბრძოლაზე ვიფიქროთ, რომ შევძლოთ და გავუმკლავდეთ მთელი დღით არესს საზარელს, რომელსაც თუნდაც მცირე ხნით შეწყვეტაც არ უნერია, სანამ ღამე არ დადგება და დააშორებს მეომრებს. სულ ოფლით დაეცვარებათ მკერდზე თასმები ფარების, მთელ ტანს რომ ფარავს. ხელებს კი შუბის ტარება გადადლის და ცხენიც გაიოფლება, მშვენიერ ეტლში შებმული. მე კი, თუ ვინმეს შევამჩნევ, რომ ბრძოლას გარიდებულა და დარჩენილა მორკალულ გემებთან, არა მგონია, გაექცეს შავ ბედისწერას, ავ ძალღებსა და ფრინველებს“. ეს თქვა და არგიველები აყვირდნენ — როგორც ტალღები ნოტოსის ნამობერვანზე ეხეთქებიან ნაპირზე ციცაბო კლდეებს, რომლებსაც ტალღები ველარ ტოვებენ სულ აქეთ-იქით მქროლავი ქარების ამოვარდნისას. ნამობტნენ და გაიფანტნენ, კვლავ დაუბრუნდნენ ხომალდებს, ცეცხლი დაანთეს კარვებთან, ვახშმისთვის ემზადებოდნენ. თითოეული სწრაფდა მსხვერპლს თავის მფარველ ღმერთებს და სიკვდილისა და არესის ხელთაგან დაცვას შესთხოვდა. აგამემნონმა კი, ხალხის მმართველმა, მსხვერპლად შესწირა ხუთი წლის მსუქანი ხარი ზევსს — ყოვლისშემძლე დიდ კრონიდს, აქაველთაგან რჩეული უხუცესები მოიხმო. უპირველესად — ნესტორი, მმართველი იდომენევსი, ორივე აიასი და ტიდევსის ვაჟი მამაცი, მეექვსე — თვით ოდისევსი, გონებით ზევსის ბადალი, მენელაოსი კი თავად მოვიდა, შეუპოვარი, რადგან იცოდა, რომ ძვირფას ძმას სული დამძიმებოდა. ხარს ირგვლივ შემოერკალნენ, სამსხვერპლო ქერი აიღეს. და მეფე აგამემნონმა ლოცვა ამგვარად დაიწყო: „დიადო ზევსო, ღრუბელთა მპყრობო, ზეცაში მცხოვრებო! დაე, მზემ ამოანათოს და არ ჩამოწვეს წყვდიადი, სანამ არ გავანადგურებ მე პრიამოსის სამყოფელს, ჭვარტლით დავფარავ, მის სახლ-კარს დამლუპველ ცეცხლს ნაუუკიდებ, სანამ თვით ჰექტორს სხეულზე არ შემოვახვევ ნაზ ქიტონს, ბასრი სპილენძით დაფლეთილს. მეგობრები კი გარშემო მტვერსა და ფერფლს ნაიყრიან და პირით მიწას შეჭამენ.“ ასე თქვა, თუმცა არ ისმინა მისი კრონიდმა, მსხვერპლი მიიღო, მაგრამ ჭირი გააასკეცა. ლოცულობდნენ და სამსხვერპლო ქერს ფანტავდნენ ირგვლივ, ხარს დაუნიეს თავი, დაკლეს და გაატყავეს, ბარკლები მოჭრეს, შემოაკრეს ორმაგი ქონი, მერე ზემოდან უმი ხორცის დიდი ნაჭრები შემოალაგეს და უფოთლო ტოტებზე დანვეს. შიგნეულობა შამფურებით დააწყვეს ცეცხლზე. როცა დაიცხრეს შიმშილის და წყურვილის გრძნობა, სიტყვით მიმართა მათ ნესტორმა გერენიელმა: „სახელოვანო ატრიდო, მეუფე აგამემნონო! მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე და ნუ გადავდებთ შორი დროისთვის იმ საქმეს, რაც ღმერთმა ჩვენ ჩავგაბარა. ახლა უბრძანე მაცნეებს, რომ ხომალდებთან შეკრიბონ სპილენძისაბჯროსანი მებრძოლი აქაველები. ჩვენც აქაველთა უთვალავ მოლაშქრეს შევეუერთდებით, რომ უფრო სწრაფად ავანთოთ არესის მწველი სურვილით“. ეს თქვა და მისი ისმინა მეუფე აგამემნონმა, მოიხმო მალაღმბიანი მაცნეები და უბრძანა, რომ ემცნო ომის დაწყება ხუჭუჭა აქაველთათვის. მათაც აუწყეს, უმაღლე შეკრიბეს მთელი ლაშქარი. ატრიდთან ერთად თვით ზევსის რჩეული სხვა მეფეები ჯარის დაწყობას შეუდგნენ. ხოლო ბუსთვალა ათენას ხელთ ეპყრა უძვირფასესი, შეურყეველი ეგისი, ასი ფოჩი რომ დასდევდა — სუფთა ოქროსგან ღამაზად დანხული — თითოეული ას ხარად შეფასებული. აქაველთ შორის შეიჭრა ათენა. ყველგან ჩნდებოდა, ჯარს ალაგზნებდა, სიმხნევეს მატებდა ყველა მეომარს და გულს უნთებდა ბრძოლების დაუცხრომელი სურვილით. მათაც კვლავ ომი არჩიეს, ვიდრე გრძელკიჩოიანი ღრმა ხომალდებით საყვარელ სამშობლოს დაჰბრუნებოდნენ. ცეცხლი რომ წაეკიდება თვალუნვდენელი ტყის კალთებს მაღალი მთის მწვერვალებში და შორიდან ჩანს სინათლე, ასე ისროდა ნაპერწკლებს ირგვლივ ღვთიური სპილენძი — დამაბრმავებლად ელავდა, ზეცას სწვდებოდა ციაგი. ფრინველთა მრავალრიცხოვან გუნდების მსგავსად, როდესაც ბატები, წეროები თუ გრძელყელიანი გედები აზიის ფართო მინდვრებზე, ან კაისტროსის ნაპირთან ფრთებს თავმომწონედ გაშლიან, დაფრენენ, დაფარფატებენ, ხმაურით დაეშვებიან და მიწა დაიგუგუნებს, სწორედ ასევე მოაწყდა მებრძოლთა დიდი რაზმები სკამანდრიოსის ველ-მინდორს ბანაკებიდან. მიწა კი შემადრწუნებლად გრგვინავდა ფეხქვეშ ცხენთა და ქვეითთა. იმდენი მებრძოლი იყო სკამანდრიოსის მინდორზე, რამდენიც — ხეზე ფოთოლი, ან ყვავილია ზაფხულში. ისევე, როგორც ჰაერში შეგროვებული ბუზები დაფრენენ და დაბზუიან საქონლის სადგომის თავზე შუა ზაფხულში, როდესაც ჭურჭელს რძე ავსებს პირამდე, ასევე იდგნენ გრძელი თმით შემკული აქაველები გაშლილ მინდორში — ტროელთა განადგურების მსურველნი. როგორც მწყემსები თავიანთ კუთვნილ თხებს სხვისი თხებისგან ადვილად გამოარჩევენ, მინდორში მიმოფანტულებს, ასე აწყობდნენ ყოველ მხრივ ფალანგებს წინამძღოლები, საბრძოლოდ ემზადებოდნენ. იქ იდგა აგამემნონიც, მზერით და სახით ასე რომ მოჰგავდა ზევსს, ელვის მტყორცნელს, სარტყელით ჰგავდა არესს და მკერდით კი — თვით პოსეიდონს. როგორც ძროხების ნახირში ადვილად გამოირჩევა ხარი, რომელიც სხვა პირუტყვს ყოველმხრივ აღემატება, იმ დღეს თვით ზევსმა აქცია ასეთად აგამემნონი — გამოარჩია ყველასგან და აღამალა გმირებზე.

კლაუდია რუში თანამედროვე გერმანელი მწერალია, რომელიც დაიბადა 1971 წელს, გაიზარდა კუნძულ რიუგენზე და 1982 წლიდან ბერლინში ცხოვრობს. მოთხრობა „უბანანო აღმოსავლეთი“ მისი პირველი კრებულიდანაა („Meine freie deutsche Jugend“), რომელიც 2003 წელს გამოიცა და რუშის გდრ-ში ცხოვრების პირად გამოცდილებას აღწერს. წიგნი დიდი ხნის განმავლობაში იყო ბესტსელერების სიაში და რამდენიმე ენაზე ითარგმნა.

„უბანანო აღმოსავლეთში“ იხილავთ, თუ როგორია ახალგაზრდა ქალის თვალთ დანახული ბერლინის კედლის დაცემის ისტორია.

კლაუდია რუში

უბანანო აღმოსავლეთი

1989 წლის 9 ნოემბერს, დილით, დედას მარჯვენა ხელის მყესებზე ოპერაცია ჩატარდა — შესახორცებელი უნდა შეხორცებოდა. როცა ნარკოზიდან გამოვიდა, ყველა სატელევიზიო პროგრამა გათიშული იყო და გახსნილ სასაზღვრო პუნქტებზე შამპანური ღვარად მიედინებოდა.

მამამ ყველაფერი გამოტოვა, რადგან ჯაზ-კონცერტზე იყო. სახლში ღამის სამ საათზე დაბრუნებულმა მაშინვე დაიძინა. მე დილის ექვს საათზე ტელეფონის ხარით გავაღვიძე და ვუთხარი: მამა, არ ინერვიულო, დასავლეთში ვარ.

საღამო გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე გავატარე ჩემს მეგობრებთან ერთად, რომლებიც ღამის მატარებლით პრალაში აპირებდნენ გამგზავრებას. ბარგი ჩალაგებული ჰქონდათ, ავეჯი — გაყიდული, დანარჩენი კი — გაჩუქებული. Go West.

ცოცხალი ისევ აღმოსავლეთ სადგურზე შევირბინეთ მორჩენილი ფულის კრონებზე გადასახურდავევბლად. მანქანაში ლოდინი დიდხანს მომიწია და RIAS*-ს ვუსმენდი. „კედელი დაეცა. ამის შესახებ აღმოსავლეთ ბერლინის პარტიის ლიდერმა გიუნტერ შაბოვსკიმ საღამოს განაცხადა...“ რეაქცია არ მქონია. რადიოდან ბერლინელის აღლევებული ხმები და ტრანზიტების პიპინი ისმოდა. ნამყვანი გულაჩუყებული ატირდა. მე კი ვერაფერს ვგრძობდი. გავითიშე. დღემდე არ ვიცი, ეს რა იყო. ამბავი გავიგე, მაგრამ არ აფფორიაქებულვარ. მაშინაც კი, როცა ჩემი მეგობრები დაბრუნდნენ და სიახლის შესახებ შეიტყვეს, არაფერი შემხებია. The person you have called is temporarily not available.

წვეულებაზე დავბრუნდი. დანარჩენები მარიუს მიულერის სიმღერაზე — West-ernhagen თავდავიწყებით ცეკვავდნენ. ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა. ნელ-ნელა გამინათდა და მღელვარებამ ჩემშიც იმატა. სინაფსები ისევ ამიმუშავდა. კედელი დაეცა...

დასრულდა ორშაბათის დემონსტრაციები, ახალი ფორუმი, სამშვიდობო მოძრაობა... რეფორმირებული სოციალიზმი არ იქნება. კედელი დაეცა და გზა „აღღი-

სკენ“ ხსნილი იყო. ეს ძალიან ადრე იყო, ეს გაერთიანებას ნიშნავდა და ეს ჩემს გეგმებში არ ჯდებოდა. მამაცურად მჯეროდა დამოუკიდებელი გდრ-ის. ერთიანი გერმანიის იდეა ჩემთვის უცხო იყო. სახლში მასწავლეს, რომ გდრ, მიუხედავად სტალინიზმისა და ხალხის გასულელებისა, ფუნდამენტურად უკეთეს გერმანულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ჩვენი მოვალეობა კი მისი რეფორმირება და სწორ გზაზე დაყენება იყო. ამიტომაც დავრჩით აქ, ეს იყო მიზეზი, რატომაც არ წავედით დასავლეთში.

ყველა ჩემი სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სულელად მყავდა გამოცხადებული, მაგრამ გულის სიღრმეში მეც ალბათ მათსავით დარწმუნებული ვიყავი. როგორც ჩანს, ჩემს ალქმას მთლად ვერ ვაკონტროლებდი.

დასავლეთ ბერლინში მოგზაურობის ახალი შესაძლებლობა ჩემთვის სულერთი იყო. კედელს, უპირველესად, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ის ყველაზე ნაკლებად მიზღუდავდა გადაადგილების თავისუფლებას ბერლინში. იქ მაინც არავის ვიცნობდი. ერთ დასავლეთ გერმანელსაც კი მხოლოდ აქედან გამგზავრებულ აღმოსავლეთ გერმანელს. ისინი ძალიან შორს იყვნენ. მხოლოდ პიერი, ჩემი ფრანგი მეგობარი, ორი წელია, კროიცბერგში ცხოვრობდა. ერთმანეთი 80-იანი წლების შუა ხანებში შემთხვევით გავიცანი და მას შემდეგ ურთიერთობა შევიწინარჩუნეთ. როგორც მოკავშირეს, მას უპრობლემოდ შეეძლო გადაადგილება. ის ძალიან ხშირად გადმოდიოდა აღმოსავლეთში. მთელი ქალაქი მისთვის ერთი უზარმაზარი, ამაღლელებელი სათამაშო ველი იყო. ქალაქის ნაწილს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოჯახურ დღესასწაულებს ის ყოველთვის ჩვენთან ერთად ატარებდა. ამას გარდა, მას ალბათ აღმოსავლეთ ბერლინში 50 წლამდე ყველა ქალთან და მამაკაცთან ჰქონდა ღამე გატარებული და ამ ისტორიებს ჩვენ სიამოვნებით გვიყვებოდა. ის ჩემთვის უფროსი ძმასავით იყო. იდეალურად ერგებოდა ოჯახს.

წვეულებაზე განწყობა მკვეთრად შეიცვალა. ყველას გასვლა უნდოდა. სრული-



ად დაუგეგმავად უახლოესი სასაზღვრო პუნქტისკენ გავემართეთ. როდესაც ბორნ-ჰოლმერის ქუჩამდე მივალნიეთ, ერთი საათის განმავლობაში დაგროვილმა ეიფორიამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემშიც ამოხეტა. სიხარულისა და დაბნეულობის შეკავება უკვე შეუძლებელი იყო. ის ყველას ჩაქუჩივით ურტყამდა თავში. მართლა გახსნეს კედელი? მიმოფანტული ხალხის შუაგულში უეცრად შევიგრძენი, ეს წამი არასდროს დამავიწყდებოდა, ჩემი ცხოვრება ზუსტად ამ მომენტთან ისე შეიცვლებოდა, რომ არც კი წარმომიდგინა.

რაც უფრო მეტად ვუახლოვდებოდი გადასასვლელს, მით უფრო მატულობდა არეულობა. წინ თითქმის ვერ მივიწევდი. რა გასაკვირია, გზა არავინ იცოდა. საბოლოოდ, როცა საზღვართან ვიყავით, შევამჩნიე, რომ მეგობრები დაეკარგე. სიბნელეში სრულიად მარტო ვიდექი ამ ბრბოში.

და შემდეგ საოცრება მოხდა. ეს სხვა რამ არც შეიძლებოდა, ყოფილიყო. გავიგონე, რომ ვილაც ჩემ სახელს იძახდა. ნაცნობი ხმა იყო. თავი შევებრუნე და ღობის მეორე მხარეს გავიხედე. ის იქ იდგა, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც დასავლეთ ბერლინში ვიცნობდი: პიერი. მან გისოსებიდან ხელები გამოიმონოდა და თვალები შემომანათა. მეძახდა: მოდი, სწრაფად, აქეთ. გადარეული გადავძვერი ღობეზე. ბედნიერები მოვხვებით ერთმანეთს. პიერმა მაშინვე ტაქსიში ჩამსვა და კროიცბერგში წავედით.

ყველაფერი, რაც დასავლეთ ბერლინის შესახებ ვიცოდი, მეტროსადგურები იყო. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მაინც. ისიც იმიტომ, რომ პირველი ხაზის მიუზიკლში, რომელიც სოციალური ტიპის შინაარს ატარებდა, გდრ-ის კინოთეატრებში გადიოდა. ვერასდროს წარმოიდგენდა კაცი, რომ ნებისმიერი მტრული კრიტიკა სასარგებლო შეიძლებოდა, აღმოჩენილიყო. ეს ფილმი ხუთჯერ მაინც მქონდა ნანახი. ახლა ღამე იყო და მკრთალ შუქზე სახელები ამოვიცანი: Möckernbrücke, Hallesches Tor, Prinzenstraße, Gleisdreieck. ისინი მართლა არსებობდნენ.

ტაქსიმ სადღაც გააჩერა და გადმოვედით. პიერმა დაიფინა, რომ დიონერი გვეჭამა და კლუბ SO 36-ში შევგესიერნა. მე ძალიან შემინებული ვიყავი. კედელზე ეერიში ერთი იყო, Oranienplatz კი — რალაც სხვა. ვფიქრობ, შოკში ვიყავი. ეს ყველაფერი არარეალური იყო. მხოლოდ ის მახსოვს, რომ გამუდმებით ვცდილობდი ტელეფონით მამაჩემთან დაკავშირებას და ყოვე-

ლ ჯერზე მფლანგველურად მეჩვენებოდა ძვირფასი დასავლური ფულის ასე უბრალოდ მონეტების აპარატში ჩაგდება.

ნელ-ნელა დავილაღე. ჩვენ პიერის საყვარელ ლუდხანაში წავედით. მან ბარისკენ მიმითია და მითხრა: აირჩიე, რისი დაღვევა გინდა.

ფერად ბოთლებს დავაშტერდი. ვერ ვიჯერებდი. აქ ყველაფერი იყო. დასავლეთის ტელევიზიაში ნაჩვენებ რედაქციებიც კი. შესაძლებლობებით სახსე სამყარო გადაიშალა. ყველაფერი შემეძლო, მქონოდა. მხოლოდ უნდა მეთქვა. ეს შობას ჰგავდა.

აქ, ამ დახლთან, გაირკვა, რომ მეც ერთი ჩვეულებრივი გდრ-ის ბავშვი ვიყავი. ჩემი ბავშვობა არა მარტო შტაზიმ, არამედ ეკონომიკურმა კრიზისმა ჩამოაყალიბა. ამ გადმოსახედიდან არც სხვებზე უკეთესი და არც სხვებზე უარესი ვიყავი. მიჩვეული ვიყავი იმ ფაქტსაც, რომ ბევრი რამ მხოლოდ გარკვეულ დროს და ზოგიერთი რამ კი საერთოდ არ იშოვებოდა. ეს დეფიციტი უნდა შემეხსო. და ეს გავაკეთე. მთელი უმანკოებით ბანანის წვენი შევუკვეთე.

არასდროს მეგემრიელა ის ასე, როგორც იმ ღამეს, კროიცბერგში. ერთი ძველი გდრ-ის ანექდოტია, კითხვაზე პასუხი, თუ რატომ არის ბანანი მოლუნული, იმიტომ, რომ ის გდრ-ს რკალს არტყამს. იმ წამს ეს გამახსენდა. ბანანი გავაცურე.

Kottbusser Tor-დან სკოლისკენ წავედი. პირველად დავინახე ფრიდრიხშტრასეს სადგური სხვა მხრიდან და შოკირებული ვიყავი. როდესაც მივხვდი, რომ პატარა საგარეუბნო მატარებლების გაჩერების უკან, ვინრო შესასვლელით, მართლა სამსართულიანი სადგური იმალებოდა, რომელშიც მინის ქვეშ, საგარეუბნო მატარებელთან ერთად, მეტროც მოძრაობდა და უზარმაზარი საბაჟო პუნქტები და ნახევარი უნივერსიტეტი იყო განთავსებული, ახალა გავაცნობიერე, რა გაუცეთა კედელმა ბერლინს.

სიამაყე, შიში და ღვარძლი: ყველაფერი ერთად. მესაზღვრეს ჩემი გდრ-ული პირადობის მონობა ვაჩვენე და დაგბრუნდი იმ ადგილას, რომელსაც ვეკუთვნოდი — უბანანო აღმოსავლეთში.

*RIAS (გერმ. Rundfunk im amerikanischen Sektor; ინგლ. Radio in the American Sector) — რადიო და ტელევიზია ბერლინის ამერიკულ სექტორში (ცივი ომის დროს). RIAS დაარსდა აშშ-ს საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1946 წელს, რათა მიენდებინა ახალი ამბები და პოლიტიკური რეპორტაჟები გერმანიის მოსახლეობისთვის ბერლინში და მის გარშემო.

თარგმნა გვანცა აპრაიშვილი



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004